ლელო

პალიტრა მედია

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

29 იანვარი **შაბათი** 2011

№022 (13319) ფასი 60 თეთრი



ელენე ჯერ მეხუთეა

10

# რა მოხდება, ვინ შეგვხვდება?

## ხვალიდან უკვე ვიღელვებთ

ვილნიუსის თეატრში ევრობასკეტის წილისყრის დრამა გათამაშდება

11






# ლუის სუარესი ლივერპულში 26,5 მილიონად!

გუშინ ერთი დიდი ტრანსფერი გაიჩარხა - „ლივერპულმა" ამსტერდამის „აიაქსისგან" ურუგვაის ნაკრების ფორვარდი ლუის სუარესი შეიძინა. მას შემდეგ, რაც სუარესი სამედიცინო შემოწმებას გაივლის, „ლივერპული" 26,5 მილიონ ევროს გადაიხდის. ურუგვაელი გამორჩეული მეგოლეა, 2007 წლის მერე, რაც „გრონინგენიდან" „აიაქსში" გადავიდა, 159 მატჩში 111 გოლი გაიტანა. 24 წლის ფეხბურთელის კონტრაქტი დღეს გაფორმდება.

კიდევ ერთი ახალი ამბავი ისაა, რომ „ლივერპულმა" „ჩელსის" ფერნანდო ტორესის 35 მილიონად მიყიდვაზე უარი უთხრა. „არისტოკრატებმა" ვერც „ბენფიკას" მცველი დავიდ ლუიზი შეიძინეს.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

მემორანდუმი



დიმიტრი შაშკინი (მარცხნივ) და ზვიად სიჭინავა

# თუ ბავშვი ვერ მიდის ფეხბურთთან, ფეხბურთი მივა ბავშვთან

## დიდი ჟრიამულის მოლოდინი: შეიქმნა სასკოლო საფეხბურთო ლიგა

გუშინ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** სასკოლო საფეხბურთო ლიგის ჩამოყალიბების შესახებ მემორანდუმს მოაწერეს ხელი. ღონისძიებას ესწრებოდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლადო ვარძელაშვილი.**

მემორანდუმის თანახმად, 2011 წელს გაიმართება საქართველოს საჯარო სკოლების ჩემპიონატი ფეხბურთში, გამარჯვებული კი ივლისში დაგეგმილ ფინალურ მატჩში გამოვლინდება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში იმედოვნებენ, რომ საფეხბურთო ლიგაში მოსწავლეების ჩართვით საჯარო სკოლებში ჯანსაღი ცხოვრების წესს დანერგავენ და წაახალისებენ.

*"საფეხბურთო ლიგის შექმნა და საჯარო სკოლებს შორის ფეხბურთში ჩემპიონატის ჩატარება მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, 2010 წელს სკოლებში ფიზიკური კულტურის გაკვეთილები სპორტის გაკვეთილებმა ჩაანაცვლა. სკოლებში თერთმეტი სპორტული ლიგა შეიქმნა, ეწყობა სასკოლო ჩემპიონატები, მოსწავლეებში იზრდება მოტივაცია და მკვიდრდება ჯანსაღი ცხოვრების წესი.*

*ვიმედოვნებთ, რომ საფეხბურთო ლიგის დაარსებითა და საჯარო სკოლებს შორის ჩემპიონატის ჩატარებით გაუმჯობესდება მოსწავლეთა სპორტული მომზადების დონე, შესაძლებელი იქნება ქართული ფეხბურთის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია"*, - ვკითხულობთ მემორანდუმში.

ხელმოწერის შემდეგ მოკლე კომენტარები გაკეთდა.

**დიმიტრი შაშკინი:** *"დღეს ჩამოყალიბდა სასკოლო საფეხბურთო ლიგა. პირველი შეხვედრები გაიმართება მარტში. ეს ყველა დაინტერესებულ სკოლას მისცემს საშუალებას, უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახადონ სპორტის გაკვეთილები. ამ მნიშვნელოვანი პროექტისთვის ზვიად სიჭინავას და ლადო ვარძელაშვილს მადლობას ვუხდი.*

*ანალოგიური ლიგების შექმნა და სასკოლო სპორტული ჩემპიონატების ორგანიზება მოზარდებს შორის სპორტული რესურსის გამოვლენას და მათ წახალისებას შეუწყობს ხელს".*

**ლადო ვარძელაშვილი:** *"ეს პროექტი მომავლისთვის არის მნიშვნელოვანი, რადგან მასში მონაწილეობა ყველა დაინტერესებულ სკოლას შეუძლია, ამგვარად კი ფეხბურთი უფრო მასობრივი გახდება. ტურნირი გაიმართება არა მხოლოდ თბილისში, არამედ რაიონებშიც და, იმედი მაქვს, ბევრ ნიჭიერ ბავშვს აღმოვაჩენთ. სასკოლო საფეხბურთო ლიგაში ხომ 200 ათასამდე ბავშვი იქნება ჩართული".*

**ზვიად სიჭინავა:** *"ყველა ასაკობრივი ნაკრების ფეხბურთელი სკოლის მოსწავლეა და მათი მონაწილეობა ტურნირს სხვაგვარ ელფერს შესძენს. მემორანდუმის ფარგლებში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უზრუნველყოფს საჯარო სკოლების სპორტის მასწავლებელთა გადამზადებას უეფასა და ფიფას სტანდარტებით, გადამზადებული პედაგოგები კი შესაბამის სერტიფიკატებს მიიღებენ. ამ პროგრამით ფეხბურთის ფედერაცია დაახლოებით 70-მდე სპეციალისტს მოამზადებს. ეს არის უმნიშვნელოვანესი პროექტი, რადგან მასობრიობა ფეხბურთისთვის უმნიშვნელოვანესია და ჩვენს ფეხბურთს დიდ სამსახურს გაუწევს".*

პრესკონფერენციის შემდეგ ჯერ **დიმიტრი შაშკინს** გავესაუბრეთ.

**- სასკოლო საფეხბურთო ლიგა მშვენიერი პროექტია, მაგრამ მის განხორციელებას თანხა სჭირდება, მაგალითად, ტრანსპორტირებისა და სხვა ამგვართა. ამ ხარჯებს ვინ გაიღებს?**

- პროექტის ფინანსურ ხარჯებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო თავისი ბიუჯეტიდან გაიღებს.

**- პროექტში ყველა საჯარო სკოლა ჩაერთვება თუ სურვილის მიხედვითაა?**

- ყველა ის საჯარო სკოლა, სადაც ფეხბურთი სპორტის სახეობად შეარჩიეს. მოგეხსენებათ, ყველა სკოლას აქვს უფლება, სპორტის სამი ან მეტი სახეობა თავად შეარჩიოს.

**- არის სკოლები, სადაც სპორტის სახეობად კარატეს სახეობები ამჯობინეს, რაც ბავშვების უკმაყოფილებას იწვევს. არ შეიძლება, სპორტის სახეობების სია მათი პოპულარობის მიხედვით შეადგინოთ?**

- იმის გამო, რომ სკოლა ავტონომიური ერთეულია, სკოლის სამეურვეო საბჭო პრიორიტეტებს თავად არჩევს. მასში სამინისტრო ვერ და არ ჩაერევა, ეს სკოლამ თავად უნდა გადაწყვიტოს. არჩევანში ჩვენ ვერ ჩავერევით.

მომდევნო რესპონდენტი **ზვიად სიჭინავა** გახლდათ:

**- პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ სასკოლო საფეხბურთო ლიგაში 200 ათასი ბავშვი ჩაერთვება. ამხელა კონტინგენტისთვის საკმარისი სათამაშო მოედნები გვაქვს?**

- ტურნირი მინიმოედნებზე ჩატარდება და არანაირი პრობლემა არ შეიქმნება.

**- ცხადია, ფეხბურთის განვითარება მასობრიობაზეა დამოკიდებული, ცოტა ხნის წინ სამოყვარულო ლიგა დაარსდა, ახლა - სასკოლო. რა იქნება შემდეგი ნაბიჯი?**

- სხვათა შორის, განათლების მინისტრთან სხვა მოლაპარაკებასაც ვაწარმოებთ, რომლის მიზანიც კიდევ ერთი პროექტის განხორციელებაა.

**- დააკონკრეტებთ?**

- ჩვენ საქართველოში სტუდენტური ლიგის ჩამოყალიბებაც გვსურს. ამას გარდა, ბავშვთა და რეგიონული ლიგების მონაწილეთა რაოდენობის გაზრდაზეც ვფიქრობთ. რაც უფრო მეტი ბავშვი ჩაერთვება ტურნირებში, მეტ ნიჭიერ ფეხბურთელსა და მწვრთნელს აღმოვაჩენთ. ამ თვალსაზრისით სტუდენტური ლიგის ჩამოყალიბება უმნიშვნელოვანესი საქმე იქნება.

**- ეს პროექტი როდის განხორციელდება?**

- განათლებისა და სპორტის სამინისტროებთან მოლაპარაკება უკვე დაწყებულია და ორივე სამინისტრო თანახმაა, სტუდენტური ლიგის შექმნაში დაგვეხმაროს. მიგვაჩნია, რომ ეს იქნება ძალიან პოპულარული შეჯიბრება, რადგან მთელ მსოფლიოში სპორტის მასაზრდოებელი ერთ-ერთი უმთავრესი წყარო სტუდენტური სპორტია. ასეა დიდ ფეხბურთში, კალათბურთში და სხვა ბევრ სახეობაში. როდესაც ასეთი რესურსი გაგვაჩნია, მისი გამოუყენებლობა დანაშაულის ტოლფასი მგონია.

**- უმაღლეს სასწავლებლებთან ამის თაობაზე მოლაპარაკება თუ გქონდათ? ეს ხომ დამატებითი ხარჯია და მზად არიან, გაიღონ?**

- სტუდენტურ ლიგაში მონაწილეობის სურვილი უკვე ბევრმა სასწავლებელმა გამოთქვა. დაზუსტებული რიცხვი სთუ გნებავთ, თოთხმეტი სასწავლებელი არის მზად, სტუდენტური ლიგის ჩამოყალიბებაში ჩაერთოს.

**მერაბ მამულაშვილი**

U21

# ევროპა ისრაელში, საქართველო მეოთხე კალათაში

გუშინ შვეიცარიულ ნიონში, უეფას შტაბბინაში გამართული წილისყრისას გადაწყდა, რომ ევროპის 2013 წლის ახალგაზრდული (21-წლამდელთა) ჩემპიონატი ისრაელში ჩატარდება. ამ ქვეყნის კანდიდატურამ ინგლისის, ჩეხეთის, ბულგარეთისა და უელსისას აჯობა.

რაც შეეხება შესარჩევი ტურნირის სისტემას, იგი უცვლელი დარჩება. 3 თებერვალს გასამართი წილისყრა 10 ჯგუფს დააკომპლექტებს, საიდანაც ორი ექვსგუნდიანი იქნება, დანარჩენები კი – ხუთგუნდიანები. ფინალური ტურნირის საგზურს პირდაპირ ვერავინ მოიპოვებს. პლეი ოფში ყველა ჯგუფის გამარჯვებულს ოთხი საუკეთესო მეორეადგილოსანი დაემატება და შეიქმნება შვიდი წყვილი, რომელთა გამარჯვებულებიც მასპინძელ ისრაელს შეუერთდებიან.

წინასწარი მონაცემებით, **ოთარ გაბელიას** გუნდი მეოთხე კალათაში მოხვდება. აქვე ყველა კალათის საორიენტაციო შემადგენლობას გაგაცნობთ.

პირველი კალათა: **ინგლისი, ესპანეთი, ჰოლანდია, იტალია, რუსეთი, შვედეთი, ჩეხეთი, სერბეთი, გერმანია, რუმინეთი.**

მეორე კალათა: **შვეიცარია, უელსი, ბელარუსი, საფრანგეთი, უკრაინა, თურქეთი, ავსტრია, პორტუგალია, დანია, ბელგია.**

მესამე კალათა: **ხორვატია, უნგრეთი, შოტლანდია, საბერძნეთი, სლოვაკეთი, მოლდოვა, ფინეთი, სომხეთი, ისლანდია, ჩრდილოეთ ირლანდია.**

მეოთხე კალათა: **ჩერნოგორია, საქართველო, პოლონეთი, ლატვია, ნორვეგია, სლოვენია, ირლანდია, ბულგარეთი, ბოსნია, მაკედონია.**

მეხუთე კალათა: **ალბანეთი, ფარერები, კვიპროსი, ლიტვა, ყაზახეთი, ესტონეთი, აზერბაიჯანი, ანდორა, სან მარინო, ლუქსემბურგი, მალტა, ლიხტენშტაინი.**

**ლევან ჯანეზაშვილი**



ფიფას ალმასკომამდე...

# 300 000 ფიფასგან

## გაგვიზრდის თუ დაგვიმატებს?



იოზეფ ბლატერი

მარტში ფიფას ალმასკომი საგანგებო სხდომას ჩაატარებს, მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანოს ხელმძღვანელები შემოსავლების განაწილებაზე იმსჯელებენ. როგორც გაირკვა, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ფიფას მოგებამ 3,4 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, საიდანაც დიდი წილი სამხრეთაფრიკულ მუნდიალზე მოდის. **იოზეფ ბლატერი** ალმასკომის წინაშე ერთი ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანი კანონპროექტითაც წარდგება – ფიფას პრეზიდენტს ორგანიზაციის ყოველი წევრი ქვეყნისთვის 300 ათასი ევროს გადარიცხვა სურს. შეგახსენებთ, ყოველწლიურად ფიფა თავის წევრებს ფეხბურთის განვითარებისთვის 250 ათას ევროს უგზავნის.

ჯერჯერობით, უცნობია, 300 ათასამდე ეს ყოველწლიური დახმარება გაიზრდება თუ ამ თანხას ეროვნულ ფედერაციებს ერთჯერადად დაუმატებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სამზადისი. ბაია

# ზუგდიდი ერევანს მაგრად დაუხვდა

## ბრაზილიელი მარტო სახელია, უზბეკეთიდან კი ჯერ არაფერია

უსახსრობით განამებულმა ზუგდიდის "ბაიამ", რომელმაც წამყვანი ფეხბურთელები ვერ შეინარჩუნა და უმეტესად გამოუცდელი ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული, სომხეთის ჩემპიონატის მესამეადგილოსანი, ევროპის ლიგის მონაწილე "ულისი" 3:0 გაანადგურა.

მატჩი ურეკში გაიმართა და მთლიანად ქართველთა უპირატესობით წარიმართა. ანგარიში 36-ე წუთზე **ქობალიამ** გახსნა, 62-ე და 81-ე წუთებზე კი თავი **ეხვაიამ** გამოიჩინა.

ისევე როგორც წინა მატჩებში, "ბაიას" თავკაცმა **ელგუჯა ქომეთიანმა** ერევნელთა წინააღმდეგაც ორი შემადგენლობა ათამაშა.

პირველი ტაიმი: **სომხიშვილი – სვირავა, აქუბარდია, რ. ონიანი, გამრეკლიძე – ვართაგავა, რიგვავა, ლომია, სიხარულია, წურწუმია – ქობალია.**

მეორე ტაიმი: **მაქაცარია – გ. ქირია, გუჯეჯიანი, მამულია, კუხალაშვილი – ნ. შონია, ეხვაია, სვირავა, დანილო – ჩანგელია, კუკავა.**

ქომეთიანმა თავის გამოჩენის შანსი კვლავ მისცა ბრაზილიელ **დანილოს**, მაგრამ მისი თამაშით აღფრთოვანებული არც ამჯერად დარჩენილა და, სავარაუდოდ, მეტ შანსს აღარ მისცემს. რაც შეეხება სინჯებზე მყოფ ორ თბილისელს, **ილია გამრეკლიძესა** და **გიორგი კუხალაშვილს**, "ბაიას" სამწვრთნელო შტაბი მათ კიდევ დააკვირდება.

უზბეკეთში სინჯებზე მყოფი **გიორგი კვესეიშვილის** თაობაზე "ბაია" კვლავ პასუხს ელის. 1 თებერვალს ზუგდიდელები ლანჩხუთის "გურიას" შეხვდებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● სამზადისი. ვიტ ჯორჯია

# ვიტ ჯორჯიამ მეზობლებთან იყოჩაღა

## აფშერონთან 2:1, ადმირასთან ვნახოთ...



მერაბ კოჭლაშვილი

თურქულ შეკრებაზე მყოფმა "ვიტ ჯორჯიამ" მეორე ამხანაგური მატჩი ითამაშა და ამჯერად გამარჯვებას მიაღწია. გერმანულ "ჰალეშერთან" 0:2-ის შემდეგ "ვეტერინარებმა" აზერბაიჯანის პირველი ლიგის ლიდერ "აფშერონს" 2:1 სძლიეს. სანამ თამაშზე ვიტყოდეთ, ამ გუნდის შესახებ ერთ საინტერესო ამბავსაც გამცნობთ – "აფშერონმა" აზერბაიჯანის თასზე ამბიციურ "სიმურგს" სძლია და მეოთხედფინალში გავიდა.

როგორც "ვიტ ჯორჯიას" ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, თამაში **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდის უპირატესობით წარიმართა. ანგარიში მე-19 წუთზე გაიხსნა. **ბესიკ ჩიმაკაძის** დარტყმა აზერბაიჯანელთა მეკარემ მოიგერია, დამატებაზე კი **გიორგი ჯანელიძემ** იყოჩაღა.

ანგარიში 30-ე წუთზე გათანაბრდა – აფშერონელებმა ფლანგიდან ჯარიმა მოაწოდეს და დასწრებაზეც ივარგეს. პირველ ტაიმში დასამახსოვრებელი სხვა აღარაფერი მომხდარა, შესვენების შემდეგ კი "ვიტ ჯორჯია" უფრო გააქტიურდა და გამარჯვების გოლის გასატანად თავი არ დაუზოგავს.

ქართველთა მონდომებამ შედეგი 76-ე წუთზე გამოიღო. მათგან ერთ-ერთმა ყველაზე აქტიურმა, შეცვლაზე შესულმა **მიხეილ როსტიაშვილმა** შეტევის მარჯვენა ფლანგზე მეტოქის მცველებს თავგზა აუბნია და შორეულ კუთხეში ზუსტად დაარტყა. როსტიაშვილს, რომელმაც სეზონის პირველი ნახევარი ქუთაისის "ტორპედოში" იჯარით გაატარა, გატანა მანამდეც შეეძლო, მაგრამ მისი ძლიერი დარტყმა "აფშერონის" კარის დარაჯმა მოიგერია.

კოჭლაშვილმა აზერბაიჯანელებს ასეთი შემადგენლობა დაუპირისპირა: **მიქაბერიძე (46. ძაძამია) – ხურცილავა (57. გიორგი გურეშიძე), ადამაძე (46. გოგიაშვილი), კასრაძე, ლანიაშვილი (46. ჭანკვეტაძე) – ვასაძე, მაისაშვილი – ბეჭვაია, ჯანელიძე, ზაქრაძე (46. კორიფაძე) – ჩიმაკაძე (46. როსტიაშვილი).**

მორიგ საკონტროლო შეხვედრას "ვიტ ჯორჯია" 1 თებერვალს ავსტრიული "ადმირას" წინააღმდეგ ჩაატარებს. ცნობისათვის, ეს კლუბი ავსტრიის მეორე ბუნდესლიგას ერთპიროვნულად ლიდერობს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● სამზადისი. დინამო



ჯულიუს აგაჰოვა

# ვსინჯავთ და ვმარცხდებით

ანთალიაში შეკრებაზე მყოფმა თბილისის „დინამომ" გუშინ მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარა და, ისე როგორც ორი დღის წინ, ამჯერადაც დამარცხდა. თუმცა, წინა სპარინგმატჩისგან (ნალჩიკის „სპარტაკთან") განსხვავებით „დინამოს" შემადგენლობას ექსპერიმენტული ეთქმოდაო, კიდევ უფრო „რბილად" ნათქვამი იქნება: გუშინდელ შეხვედრაში ერთდროულად ექვსმა უცხოელმა პოტენციურმა ახალწვეულმა იასპარეზა; ამას გარდა, „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა **კახა კაჭარავამ** იმ ფეხბურთელებსაც მისცა თავის გამოჩენის საშუალება, სხვადასხვა მიზეზით ნალჩიკის „სპარტაკთან" მატჩში მონაწილეობა რომ არ მიუღიათ. ფაქტობრივად, მხოლოდ **გიორგი ლორია** და **სემირ ჰაჯიბულიჩი** იყვნენ ის ფეხბურთელები, თურქულ შეკრებაზე ორივე მატჩი ძირითად შემადგენლობაში რომ დაიწყეს. 24 წლის სერბი ნახევარმცველის სემირ ჰაჯიბულიჩის მსგავსად, „დინამოს" შემადგენლობაში მეორე საკონტროლო მატჩი ჩაატარა 21 წლის უკრაინელმა ნახევარმცველმა **სერგეი კოლესნიკმა;** აი, დანარჩენმა ოთხმა სავარაუდო ახალწვეულმა კი „დინამოს" მაისურით პირველი შეხვედრა ჩაატარა: 29 წლის ცენტრალურმა მცველმა **ნებოიშა იოქსიმოვიჩმა** (სერბეთი), 30 წლის მცველმა **ირჟი ჰომოლამ** (ჩეხეთი), 26 წლის მცველმა **მიროსლავ გეგიჩმა** და 29 წლის ნახევარმცველმა **გორან ცვეტკოვიჩმა** (ორივე - სერბეთი). რა თქმა უნდა, ერთი (გნებავთ, ორი) საკონტროლო მატჩით კონკრეტულ ფეხბურთელზე გარკვეული წარმოდგენის შექმნა არცთუ ისე იოლია, მაგრამ ის ფაქტი, რომ „დინამოში" სელექციის პროცესი გრძელდება, ამ გუნდის სერიოზულ მიზნებზე კიდევ ერთხელ მიუთითებს. სხვათა შორის, ამ ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში „დინამოში" უკვე 17 ახალწვეული გაისინჯა (შვიდ საკონტროლო მატჩში) და ბარემ, გასინჯულთა... გეოგრაფიასაც გავეცნოთ. უფრო ზუსტად, „ერთპიროვნული ლიდერი" უნდა ვახსენოთ: 17 ფეხბურთელიდან 7 სერბია (მარკო იევტიჩი, ვლადიმირ ვუკაილოვიჩი, მარკო მაროვიჩი, სემირ ჰაჯიბულიჩი, ნებოიშა იოქსიმოვიჩი, მიროსლავ გეგიჩი, გორან ცვეტკოვიჩი)! ისე, „წარმომავლობა" არც დანარჩენებს დაეწუნებოდათ: **დანიელ ოდონელის** (ინგლისი), **სემი დერასს** (საფრანგეთი), **კრის ბრაიტს** (ახალი ზელანდია), **ანდრეა ტოდოროვს** (ბულგარეთი), **მანდუგის ბაჟუგისს** (ლიტვა), **დანილოს, ტიაგო დე პაულას** (ორივე - ბრაზილია), **პანჩე კუმბევს** (მაკედონია) და უკვე ზემოთ ნახსენებ **ირჟი ჰომოლასა** (ჩეხეთი) თუ **სერგეი კოლესნიკს** (უკრაინა).

...ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი გუნდის გუშინდელი მეტოქე „სევასტოპოლი" იყო, თავის ისტორიაში პირველად რომ ასპარეზობს უკრაინის უმაღლეს ლიგაში. თუმცა, ბულგარელი მწვრთნელის, **ანგელ ჩერვენკოვის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდი განსაკუთრებული შედეგებით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის — უკრაინის ჩემპიონატში პირველი ეტაპის შემდეგ ბოლოსწინა ადგილზე იმყოფება და დიდი ძალისხმევა დასჭირდება, უმაღლეს ლიგაში ადგილი რომ შეინარჩუნოს. ალბათ, ამას ემსახურება კიდეც ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გუნდში განხორციელებული რამდენიმე ცვლილება: „სევასტოპოლის" ლეგიონერთა რიცხვს ბულგარელი ნახევარმცველი **ალექსანდრ მლადენოვი,** ბელარუსის ბატე-ს ყოფილ მეკარე **სერგეი ვერემკო** და ნიგერიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, 28 წლის **ჯულიუს აგაჰოვა** შეემატნენ. ეს უკანასკნელი „სევასტოპოლის" ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფეხბურთელია: აგაჰოვას არაერთ ცნობილ კლუბში უთამაშია, თუმცა განსაკუთრებულ წარმატებას დონეცკის „შახტარში" მიაღწია. სხვათა შორის, „შახტარისაგან" აბსოლუტურად განსხვავებული მიზნების მქონე „სევასტოპოლში" აგაჰოვას ორი ყოფილი პარტნიორიც დახვდა: 31 წლის **იგორ დულიაისა** (სერბეთი) და მის თანატოლ **მარიუშ ლევანდოვსკის** (პოლონეთი) არაერთი სეზონი აქვთ გატარებული დონეცკელთა გუნდში. იმასაც ვიტყვით, რომ დულიაიც და ლევანდოვსკიც, წლების განმავლობაში, შესაბამისად, სერბეთისა და პოლონეთის ნაკრების ღირსებას იცავდნენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „დინამომ" გუშინდელ სპარინგ-მატჩში, ფაქტობრივად, ექსპერიმენტული-შერეული შემადგენლობით იასპარეზა, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით მეტოქეზე: „სევასტოპოლმა" პირველ ტაიმში ოპტიმალური შემადგენლობა გამოიყვანა, მეორეში კი — უახლოესი რეზერვი.

„დინამო": **ლორია (46. ზარქუა)-შ. კაშია, ჰომოლა, იოქსიმოვიჩი (46. გეგიჩი), ოთარაშვილი-ედნილსონი, ცვეტკოვიჩი (46. თექთურმანიძე)-რობერტინიო (83. ციმაკურიძე), ჰაჯიბულიჩი (63. ჯილაური), კოლესნიკი (46. ლექვთაძე), სიხარულიძე (58. ქანთარია).**

„სევასტოპოლი": **ვერემკო, ბოლოხანი, სტეპანოვი, შეველიუხინი, შენდრუკი, მლადენოვი, ლევანდოვსკი, დულიაი, ფერენჩაკი, კივა, აგაჰოვა.**

როგორც უკრაინული გუნდის ვებგვერდიდან შევიტყვეთ, პირველ ტაიმში უპირატესობა „სევასტოპოლის" მხარეს ყოფილა, მაგრამ ჯულიუს აგაჰოვას და **ანდრეი კივას** რეალური მომენტები ვერ გამოუყენებიათ. თუმცა, ანგარიშის გახსნის ბევრად უფრო რეალური შანსი დინამოელებს ჰქონიათ: 32-ე წუთზე უკრაინელთა მცველებს **შოთა კაშიას** წინააღმდეგ თამაშის წესები დაურღვევიათ, მაგრამ თავად დაზარალებულმა პენალტი ვერ გაიტანა — „სევასტოპოლის" მეკარემ სერგეი ვერემკომ ბურთი მოიგერია.

კახა კაჭარავამ ისედაც ექსპერიმენტული შემადგენლობით მოასპარეზე „დინამოში" შესვენების შემდეგ კიდევ რამდენიმე ცვლილება მოახდინა: თუმცა, თუ ისევ უკრაინული გუნდის ვებგვერდს დავუჯერებთ, „სევასტოპოლს", სულ მცირე, სამი რეალური მომენტი გაუცუდებია. მაგრამ, უკრაინელებმა მაინც შეძლეს ამ შეხვედრის თავის სასარგებლოდ დასრულება და აღსანიშნავია, რომ ორივე გოლი პენალტით გაიტანეს: 65-ე წუთზე თავი გამოიჩინა **სერგეი ფერენჩაკმა,** მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე კი შეცვლაზე შემოსულმა **ალექსანდრ ჟაბოკრიცკიმ** ასევე თერთმეტმეტრიანით მატჩის საბოლოო ანგარიში (2:0) დააფიქსირა. აღსანიშნავია, რომ მეორე პენალტს წინ **რობერტინიოს** გაძევება უძღოდა — „დინამოს" ბრაზილიელმა გარემარბმა შეხვედრაში ორი ყვითელი ბარათი დაიმსახურა. აქვე, იმასაც ვიტყვით, რომ კახა კაჭარავამ პოტენციურ უცხოელ ახალწვეულებთან ერთად თავის გამოჩენის შანსი ახალგაზრდა დინამოელებსაც მისცა: **გიორგი ოთარაშვილს, ირაკლი სიხარულიძეს, ზვიად ქანთარიასა და ჯაბა ჯილაურს.**

თურქეთში „დინამო" კიდევ სამ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს და მომდევნო მეტოქედ კვლავაც უკრაინული გუნდი ეყოლება: უმაღლესი ლიგის მეექვსე-ადგილოსანი „ვოლინი". ეს შეხვედრა ხვალისთვის არის დაგეგმილი და დიდია იმის ალბათობა, „დინამოში" კვლავაც რამდენიმე პოტენციური ახალწვეული გამოჩნდეს...

**გია ტუხაშვილი**

● ფანჯარა იაპონიაში

# კონიჩივა, მუმუ! პოლიგლოტი მუჯირი იაპონურსაც ისწავლის

## პირველი ქართველი ჯეილიგაში: დარჩა სამედიცინო შემოწმება. რატომ დატოვა დინამო და არ წავიდა ბელინცონაში?

საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი **დავით მუჯირი** იაპონიის ჯეილიგის "სანფრეჩე ჰიროსიმაში" ვარჯიშობს. ხუთი დღეა, დათო იაპონიაშია, ჯერ კლუბში არ ჩარიცხულა და სამედიცინო შემოწმება უნდა გაიაროს, კონტრაქტი კი, ფაქტობრივად, შეთანხმებულია. გამოცდილი ქართველი იაპონიაში **მიხაილო პეტროვიჩმა** მიიწვია, რომელიც მას გრაცის "შტურმში" ავარჯიშებდა.

იაპონიამდე მუჯირი თბილისის "დინამოში" დარჩენას იმედოვნებდა. ამბობენ, არც ისე ზღაპრულ ხელფასს ითხოვდა, როგორი ხმებიც დაირხა და, დანამდვილებით ვიცით, კარიერის ალიურ კლუბში დასრულება სურდა, როგორც იქნა, ოჯახით სამშობლოში დაბრუნდა და ისევ უცხოეთში მიბრუნებაზე აღარ ფიქრობდა, ელოდა "დინამოს" წინადადებას, მაგრამ მერე რა მოხდა, ჩვენთვის უცნობია.

სხვათა შორის, "დინამოს" მოლოდინში „მუმუს" შვეიცარიაში იწვევდნენ და ეს "ლელოს" თავად უთხრა კლუბის დაუსახელებლად. შევიტყვეთ, რომ მუჯირით დაინტერესებული ის კლუბი "ბელინცონა" იყო. შვეიცარიის უმაღლესდივიზიონელი 32 წლის ფეხბურთელს კონტრაქტს გასინჯვის გარეშე სთავაზობდა, მაგრამ უცებ გამოჩნდა "სანფრეჩე ჰიროსიმა", რომელმაც ბევრად უკეთესი პირობები შესთავაზა. იაპონიის ლიგა ბოლო წლებში პრესტიჟული და სოლიდური გახდა, ამას ნაცნობი მწვრთნელის ფაქტორიც დაემატა და მუჯირსაც დასაფიქრებელი არაფერი ჰქონდა.

**მერაბ მამულაშვილი**



დავით მუჯირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# ვილაცას მოეჩვენა, რომ რაღაცას ვაპირებდი

## დავით ნამგალაური: ფეხბურთის ფედერაციაში კანდიდატურის წარდგენა არც მიფიქრია



**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ნამგალაურს ქართულ ფეხბურთში არსებული ვითარების, ფედერაციის ყრილობის შედეგების შეფასება და იმ ხმების კომენტარი ვთხოვეთ, რომელთა თანახმადაც, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად მის კანდიდატურასც განიხილავდნენ.**

**- როგორ შეაფასებთ ფედერაციის პრეზიდენტად ზვიად სიჭინავას არჩევას?**

- სიჭინავას პრეზიდენტობის ერთწლიანი ვადის შემდეგ მისი მუშაობის დადებითი შეფასება მივილეთ. მიცემული ხმების რაოდენობიდანაც ჩანს, რომ ფედერაციის ყველა სუბიექტი ქართულ ფეხბურთში განვითარებული პროცესებით კმაყოფილია. რა თქმა უნდა, შედეგს გულშემატკივარი ეროვნული ნაკრების თამაშებით აფასებს, მაგრამ უფრო ღრმად თუ შევყვებით, ძალიან ბევრ პრობლემას აღმოვაჩენთ, რომლებიც წლების განმავლობაში გროვდებოდა. ერთ წელიწადში ყველა მათგანს, ცხადია, ვერ ეშველებოდა. თუმცა ბევრი ისეთი ნაბიჯი გადაიდგა, რომლებიც ქართულ ფეხბურთს უკვე წაადგა და სამომავლოდაც წაადგება.

**- საინტერესოა სახელმწიფოსა და ფეხბურთის ფედერაციის სამომავლო ურთიერთობა, რაიმე სიახლე თუ იგეგმება?**

- სახელმწიფო ფედერაციასთან ძალიან მჭიდროდ თანამშრომლობს და ფეხბურთის განვითარებაში სოლიდური წვლილიც შეაქვს. ფედერაციის პროექტები ჩვენი მხარდაჭერით სარგებლობს და მომავალშიც ასე იქნება.

**- რეალურად ვილაპარაკოთ - თემურ ქეცბაიას ნაკრებში მისვლამ იმედები გააჩინა, მაგრამ ზოგადი მდგომარეობა მაინც მეტად რთულია.**

- ჩვენ გვაქვს იმედი, რომ სიჭინავას პრეზიდენტობის ოთხი წელი იქნება ის პერიოდი, რომლის გავლის შემდეგაც უკან მოვიხედავთ და დაგვავიწყდება ქართულ ფეხბურთში არსებული ყველა პრობლემა, ვალი, გაჭირვება, წარუმატებლობა, უსიამოვნება, გაპარტახებული და მიტოვებული სტადიონები. სამწუხაროდ, დღეს ბევრი სტადიონი მძიმე მდგომარეობაშია. ძალიან მინდა, დავიჯერო, რომ ხალხი სტადიონს არა მხოლოდ ეროვნული ნაკრების შეხვედრებისას შეავსებს, არამედ ეროვნული ჩემპიონატების მატჩების დროსაც. ეს ჩემი დიდი სურვილიც არის და ნატვრაც.

**- ფაქტია, ფეხბურთი გიყვართ და, შესაძლოა, ამის გამო მოგაწერეს, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში კანდიდატურის წამოყენებაზე ფიქრობდაო.**

- არა, არა! მერწმუნეთ, ნაღდად არ ვაპირებდი.

**- რას არ გაიგებს ადამიანი... მართლა არ აპირებდით?**

- ნამდვილად არ ვაპირებდი. ეს ხმები ჩემამდეც მოვიდა და ვიცინე კიდეც. მე ვარ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე და საყვარელ საქმეს ვაკეთებ. ვკურირებ არა მხოლოდ ფეხბურთს, სპორტის სხვა მნიშვნელოვან და ჩემთვის საყვარელ სახეობებსაც. ეს ჩემთვის საპატიო თანამდებობაც არის და საპასუხისმგებლოც. მოკლედ, სამინისტროში თავს ცუდად არ ვგრძნობ. სამინისტრო და ფედერაცია იმდენად მჭიდროდ ვთანამშრომლობთ, მართალი რომ ყოფილიყო, ერთხელ მაინც მკითხავდნენ. ეტყობა, ვილაცას მოეჩვენა, რომ რაღაცას ვაპირებდი, მაგრამ ეს ჭორია.

**- ჩავთვალოთ, რომ ჭორია, მაგრამ ჭორი ნამდვილად არ არის ის, რომ პრეზიდენტი უახლოეს პერიოდში ფებურთის განვითარების მასშტაბურ პროექტს წარმოადგენს.**

- სახელმწიფო ფეხბურთისთვის დღესაც ყველაფერს აკეთებს. დამიჯერეთ, ეს მხოლოდ ფინანსურ დახმარებაში არ გამოიხატება - იცით, რომ ფედერაციას 7 მილიონ ლარს ვაძლევთ. ვეხმარებით კერძო კლუბებს, რათა სპონსორები და პატრონები მოიძიონ, რადგან ერთ დროს კლუბები სახელმწიფოს ეკუთვნოდა და გარკვეული პასუხისმგებლობა გვეკისრება. ამას გარდა, ხელს ვუწყობთ ჩემპიონატის განვითარებას. ბიზნესმენებთან შეხვედრებისას მათ ყოველთვის ვეუბნებით, რომ ფული ფეხბურთში, კლუბში ან ინფრასტრუქტურის განვითარებაში დააბანდონ. ცალ-ცალკე არც ჩვენ გამოგვივა საქმე და არც ფედერაციას, თუ ერთმანეთთან არ ვითანამშრომლებთ.

დღეისთვის ამიტომაც არის კონკრეტული შედეგები. ჩვენ გვინდა, ყველა რეგიონში უცებ აშენდეს კარგი სტადიონები, საფეხბურთო სკოლები და ბაზები, მაგრამ ამას დრო სჭირდება. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ლამის ოცი წელი საქართველოში კი არ ვაშენებდით, ვანგრევდით, ერთი ხელის მოსმით კი დანგრეულს ვერავინ აღადგენს. ჩვენს თაობას ძალიან მძიმე მისია დაეკისრა, დანგრეულიც უნდა აღვადგინოთ, კადრებიც აღვზარდოთ, წარმატებასაც მივაღწიოთ... ყველაფერს რა ჩამოთვლის. რასაც მოვასწრებთ, უნდა გავაკეთოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

უცხოურ პრესაში



ჯანო ანანიძე და რევაზ ჩელებაძე

# რევაზ ჩელებაძე: ინიესტას გამზრდელს ანანიძე აინტერესებს

**"სპორტ-ექსპრესში" ცნობილი ქართველი ფეხბურთელის რევაზ ჩელებაძის ვრცელი ინტერვიუ გამოქვეყნდა. გთავაზობთ ქართველი მკითხველისთვის საინტერესო ნაწილს ამ ინტერვიუდან.**

**- დიდი ხანია, აგენტობთ?**

- ადრე ოფიციალურად აგენტად არ ვითვლებოდი. თუმცა კიევის "არსენალში" მივიყვანე შალვა აფხაზავა, მოსკოვის "სპარტაკში" - ხიზანეიშვილი, მჟავანაძე, ლომაია, კიევის "დინამოში" - ამისულაშვილი და მარცვალაძე.

**- გაზეთებში დაიწერა, თითქოს შეიძლებოდა, ჯანოს რუსეთის ნაკრებში ეთამაშა. ასეა?**

- არა. მაგრამ ეს არც მე მსურდა და არც ჯანოს, ჩვენ ხომ ქართველები ვართ. გამოჩნდა თვითნაბადი ტალანტი და რა უფლება მქონდა, ჩემი ქვეყანისთვის ეს სიხარული წამერთმია? თუმცა ჯანოსა და მისი მშობლებისთვის რუსული პასპორტი დროულად რომ გაეფორმებინათ, რუსეთის ნაკრებზე ლაპარაკი შესაძლებელი იქნებოდა. მოქალაქეობის მიღებაზე გვესმოდა, ხვალ, ზეგ, ერთი თვის შემდეგ გადავწყვეტთო. როდესაც ანანიძემ საქართველოს ნაკრებში ითამაშა, საკითხი მოიხსნა.

შვეიცარიის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩამდე ანანიძე ივანიშვილმა გააფრთხილა, ფრთხილად იყავიო. ივანიშვილი შვეიცარიაში თამაშობს და, თურმე, თანაკლუბელმა თამაშამდე უთხრა, ნახავ, ანანიძეს პირველივე წუთზე დაგიმტვრევთო. მართლაც, ჯანომ ბურთი მიიღო და ამ ბიჭმა არ მოცელა?!

**- ჯანოს შვეიცარიაშიც იცნობენ?**

- მთელი საფეხბურთო სამყარო იცნობს. თავისი ქვეყნის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელია. "ბარსელონაში" ორი 13 წლის ბავშვი მივიყვანე და მიმიღო ადამიანმა, რომელმაც ინიესტა გაზარდა. მას საკუთარი საფეხბურთო სააგენტო აქვს. ანანიძეზე მითხრა: "ჩვენ ანანიძით დაინტერესებული ვართ". ვუპასუხე, ჯანოს და "სპარტაკს" არსად ეჩქარებათ-მეთქი. ჩვენ კლუბის წინააღმდეგ არ წავალთ, იქ ჯანოს კარგად ექცევიან. მამამისს ცსკა და სხვა კლუბები დაუკავშირდნენ, აგენტები მუდამ რაღაცას სთავაზობენ, მაგრამ ყველას "სპარტაკში" ვაგზავნით - მათ ელაპარაკეთ-თქო.

**- კოტე მახარაძე ამბობდა, საქართველოში ფეხბურთი მოკვდაო. მართალი იყო?**

- მართალი როგორ არ იყო?! გაგიგიათ ანეგდოტი: "დაიბადა ინგლისში, გაიზარდა ბრაზილიაში, მოკვდა საქართველოში, რა არის? ფეხბურთი". ჩვენთან მხოლოდ ოთხ კლუბია, სადაც ცუდი პირობები არ არის და არც ისე ცოტას გამოიმუშავებენ.

**- არც ისე ცოტა რამდენია?**

- ორი-სამი ათასი დოლარი. დანარჩენები იხდიან 500-ს, ზოგან ნაკლებსაც. ზოგიერთ სტადიონზე წყალი არ არის. ფეხბურთელები ვარჯიშის მერე, სახლში იბანენ. მოედნები საშინელ მდგომარეობაშია. ბათუმში სტადიონი საერთოდ არ არის, ხუთი წლის წინ 17-ათასიანი არენა დაანგრიეს, სადაც ბათუმის "დინამო" გამოდიოდა და იქ სასტუმრო ააშენეს. მას შემდეგ გუნდი სკოლის ტერიტორიაზე თამაშობს, სადაც 200-ადგილიანი ტრიბუნაა.

**მერაბ მამულაშვილი**

U 17

# ბაიერნი ჰუფნაგელს საესპანეთოდ გვიმზადებს

გერმანიის ჭაბუკთა ლიგაში მარტამდე შესვენებაა გამოცხადებული და მისი მონაწილენი ტონუსს ამხანაგური მატჩებითა და სხვადასხვა ტურნირებით ინარჩუნებენ. სასიხარულოა, რომ "ბაიერნის" 17-წლამდელთა გუნდის თამაშებს თითქმის არ აკლდება **ლუკას ჰუფნაგელი**. არადა, სეზონის სტარტი მას ტრავმის გამო გაუცდა და კონდიციები შემოდგომაზეღა აღიდგინა – სწორედ იმ დროისთვის, როცა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა და ჩვენი გუნდის ელიტრაუნდში გასვლაში თავის წვლილი შეიტანა.



ლუკას ჰუფნაგელი

ლუკასს მიმდინარე სეზონში მხოლოდ სამი ოფიციალური მატჩი აქვს ჩატარებული - "აინტრახტისა" და "კარლსრუეს" წინააღმდეგ შეცვლაზე შევიდა, "ფიურტთან" კი ძირითადში იყო. მანამდე იგი ჯერ ტრავმის, ხოლო შემდეგ საქართველოს ნაკრებში გამოძახების გამო ვერ თამაშობდა.

ინტერნეტში "ბაიერნის" 17-წლამდელთა მწვრთნელის, **ფრანც ბეკენბაუერის** ვაჟის **შტეფან ბეკენბაუერის** კომენტარს წავაწყდით, სადაც იგი რამდენიმე ფეხბურთელის გამოჯანმრთელებით კმაყოფილებას გამოთქვამს და ლუკასზე ცალკეც საუბრობს, სადაც მის პროგრესს უსვამს ხაზს.

გერმანიაში ჭაბუკთა ლიგა 3 მარტს განახლდება და რაკი ჰუფნაგელს ამხანაგურებში სისტემატურად ათამაშებენ, წესით, ძირითადში მოხვედრის რეალური პრეტენდენტიც უნდა იყოს. 17-წლამდელთა ლიგის სამხრეთ ზონაში, რომელშიც 14 გუნდი გამოდის, "ბაიერნი" მე-4 ადგილზეა.

სხვათა შორის, მასზე ერთი ადგილით წინაა "მიუნხენ 1860", რომლის რიგებშიც საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების კანდიდატ **ლუკა ჩხაიძეს** სამი ოფიციალური მატჩი აქვს ჩატარებული.

ჰუფნაგელი საქართველოს ნაკრებს თებერვლის ბოლო რიცხვებში შეუერთდება და ესპანეთში იქაურ 17-წლამდელებთან ჩასატარებელ ამხანაგურ მატჩებში მიიღებს მონაწილეობას, რის შემდეგაც ცოტა ხნით "ბაიერნს" დაუბრუნდება და მერე ჩვენს გუნდს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდის წინ დაუბრუნდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ხელმოწერის მსურველთა საყურადღებოდ!

„ლელოზე" ხელმოწერის გასაფორმებლად ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ ჩვენი საგამომცემლო სახლის სააგენტოს ელვა.ჯი. სურვილის მიხედვით სააგენტოს წარმომადგენელი თავად მოგაკითხავთ ორგანიზაციაში ხელმოწერის ნებისმიერი რიცხვიდან გასაფორმებლად. გაზეთის დროული და უკლებლივ მოწოდება გარანტირებულია.

დარეკეთ: 38 26 73; 38 26 74 ელვა.ჯი.

● სატრანსფერო ამბები

# ჩელსი ტორესს უტევს

„ჩელსიმ“ ინგლისური საფეხბურთო სამყარო გააოგნა: „ლივერპულს“ **ფერნანდო ტორესში** 35 მილიონი ფუნტი შესთავაზა...: და, რასაკვირველია, უარი მიიღო. ეს ამბავი მერსისაიდელთა პრესმდივანმა დაადასტურა:

*„ფერნანდოს შესახებ „ჩელსისგან“ მართლა მივიღეთ წინადადება, მაგრამ უარი შევუთვალეთ. ეს ფეხბურთელი არ იყიდება“.*

მაგრამ, ამბობენ, რომ ინგლისის ჩემპიონთა მეპატრონე **რომან აბრამოვიჩი** ასე იოლად არ დანებდება და „ენფილდ როუდზე“ ახალ წინადადებასს გაგზავნის - გასულ ზაფხულს ფერნანდო ტორესსა და „ლივერპულს“ შორის დადებულ ხელშეკრულებაში ესპანელის გამოსასყიდ თანხად 50 მილიონი ფუნტი ჩაწერეს. ცნობილია, რომ დასავლეთლონდონელები დიდი ხანია ტორესის ნიჭის თაყვანისმცემლები არიან და ახლა პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმაც გადაუწყვეტიათ.

მოგეხსენებათ, მიმდინარე სეზონი „ჩელსიმ“ ბრწყინვალედ დაიწყო, მაგრამ მერე სერიოზული ჩავარდნა ჰქონდა, საიდანაც ახლაღა აღწევს თავს. აბრამოვიჩი ამ ჩავარდნამ ძლიერ გაანაწყენა და გუნდის გადახალისებაზე დაიწყო ფიქრი. „ლურჯების“ მთავარი თავდამსხმელი **დიდიე დროგბა** უკვე 33 წლის არის, ასე რომ, წინა პლანზე ბუნებრივად გამოდის ახალი ფორვარდის შეძენის საკითხი.

მეორე მხრივ, „ლივერპულის“ ახალი ამერიკელი მეპატრონეებიც ჯიუტი ხალხი ჩანან და ტორესის დათმობას არ აპირებენ. მსოფლიოს ჩემპიონი „ლივერპულმა“ 2007 წელს მადრიდის „ატლეტიკოსგან“ იყიდა და მას მერე „ენფილდის“ გმირია. მიმდინარე სეზონში არც ტორესის საქმეები მიდის სახარბიელოდ - 26 წლის თავდამსხმელი მუნდიალის ფინალში დაშავდა და მას შემდეგ ვერა და ვერ აღიდგინა ჩვეული ფორმა, თუმცა მას მერე, რაც „ლივერპულის“ თავკაცის თანამდებობაზე **როი ჰოჯსონი კენი დაგლიშმა** შეცვალა, ტორესი „იშტაზე მოვიდა“ და 4 შეხვედრაში 3 გოლი შეაგდო.

თუკი აბრამოვიჩს ლივერპულში ტორესის თაობაზე ახალი წინადადების გაგზავნა მართლა სურს, უნდა იჩქაროს, რადგან ეგრეთ წოდებული სატრანსფერო ფანჯარა ორშაბათს, საღამოს 11 საათზე იხურება. ფერნანდო ტორესის მერსისაიდური კონტრაქტი 2013 წლის ზაფხულამდეა ძალაში. ესპანელი კვირაში 110 ათას ფუნტს იღებს, მაგრამ ინგლისურ პრესაში წერენ, რომ „ჩელსი“ ამ ჯამაგირს იოლად გაუორმაგებს.



ფერნანდო ტორესი

● მოსაზრება

# რუნის ბედი მანჩესტერში



უეინის მანჩესტერული კარიერა საფრთხეშია?

ინგლისში მიმომხილველთა საკმაოდ დიდ ნაწილს, თურმე ჯერ კიდევ ღრღნის ეჭვი, რომ **უეინ რუნი** „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ წავა და ეს ზაფხულზე მოხდება. ასეთი სიტყვები ამოვიკითხეთ „სანის“ ჟურნალისტის **სტივენ ჰოვარდის** წერილში და, ვინაიდან მისტერ ჰოვარდმა პირველივე წინადადებაში ინტრიგა შემოგვთავაზა, წერილს ბოლომდე ჩავყევით. რუნიმ, მოგეხსენებათ, „იუნაიტედთან“ სულ ახლახან გააფორმა ხუთწლიანი კონტრაქტი და თან ისეთ ხელფასს გამოჰკრა ხელი, რომ თუ ვინმე მის ყიდვას გადაწყვეტს, ძალიან დიდი თანხის გადახდა მოუხდება.

ეს ეჭვი მანჩესტერელი ფანების უმეტესობას, შესაძლოა, ბოდვადაც მიაჩნია, მაგრამ სამშაბათს, „ბლუმფილდ როუდზე“, „ბლექპულისა“ და „იუნაიტედის“ შეხვედრაში (მანჩესტერელებმა 3:2 მოიგეს) დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა რუნისშემდგომი ეპოქის კონტურებს. გახსოვთ, რა მოხდა იმ შეხვედრაში? პირველ ტაიმის შემდეგ „ბლექპული“ 2:0-ს იგებდა, მეორე ტაიმის 66-ე წუთზე კი სერ **ალექს ფერგიუსონმა** რუნი **ხავიერ ერნანდესით** შეცვალა და... თამაშის ნირი და ბედიც იქ შემოტრიალდა - „იუნაიტედმა“ სამი გოლი გაიტანა. ერნანდესს მართალია მაისურზე ფრიად კნინობითი მეტსახელი, ჩიჩარიტო ანუ პატარა ბარდა აწერია, მაგრამ ისე თამაშობს, რომ აშკარაა, „მანჩესტერ იუნაიტედში“ დიდი მომავალი ელის. იმ დღეს, „ბლუმფილდ როუდზე“, მან **დიმიტარ ბერბატოვის** ორ გოლს შორის ერთი თავისიც შეაგდო. ერთი სიტყვით, გამოთქმა, - „მანჩესტერ იუნაიტედში“ რუნი შეუცვლელია - როგორც ჩანს, თანდათან, ისტორიას ბარდება. ასევე გაქარწყლებულია სტერეოტიპი, რომ ბერბატოვს გოლი მხოლოდ მაშინ გააქვს, როდესაც რუნია მოედანზე.

იმავდროულად, სტივენ ჰოვარდი ცდილობს ობიექტური იყოს და ამბობს, რომ ჩიჩარიტოს მოედანზე შესვლა იმ დროს დაემთხვა, როდესაც სირბილით ქანცგამძვრალ „ბლექპულს“ ბუნებრივი დალმასვლა უნდა დაწყებოდა. კიდევ, ჟურნალისტი არ ივიწყებს მავანთა მოსაზრებას, რომ ერნანდესი შეცვლაზე გაცილებით ეფექტურია, ვიდრე მაშინ, როდესაც სასტარტო შემადგენლობაშია, მაგრამ არც ფერგიუსონის თითქოსდა ზოგადი ნათქვამის უგულებელყოფა შეიძლება:

*„ჩვენი გუნდისთვის ჩიჩარიტო საოცრად სასარგებლოა და მან ეს ძალიან მოკლე დროში მოასწრო. საოცარია მისი სისწრაფე და მომენტის შეგრძნება“.*

ჰოვარდი რუნის გამართლებას კიდევ იმით ცდილობს, რომ იმ დღეს **იან ჰოლოუეის** გუნდი პერიოდულად ძალ-ღონის მოზღვავებას განიცდიდა, სტუმრებს ჯიქურ უტევდა და ამის გამო „იუნაიტედის“ ვარსკვლავს ფრთაზე უხდებოდა გადასვლა, მაგრამ იმ მონაკვეთებში, როდესაც ის შუაში ბრუნდებოდა, მანჩესტერელების შეტევა მაინც უსახური რჩებოდა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჩიჩარიტოს სახით უეინ რუნის „მანჩესტერ იუნაიტედში“ სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა და, შესაბამისად, ინგლისელის „მანჩესტერში“ ყოფნა-არყოფნის საკითხიც ღიად რჩება.

„სანის“ ჟურნალისტი იგონებს რამდენიმე თვის წინანდელს, როდესაც რუნიმ „იუნაიტედიდან“ წასვლაზე დაიწყო ლაპარაკი და ხალხი მყისვე შეუდგა მარჩიელობას - რას ილონებს ამაყი ფერგიუსონი, რათა ფეხბურთელმა კი არ მიატოვოს ის, არამედ მან გააგდოს ფეხბურთელი? დღეს, როდესაც გუნდი რუნის დახმარების გარეშეც პრემიერლიგას ლიდერობს და ერთი წაგებაც კი არ უწნევია, მწვრთნელის პოზიციები, რასაკვირველია, ძლიერდება. თუ „მანჩესტერ იუნაიტედი“ მთელ ჩემპიონატს დაუმარცხებლად გაივლის, სეზონის ბოლოს ფერგიუსონი ფეხბურთელებს თავის ნებაზე დაატრიალებს.

რუნის შემთხვევაში ორი ვარიანტი იკვეთება: დიდძალი ფულის ეშხით მისი „რეალისთვის“ მიყიდვა (ოღონდ, ისიც უნდა ვიკითხოთ, სჭირდება თუ არა **ჟოზე მოურინიოს** რუნი) ან გუნდში დატოვება და მისთვის ახალი ფუნქციის შეთავაზება - ჩიჩარიტოსა და ბერბატოვს უკან.

● ბლექპულის ამბები

# ვინ ოხერია პრემიერლიგა?

გუშინ მოგახსენებდით, რომ თუკი „ბლექპული“ შოტლანდიელ ვარსკვლავს **ჩარლი ადამს** გაყიდის, შემოსული თანხის ნაწილი მწვრთნელის **იან ჰოლოუეის** ჯიბეში წავა - ასე ყოფილა კონტრაქტი შედგენილი. ამ ცნობამ ინგლისში ხმაური გამოიწვია. მართალია ჰოლოუეი უკანონოს არაფერს აკეთებს, მაგრამ კითხვა, უნდა ერეოდნენ თუ არა მწვრთნელები ფეხბურთელებით ვაჭრობაში, სრული სერიოზულობით წამოიჭრა. წეს-კანონებში ცვლილება ლიგის მწვრთნელთა ასოციაციის აღმასრულებელმა შეფმა **რიჩარდ ბივენმა** მოითხოვა. მან თქვა:

*„ჩვენ სტანდარტული კონტრაქტები უნდა შევიმუშაოთ. ყველაფერი მკაფიო უნდა იყოს. დღეს კლუბებს თავიანთ მწვრთნელებთან ერთმანეთისგან განსხვავებული კონტრაქტები აქვთ გაფორმებული. ყველას აქვს უფლება, კლუბის ხელმძღვანელებთან დაჯდეს და ხელშეკრულებაში რაც მოეპრიანება, ის ჩააწერინოს. ეს პრობლემაა. უნდა არსებობდეს კონტრაქტის სტანდარტული ფორმა“.*

მაგრამ, იმის ხაზგასასმელად, რომ პირადად ჰოლოუეის არაფერს ერჩის, ბივენმა „ბლექპულის“ თავკაცი შეაქო: *„ფაქტია, რომ ის ჩინებულად მუშაობს. ამ გუნდში ასეთი წარმატებისთვის რა ხანია არავის მიუღწევია“.*

„ბლექპულის“ მწვრთნელის მხარდასაჭერად ხმა მეზობელი „ბოლტონის“ თავკაცმა **ოუენ კოილმაც** ამოიღო:

*„მე ფეხბურთელის გაყიდვიდან არაფერი მრჩება, კონტრაქტში ასეთი მუხლი არ მაქვს, მაგრამ ეს არაფერ შუაშია. ნებისმიერი სპეციალისტი გააფორმებს ისეთ ხელშეკრულებას, როგორზეც გაურიგდება თავისი კლუბის ხელმძღვანელობას“.*

შეფს მხარი „ბლექპულის“ ფეხბურთელებმაც დაუჭირეს. ზღვისპირელთა თავდამსხმელმა **გერი ტეილორ ფლეტჩერმა** განაცხადა:

*„ჩვენს გუნდში არავის აქვს საწინააღმდეგო, მწვრთნელმა ჩარლის გაყიდვის შემთხვევაში ორი კაპიკი რომ იშოვოს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჩვენ თავად ჩარლის გაყიდვა არ გვინდა. სხვათა შორის, ეს ყველაზე მეტად იანს არ უნდა და მაშ რაღა ფულის კეთებაზეა ლაპარაკი? როდესაც მწვრთნელი მოიყვანს ფეხბურთელს, გუნდს მოარგებს, კარგად აათამაშებს და შედეგებს მიაღწევს, ყველაზე დიდ შემოსავალს სწორედ მაშინ მიიღებს. და, მეორე მხრივ, როდესაც კაცი ამდენ რამეს აკეთებს, ფული რატომ არ უნდა დარჩეს?“*

ბოლო დღეებში „ბლექპული“ კიდევ ერთ შარში გაეხვია - 25 ათასი ფუნტით დააჯარიმეს. პრემიერლიგის კლუბისთვის 25 ათასი ფუნტი შესაძლოა დიდი თანხა არ არის, მაგრამ აქ პრინციპია მნიშვნელოვანი: რატომ დააკისრეს იან ჰოლოუეის გუნდს ჯარიმა? იმიტომ, რომ 10 ნოემბერს, „ასტონ ვილას“ წინააღმდეგ შესუსტებული შემადგენლობა ათამაშა. უფრო ზუსტად, ასე იყო: წინა შეხვედრაში „ბლექპულმა“ „ევერტონთან“ 2:2 ითამაშა, „ასტონ ვილასთან“ კი 10 კაცი შეცვალა და... ბოლოწამს გაშვებული გოლის გამო 3:2 წააგო.

ჰოლოუეი ამტკიცებს, რომ რაკილა პრემიერლიგამ შემოიღო წესი, რომლის თანახმადაც ყველა კლუბს განაცხადში უნდა ჰყავდეს მხოლოდ 25 ფეხბურთელი, მაშინ ნუღარ ჩაერევიან, ამ 25 კაციდან რომელ 11-ს ათამაშებს მწვრთნელი ამა თუ იმ შეხვედრაში.

*„თუ მე დამსჯიან იმიტომ, რომ შესუსტებული შემადგენლობა ვათამაშე, სულ დავანებებ მუშაობას თავს. არ მაინტერესებს, რას იტყვიან სხვები. ჩემი საქმისა მე ვიცი. საკითხს ასე დავაყენებდი: ვინ ოხერია პრემიერლიგა, მუშაობა რომ მასწავლოს და შემადგენლობის ცვლილება მიკონტროლოს?“*

მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ჰოლოუეის ემოციური გამოსვლის მიუხედავად პრემიერლიგას ხელი არ აუკანკალდა და „ბლექპული“ 25 ათასით დააჯარიმა.



ჰოლოუეის ნილებმა დიდი ხმაური გამოიწვია

## ვუდგეიტის შანსი

**ჯონათან ვუდგეიტს** ძველებურად თავის გამოჩენის შესაძლებლობა ეძლევა. „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ ტრავმებით დატანჯულ ფეხბურთელს მწვრთნელმა, **ჰარი რედნაპმა** „ვულვერჰემპტონისკენ“ დაულოცა გზა და ახლა, 30 წლის მცველს შეუძლია გასავარდნთა ზონაში დატრიალდეს თავისებურად. რედნაპმა თქვა:

*„თუ ჯონათანი წინააღმდეგი არ იქნება, მე სიამოვნებით გავუშვებ იქ, სადაც ხშირად ათამაშებენ. მან სარეზერვო გუნდსა და ვარჯიშებზე რამდენჯერმე უკვე გააგორა ბურთი, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ახლა მისთვის კარგი იქნება, ნამდვილ ბრძოლებში თუ მიიღებს მონაწილეობას. ამისათვის რომელიმე გუნდის ძირითად შემადგენლობაში ყოფნაა საჭირო“.*

ამბობენ, რომ „ვუდის“ გადაბირება „ნიუკასლსაც“ უნდოდა, მაგრამ „კაჭკაჭებმა“ სურვილს პრაქტიკული ნაბიჯი არ მოაყოლეს, „ვულვზმა“ კი „სფურზს“ წინადადებით მიმართა.

ჯონათან ვუდგეიტს ტრავმა 2009 წლის ნოემბრიდან სტანჯავს. ოპერაცია მან ავსტრალიაში გაიკეთა და როგორც მოგახსენეთ, გუნდს დაუბრუნდა კიდეც, მაგრამ „ტოტენჰემის“ შემადგენლობაში დიდი კონკურენციაა და მასზე წინ **უილიამ გალასი, მაიკლ დოუსონი, ლედლი კინგი** და **იონ ქაბული** არიან.



## კაპელოს აღიარება

ინგლისის ნაკრების იტალიელმა თავკაცმა **ფაბიო კაპელომ ადამ ჯონსონს** შეუთვალა, თუ შენი პოტენციალის სრულად გამოვლენა გინდა, პირადი ცხოვრება უნდა მოიწესრიგოო. კაპელომ „მანჩესტერ სიტის“ გარემარბის პირადი ცხოვრების ამბები ყვითელი გაზეთებიდან შეიტყო, მაგრამ 23 წლის ახალგაზრდა ეროვნული გუნდის თავკაცს შეეპასუხა:

*„მე კარგ ფორმაში ვარ და ესე იგი, მოედანს მიღმაც სწორედ ვცხოვრობ, თორემ მოედანზე სხვანაირად გამოვჩნდებოდი“.*

თუმცა, კაპელომ ინგლისური საფეხბურთო საზოგადოება სხვა რამით გააკვირვა - მან აღიარა, რომ საოცრად შეცდა **თეო უოლკოტი** მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ არ წაიყვანა. მრისხანე იტალიელისგან ასეთ სიტყვებს არავინ ელოდა:

*„თეოს დატოვება ჩემი დიდი შეცდომა იყო. ის ერთ-ერთი იმ ფეხბურთელთაგანია, რომელსაც გადამწყვეტი როლის თამაში შეუძლია. ძალიან მიხარია, რომ ის გამოჯანმრთელდა. ტრავმის შემდეგ ისევე თამაშობს, ტრავმამდე როგორც თამაშობდა. თუკი ფიზიკურად კარგ ფორმაში იქნება, სასტარტო შემადგენლობაში ჩავსვამ“.*

კაპელოს თქმით, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ უოლკოტი სწორედ ფიზიკურად ვერ იყო კარგ ფორმაში, მაგრამ მას იგი სამხრეთ აფრიკაში მაინც უნდა წაეყვანა, რადგან 21 წლის არსენალელს მოედანზე ბოლო წუთებში შესვლითაც შეუძლია საქმის კეთება.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

ესპანეთი. ლა ლიგა. XXI ტურის წინ

# გახსოვდეთ ერკულესი!

## ადებაიორს ნავარაში თამაში სურს

**დღეს**

**ლევანტე-ხეტაფე** 21:00

**ტრავმა:** როდასი (?), ნანო, სერხიო, პერესი, გონსალესი - ალვარესი, არისმენდი

**მალაგა-სარაგოსა** 21:00

**დისკვალიფიკაცია:** დემიკელისი, ველიგტონი, აპონიო - კონტინი

**ტრავმა:** რუბენი - ობრადოვიჩი

**მალიორკა-სპორტინგი** 21:00

**რეალ სოსიედადი-ალმერია** 21:00

**ტრავმა:** დ. ალვეში (ალმ)

**ერკულესი-ბარსელონა** 23:00

**ტრავმა:** ვალდესი (?), დრენტე, პასი - ჟეფრენი, პუიოლი, კრკიჩი, დ. ალვეში (?)

**დეპორტივო-სევილია** 01:00

**დისკვალიფიკაცია:** კანუტე (სევ)

**ტრავმა:** გუარდადო, საული, რინდაროი, მ. პაბლო (?) - ს. სანჩესი, რომარიკი

**ხვალ**

**ატლეტიკო-ბილბაო** 20:00

**დისკვალიფიკაცია:** რ. გარსია (ატლ)

**ტრავმა:** მ. სუარესი, რეიესი (?) - ამორებიეტა (?), გომესი, აურტენეჩე

**ოსასუნა-რეალი** 22:00

**დისკვალიფიკაცია:** მ. დიარა (რეალი) გუნდიდან წავიდა

**ტრავმა:** მონრეალი, რუპერი, სეხუდო, ს. ფერნანდესი (?) - დუდეკი, პეპე, იგუაინი, ადებაიორი (?)

**ესპანიოლი-ვილიარეალი** 00:00

**დისკვალიფიკაცია:** რუისი (ვილიარეალი) გუნდიდან წავიდა

**ტრავმა:** პ. ოსვალდო, ბაენა (?), დე ლა პენია, გალანი, მატიონი - ხუან კარლოსი, სენა, ნილმარი, მარჩენა

**ზეგ**

**რასინგი-ვალენსია** 00:00

ჩემპიონს 20-მატჩიან გრაფაში ერთადერთი მარცხი რომ უწერია, ის სწორედ „ერკულესმა" აგემა ჩემპიონატის I ნახევარში, „კამპ ნოუზე" 2:0 მოუგო. მაშინ პარაგვაელმა **ნელსონ ვალდესმა** ჯერ ცაციათი, შემდეგ კი მარჯვენათი აილო **ვიქტორ ვალდესის** კარი და ლა ლიგის მიმდინარე სეზონის უმთავრესი სენსაცია გამოაცხო. დღეს ეს გუნდები უკვე ალიკანტეში შეხვდებიან ერთმანეთს, „ერკულესი" 22 ქულით მე-12 ადგილზეა. საიტ „ტრანსფერმარკტის" მტკიცებით, „ერკულესის" ფეხბურთელთა ჯამური საბაზრო ფასი 52 მილიონი ევროა, მაშინ როცა „ბარსელონა" 545 მილიონი „ღირს", ანუ ათჯერ ძვირია. მაშ ასე, დღეს 56 წლის **ესტებან ვიგოსა** და 40 წლის **ხოსეპ გვარდიოლას** შორის მეორე სამწვრთნელო დუელია, პირველი ვიგოს დარჩა.

„ერკულესის" რიგებში ყველაზე სახიფათო ფეხბურთელი **დავიდ ტრეზეგეა**, ფრანგს ბევრი შემოთავაზება ჰქონდა იტალიური კლუბებისგან, მაგრამ აპენინებზე დაბრუნება, ვგონებ, გამორიცხა - ტრეზეგე 9 გოლით „ერკულესის" ბომბარდირია. თავისთავად, მნიშვნელოვანი ფიგურაა ნელსონ ვალდესიც (6 გოლი ჩემპიონატში, აქედან 2 „ბარსელონას" კარში). ალიკანტეურ კლუბში სამხრეთამერიკელი თავდამსხმელის უკან თამაშობს. „ერკულესის" მესამე ლიდერ **როისტონ დრენტეს** კი კლუბთან პრობლემები აქვს, რასაც მუხლის ტრავმაც დაერთო. სხვათა შორის, ვალდესსაც ტრავმა აწუხებს, მაგრამ არა ისეთი, რომ „ბარსელონასთან" მატჩი გამოტოვოს.

ხოსეპ გვარდიოლას გუნდში მატჩის წინ ერთი შევსებაა - კუნთის ტრავმა მოირჩინა და მატჩის განაცხადში იქნება ბრაზილიელი **დანი ალვეში**, რომელიც ვერაფრით შეუთანხმდა „ბარსელონას" და, ალბათ, კლუბიდან წავა. სამაგიეროდ, მონამლული **ბოიან კრკიჩი** დროულად ვერ გამოჯანმრთელდა და ის კატალონიაში დატოვეს, ვალენსიის მხარეში გვარდიოლამ 19 ფეხბურთელი წაიყვანა, ბოიანის ნაცვლად განაცხადში ფორვარდი **ნოლიტო** მოხვდა, მე-19 ფეხბურთელი კი მცველი **ფონტასია**. „ბარსას" არ ეყოლება ტრავმირებული კაპიტანი **კარლეს პუიოლი** და **ჟეფრენ სუარესი**.

ჩემპიონმა ლა ლიგაში 9 საგარეო შეხვედრა მოიგო ზედიზედ, თუკი ალიკანტეში იმარჯვებს, ეს მეათე გამარჯვება იქნება. პეპი გახარებულიც არის, რომ გუნდს ახლა საგარეო მატჩი უწევს: *„იქნებ მანამდე „კამპ ნოუს" მინდვრის საფარმა დაისვენოს და კარგ მდგომარეობაში იყოს მომავალი ტურისთვის"*, - ამბობს მწვრთნელი.

„ბლანკოებმა" კარგად იციან, რომ საჩემპიონო რბოლის გაგრძელებისთვის მათ ყველა მატჩი უნდა მოიგონ, სხვაობა (ანუ ჩამორჩენა) „ბარსელონასთან" 4 ქულაა. „სამეფო კლუბი" ხვალ ნავარას ესტუმრება. ჟოზე ფრთხილად უნდა იყოს, „რეალმა" ამ სეზონში სულ 4-ჯერ წაიფორხილა და ყველა ამ შემთხვევაში გუნდი სტუმრად თამაშობდა. სხვათა შორის, **ემანუელ ადებაიორმა** გამოთქვა სურვილი უკვე „ოსასუნასთან" ითამაშოს, თუმცა, ბუნებრივია, ეს საკითხი მარტო მისი გადასაწყვეტი არაა. **მაჰამადუ დიარა** კი აღარასოდეს ითამაშებს „რეალის" თეთრი მაისურით - მალელი „მონაკოში" გადავიდა.

„ოსასუნას" ცუდი დროება უდგას, ბოლო ორი თვეა ნავარული კლუბი გასავარდნ ზონაში ჩაეშვა. **ხოსე ანტონიო კამაჩოს** თავის ყოფილ კლუბთან დაპირისპირებაში არ ეყოლება **ნაჩო მონრეალი, რუპერი** და ახალწვეული **ალვარო სეხუდო. სერხიო ფერნანდესმა** გასულ კვირაში მუხლი დაიზიანა, მაგრამ რენტგენზე სერიოზული პრობლემა არ დაფიქსირდა. და მაინც, ფერნანდესის თამაში საეჭვოა. მწვრთნელს კარგი ამბებიც აქვს, აზიის თასიდან დაბრუნდნენ გუნდის ირანელი ლიდერები **ჯავად ნეკუნამი** და **მასუდ შოჯაეი**, უკვე ნორმალურად ვარჯიშობს **ვალტერ პანდიანი** და სამხრეთამერიკელი, ალბათ, სათადარიგოთა სკამზე დაიწყებს მატჩს და საჭიროების შემთხვევაში, „რეალის" კარსაც შეუტევს.

კვირის მატჩებიდან კიდევ ერთს გამოვყოფთ - „ვილიარეალი" ბარსელონაში „ესპანიოლს" სტუმრობს. ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლი ორი კლუბი „6-ქულიან" დაპირისპირებაში გაარკვევს უკეთესს. „ესპანიოლს" მთავარი მეგოლის, **პაბლო ოსვალდოს** არყოფნა კაპიტან **ლუის გარსიასა** და **ხოსე კალეხონის** კარგმა თამაშმა თითქმის არ აგრძნობინა. „წყალქვეშა ნავი" კატალონიაში იმის დასამტკიცებლად მიდის, რომ დღეისათვის „ბარსელონასა" და „რეალის" შემდეგ ყველაზე ძლიერი კლუბია იბერიის ნახევარკუნძულზე.

„ესპანიოლი" ახლახან დაცვაში დასუსტდა, გუნდმა ძალზე პერსპექტიული ახალგაზრდა **ვიქტორ რუისი** „ნაპოლიში" გაყიდა. კატალონიური კლუბი ისეთ ფინანსურ სიტუაციაშია, რომ სხვა გზა არც აქვს, ის კი არა, რიგში კიდევ ერთი მცველის, **დიდაცის** გასხვისებაა. **მაურისიო პოჩეტინოს** შეიძლება დააკლდეს ფეხმტკივანი **რაულ ბაენა**, თუმცა **ალდო დუშერმა** შეძლო დროულად გამოჯანმრთელება, მას მცირე კონტუზია ჰქონდა. „ვილიარეალს" ისევ დააკლდება კვარტეტი (**ხუან კარლოსი, მარკოს სენა, ნილმარი** და **კარლოს მარჩენა**). ამათგან მხოლოდ მარჩენას აქვს თამაშის შანსი, თუმცა - ძალიან მცირე. ტურის სხვა წყვილებიდან ათლეტთა ორი კლუბის დაპირისპირებას გამოვარჩევთ - „ვისენტე კალდერონზე" „ატლეტიკო" ბილბაოს „ატლეტიკს" მასპინძლობს. XXI ტური ორშაბათს კანტაბრიაში დასრულდება - მეოთხეადგილოსანი „ვალენსია" „რასინგს" სტუმრობს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 20 | 18 | 1 | 1 | 64-11 | 55 |
| 2. რეალი | 20 | 16 | 3 | 1 | 48-17 | 51 |
| 3. ვილიარეალი | 20 | 13 | 3 | 4 | 40-21 | 42 |
| 4. ვალენსია | 20 | 12 | 4 | 4 | 33-23 | 40 |
| 5. ესპანიოლი | 20 | 12 | 1 | 7 | 28-26 | 37 |
| 6. ბილბაო | 20 | 10 | 2 | 8 | 32-31 | 32 |
| 7. ატლეტიკო | 20 | 9 | 3 | 8 | 31-24 | 30 |
| 8. სევილია | 20 | 9 | 2 | 9 | 30-32 | 29 |
| 9. მალიორკა | 20 | 8 | 3 | 9 | 23-25 | 27 |
| 10. ხეტაფე | 20 | 8 | 3 | 9 | 29-32 | 27 |
| 11. სოსიედადი | 20 | 8 | 1 | 11 | 30-33 | 25 |
| 12. ერკულესი | 20 | 6 | 4 | 10 | 22-31 | 22 |
| 13. დეპორტივო | 20 | 5 | 6 | 9 | 15-27 | 21 |
| 14. რასინგი | 20 | 5 | 5 | 10 | 15-29 | 20 |
| 15. სპორტინგი | 20 | 4 | 7 | 9 | 18-27 | 19 |
| 16. სარაგოსა | 20 | 4 | 7 | 9 | 18-32 | 19 |
| 17. ოსასუნა | 20 | 4 | 6 | 10 | 19-28 | 18 |
| 18. ალმერია | 20 | 3 | 8 | 9 | 20-34 | 17 |
| 19. მალაგა | 20 | 5 | 2 | 13 | 27-45 | 17 |
| 20. ლევანტე | 20 | 4 | 3 | 13 | 20-34 | 15 |

**ბომბარდირები:** 22 - რონალდო (რეალი); 19 - მესი (ბარსელონა); 14 - ვილია (ბარსელონა); 12 - ფ. ლორენტე (ბილბაო); 11 - პედრო (ბარსელონა), როსი (ვილიარეალი); 10 - ნილმარი (ვილიარეალი); 9 - ტრეზეგე (ერკულესი); 8 - კანუტე (სევილია), ადურისი (ვალენსია), ლ. ფაბიანო (სევილია); 7 - აგუერო (ატლეტიკო), ფ. კაისედო (ლევანტე), პ. ოსვალდო (ესპანიოლი), ფორლანი (ატლეტიკო), ულოა (ალმერია), რონდონი (მალაგა).



ერკულესის ზეობის მომენტი, ასე დაამარცხეს ბარსა

პირადი ცხოვრება








# ბავშვის დედა მკვდარია?

**კრიშტიანო რონალდოს** დისგან ცნობილი გახდა, რომ პორტუგალიელი ვარსკვლავის პატარა ვაჟის დედა, რომლის ვინაობასაც აქამდეც საიდუმლოდ ინახავდნენ და არც ახლა გათქვეს, გარდაცვლილია. 33 წლის **კატია ავეირო** არც იმას ამბობს როდის და რისგან გარდაიცვალა ახალგაზრდა ქალი. მან ჟურნალისტებთან ასე ილაპარაკა:

*„პატარას არავინ ურეკავს. მის ცხოვრებაში არ არსებობს ქალი, რომელიც შვილის ამბავს კითხულობს. ამ ბავშვის დედა გარდაცვლილია. მას დედა არ ჰყავს".*

მოგეხსენებათ „რეალის" ვარსკვლავმა" შარშან ივლისში ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მამა გახდა, ხოლო დედის ვინაობის გამხელა არ სურს. კრიშტიანო რონალდო უმცროსს ფეხბურთელის დედა და და ზრდიან - მამის ოჯახში ცხოვრობს. რა არ დაწერა ამ ამბის გახმაურების შემდეგ პორტუგალიურმა პრესამ. ისიც კი თქვეს, რომ თავდამსხმელმა, რომლის შემოსავალი თვეში 1 მილიონ ევრომდეა და პირმშვენიერ რუს (ქალის თეთრეულის მოდელ) **ირინა შეიკს** ყვარობს, სუროგატ დედას ფული გადაუხადა, რათა მისთვის ბავშვი გაეჩინა.

პორტუგალიური პრესისგან განსხვავებით, ბრიტანული უმცროსი კრიშტიანოს დედას უფრო იოლად ხელმისაწვდომ ადგილებში ეძებდა - ერთ-ერთმა საკვირაო გაზეთმა დაწერა, რომ ქალი 20 წლის ინგლისელი სტუდენტია, რომელიც რონალდოს მისი „მანჩესტერ იუნაიტედში" თამაშის დროს ერთი ღამით გადაეყარა. გაზეთი წერდა, რომ მამობის უფლებაში ამ ქალმა პორტუგალიელი ვარსკვლავისგან 10 მილიონი ფუნტი მიიღო, მაგრამ ბავშვის ნახვას ითხოვდა და ფეხბურთელი შიშობდა, რომ პატარას წაართმევდა. თითქოსდა, ამის შესახებ კრიშტიანომ ძმაკაცებთან ილაპარაკა.

კატია ავეირომ ბრიტანული ხმები უარყო და მათ სისულელე უწოდა. მან თქვა, რომ ბავშვის აღზრდა, ძირითადად, მათ 55 წლის დედას **დოლორესს** აბარია, სუროგატი დედის საკითხს კი კომენტარი არ გაუკეთა.

*„ბიჭი ჩვენია - თქვა ვარსკვლავის დამ - არ გეტყვით, როგორ მოხვდა ჩვენს ოჯახში, მაგრამ დაბეჯითებით მოგახსენებთ, რომ ჩემის ძმისშვილია და ჩვენი სისხლისაა. ბიჭუნას დედობას დედაჩემი უწევს, რომელიც 24 საათის განმავლობაში მასთან არის".*

ოჯახი ამბობს, რომ კრიშტიანო რონალდო უმცროსი შარშან 17 ივლისს აშშ-ში დაიბადა. აქა-იქ ითქვა, რომ რონალდო მთელ მსოფლიოში ირინასთან ერთად დასეირნობს, შვილს კი ყურადღებას არ აქცევს, რაზეც კატიამ უპასუხა:

*„ბავშვი ჩემი ძმის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანია".*

**ილია ბაბუნაშვილი**

ევროუქმეების წინ



ლილი სრული სვლით

# ლილის საჩემპიონო შანსები: 5 + და 5 –

ფრანგული პირველობის მომდევნო ტურში რაც უნდა მოხდეს, ლიდერი მაინც არ შეიცვლება - „ლილი" უშუალო კონკურენტებს 4 ქულით უსწრებს, თანაც, არა გვგონია, ერთპიროვნულმა ლიდერმა ქულები ერთ-ერთ აუტსაიდერ „ლანსთან" გაანიავოს. ეს მატჩი კი ამაღამ გაიმართება. ბოლოს, როცა ეს ჩრდილოფრანგული გუნდი ქვეყნის ჩემპიონი გახდა, „ლილის" ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელის, **ედენ ჰაზარდის** ბებიას ჯერ არ გადაეწყვიტა გათხოვება. შეძლებს კი **რუდი გარსიას** ხმაურიანი გუნდი 57 წლის წინანდელი მიღწევის გამეორებას?

სეზონის ნახევარზე მეტი გაილია და „ძაღლებს" არც დაღლა ეტყობათ და არც ფორმის დაკარგვა. ლიგა 1-ის ექსპერტი **მატიო სპირო** სწორედ ამ თემამ ჩააფიქრა, რამდენად რეალურია „ლილის" საჩემპიონო ამბიციები. ექსპერტმა 5 პუნქტი ჩამოწერა კლუბის სასარგებლოდ და 5 მის საწინააღმდეგოდ. მაშ ასე, სპიროს აზრით „ლილი" ჩემპიონი გახდება, რადგან... 1. აქვს შემტევი სტილი და დიდი პოტენციალი - დღევანდელ „ლილს" ფრანგულ „ბარსელონასაც" კი უწოდებენ. მათ ჰყავთ ტანდაბალი, მოძრავი ნახევარმცველები (**იოჰან კაბაიე, რიო მავუბა, ფლორან ბალმონი**), ნიჭიერი ბიჭები ფლანგებზე (**ჟერვინიო, ედენ ჰაზარდი**) და ძლიერი ფორვარდი წინ (**მუსა სოუ**). გუნდის თამაში მოკლე პასებზე და პოზიციების ცვლაზეა აგებული. სიტყვაზე, ედენ ჰაზარდმა შეიძლება თამაში მარცხენა ნახევარმცველად დაიწყოს და ცენტრფორვარდად დაასრულოს. გუნდს გოლების გატანა არ უჭირს და მისი თამაში საამო სანახავია, როცა „ლილი" ფორმაშია. 2. ედენ ჰაზარდის კლასი - როცა გუნდი ტიტულს იგებს, მას ქვეყანაში საუკეთესო ფეხბურთელი ჰყავს, „ბორდოს" გამარჯვება **იოან გურკუფის** კარგმა თამაშმა განაპირობა, შარშან „მარსელის" ჩემპიონობის სულისჩამდგმელი **ლუჩო გონსალესი** იყო, ეჭვგარეშეა, რომ წლევანდელი ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი 20 წლის ბელგიელია. 3. კარის დალაშქვრის მრავალი ვარიანტი - „ლილის" ფეხბურთელები ხშირად მიმართავენ ვარიაციებს. მაგალითად, კაბაიე სახიფათოა, როცა მას გასაქანს აძლევ, შეუძლია უკან დაიხიოს და **ანდრეა პირლოს** მსგავსი პლეიმეიკერობა ითავოს. თუკი მაინც არაფერი გამოდის, გარსია ტანმაღალ **ტულიო დე მელოს** იძახებს სათადარიგოთა სკამიდან. 4. დიდი რეზერვი - შარშან „ლილმა" ლამის 11 კაცით გაიარა სეზონი და რა თქმა უნდა, ბოლოს დაიღალა. ახლა სხვანაირად არის საქმე, რეზერვში არიან **ბერია, როზენალი, ობრანიაკი**, დე მელო, **ფრო**... ფეხბურთელები, რომელთაც შეუძლიათ გუნდის გაძლიერება ნებისმიერ დროს. 5. გარსიას ტაქტიკური განსწავლულობა.

მოკლედ, სპიროს უარყოფით 5 არგუმენტსაც ჩამოვწერთ: 1. ბევრი გასამართი მატჩი - „ლილი" ჩემპიონატის გარდა თასსა და ევროპის ლიგაზე თამაშობს. 2. მეტისმეტი დამოკიდებულება ჟერვინიოსა და ჰაზარდის თამაშზე. 3. **რამის** ფოკუსი - ადილ რამი უკვე „ვალენსიას" წევრია, ახლა ის „ლილში" მხოლოდ იჯარით თამაშობს, რამაც შეიძლება მას კონცენტრაცია დაუკარგოს ბოლო ტურებში. არადა, რამი დაცვის ბურჯია. 4. რთული კალენდარი და 5. ტიტულის მოგების გამოუცდელობა - მხოლოდ ორი ფეხბურთელია გუნდში (**ლანდრო** და ფრო) ვისაც ფრანგული ტიტული მოუპოვებია.

## საფრანგეთი

ლიგა 1. XXI ტურის წინ

**დღეს**

| | |
|---|---|
| არლი-პსჟ | 22:00 |
| კაენი-ოსერი | 22:00 |
| ლორიანი-ბრესტი | 22:00 |
| სოშო-რენი | 22:00 |
| სენტ ეტიენი-ტულუზი | 22:00 |
| ვალანსიენი-ლიონი | 22:00 |
| ლილი-ლანსი | 00:00 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| ბორდო-ნიცა | 20:00 |
| ნანსი-მონპელიე | 20:00 |
| მონაკო-მარსელი | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლილი | 20 | 10 | 8 | 2 | 38-21 | 38 |
| 2. პსჟ | 20 | 9 | 7 | 4 | 32-22 | 34 |
| 3. რენი | 20 | 9 | 7 | 4 | 22-12 | 34 |
| 4. ლიონი | 20 | 9 | 7 | 4 | 29-21 | 34 |
| 5. მარსელი | 20 | 8 | 8 | 4 | 29-18 | 32 |
| 6. ტულუზი | 20 | 9 | 3 | 8 | 22-20 | 30 |
| 7. მონპელიე | 20 | 8 | 6 | 6 | 17-20 | 30 |
| 8. სტ. ეტიენი | 20 | 7 | 8 | 5 | 27-22 | 29 |
| 9. ბრესტი | 20 | 7 | 7 | 6 | 21-18 | 28 |
| 10. ბორდო | 20 | 6 | 9 | 5 | 25-23 | 27 |
| 11. სოშო | 20 | 7 | 4 | 9 | 30-25 | 25 |
| 12. ლორიანი | 20 | 7 | 4 | 9 | 22-27 | 25 |
| 13. ნანსი | 20 | 7 | 4 | 9 | 21-30 | 25 |
| 14. ოსერი | 20 | 4 | 12 | 4 | 26-23 | 24 |
| 15. ნიცა | 20 | 5 | 8 | 7 | 14-20 | 23 |
| 16. ვალანსიენი | 20 | 5 | 7 | 8 | 22-23 | 22 |
| 17. ლანსი | 20 | 5 | 7 | 8 | 21-33 | 22 |
| 18. კაენი | 20 | 5 | 6 | 9 | 20-29 | 21 |
| 19. მონაკო | 20 | 3 | 11 | 6 | 20-21 | 20 |
| 20. არლი | 20 | 1 | 5 | 14 | 10-40 | 8 |

**ბომბარდირები:** - 15 - სოუ (ლილი); 13 - ნენე (პსჟ); 11 - ელ-არაბი (კაენი); 10 - ჟერვინიო (ლილი).

## ჰოლანდია

ერედივიზიე. XXI ტურის წინ

| | |
|---|---|
| ნიიმეგენი-ჰერაკლესი | 1:1 |

გოლები: 1:0 ვლემინქსი (52), 1:1 ფლედერუსი (63)

**დღეს**

| | |
|---|---|
| ვიტესი-როდა | 21:45 |
| ალკმაარი-ვენლო | 22:45 |
| დე გრააფსხაპი-უტრეხტი | 22:45 |
| პსვ-ვილემი | 23:45 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| ექსელსიორი-დენ ჰააგი | 15:30 |
| ბრედა-აიაქსი | 17:30 |
| ჰეერენვენი-გრონინგენი | 17:30 |
| ტვენტე-ფეიენოორდი | 17:30 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსვ | 20 | 13 | 5 | 2 | 56-19 | 44 |
| 2. ტვენტე | 20 | 13 | 4 | 3 | 42-22 | 43 |
| 3. აიაქსი | 20 | 11 | 5 | 4 | 39-20 | 38 |
| 4. გრონინგენი | 20 | 11 | 4 | 5 | 38-26 | 37 |
| 5. როდა | 20 | 9 | 8 | 3 | 35-24 | 35 |
| 6. ალკმაარი | 20 | 9 | 7 | 4 | 27-20 | 34 |
| 7. უტრეხტი | 20 | 10 | 2 | 8 | 35-27 | 32 |
| 8. დენ ჰააგი | 20 | 9 | 5 | 6 | 34-31 | 32 |
| 9. ჰეერენვენი | 20 | 8 | 6 | 6 | 41-29 | 30 |
| 10. ბრედა | 20 | 9 | 4 | 7 | 31-30 | 30 |
| 11. ნიიმეგენი | 21 | 6 | 8 | 7 | 36-38 | 26 |
| 12. დე გრააფსხაპი | 20 | 6 | 6 | 8 | 22-37 | 24 |
| 13. ჰერაკლესი | 21 | 5 | 6 | 10 | 31-40 | 21 |
| 14. ფეიენოორდი | 20 | 5 | 5 | 10 | 23-36 | 20 |
| 15. ვიტესი | 20 | 4 | 6 | 10 | 21-34 | 18 |
| 16. ექსელსიორი | 20 | 4 | 4 | 12 | 22-39 | 16 |
| 17. ვენლო | 20 | 3 | 1 | 16 | 18-45 | 10 |
| 18. ვენლო | 20 | 1 | 4 | 15 | 17-51 | 7 |

**ბომბარდირები:** 17 - ვლემინქსი (ნიიმეგენი); 14 - იანკო (ტვენტე); 11 - ვან ვოლფსვინკელი (უტრეხტი), ტოივონენი (პსვ), ელ ჰამდაუი (აიაქსი), ბულიკინი (დენ ჰააგი), მატავჟი (გრონინგენი); 10 - ჯუჯაკი (პსვ).

## ბელგია

ჟუპილერ ლიგა. XXIV ტურის წინ

| | |
|---|---|
| ვარეგემი-გენკი | 0:1 |

გოლი: 0:1 ტოცსერი (44)

**დღეს**

| | |
|---|---|
| ბრიუგე-ჟერმინალი | 23:00 |
| კორტრიიკი-სერკლ ბრიუგე | 23:00 |
| ლიერსი-შარლერუა | 23:00 |
| ლოკერენი-ვეპენი | 23:00 |
| სტანდარდი-ვესტერლო | 23:00 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| მეხელენი-ანდერლეხტი | 21:00 |
| სტ. ტრუიდენი-გენტი | 23:30 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 23 | 16 | 5 | 2 | 50-14 | 53 |
| 2. გენკი | 23 | 15 | 5 | 3 | 57-23 | 50 |
| 3. გენტი | 22 | 13 | 3 | 6 | 43-33 | 42 |
| 4. ბრიუგე | 23 | 12 | 3 | 8 | 49-30 | 39 |
| 5. ლოკერენი | 21 | 9 | 8 | 4 | 31-26 | 35 |
| 6. სერკლი | 21 | 10 | 5 | 6 | 30-25 | 35 |
| 7. სტანდარდი | 22 | 10 | 3 | 9 | 38-29 | 33 |
| 8. მეხელენი | 20 | 9 | 6 | 5 | 28-21 | 33 |
| 9. კორტრიიკი | 22 | 9 | 4 | 9 | 26-25 | 31 |
| 10. ვარეგემი | 23 | 6 | 10 | 7 | 32-30 | 28 |
| 11. ვესტერლო | 22 | 7 | 7 | 8 | 29-30 | 28 |
| 12. სტ. ტრუიდენი | 21 | 6 | 2 | 13 | 14-43 | 20 |
| 13. ჟერმინალი | 21 | 4 | 7 | 10 | 15-28 | 19 |
| 14. ვეპენი | 22 | 4 | 4 | 14 | 23-42 | 16 |
| 15. ლიერსი | 22 | 2 | 7 | 13 | 17-48 | 13 |
| 16. შარლერუა | 22 | 1 | 5 | 16 | 12-47 | 8 |

**ბომბარდირები:** 16 - ვოსენი (გენკი); 14 - ვარგასი (ბრიუგე); 12 - პერიშიჩი (ბრიუგე); 10 ოგუნჯიმი (გენკი), ლუკაკუ (ანდერლეხტი).

## თურქეთი

სუპერლიგა. XIX ტურის წინ

**დღეს**

| | |
|---|---|
| კარაბიუკი-კაისერისპორი | 15:30 |
| სივასი-ანთალია | 16:00 |
| ბუკა-კასიმფაშა | 19:00 |
| ბურსა-გალათასარაი | 21:00 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| ანკარაგიუჯუ-მანიშა | 16:00 |
| ბუიუქშეჰირი-ბეშიქთაში | 17:00 |
| გაზიანთეპი-გენჩლერბირლიგი | 19:00 |
| ფენერბაჰჩე-ტრაბზონი | 21:00 |

**ზეგ**

| | |
|---|---|
| ესკიშეჰირი-კონია | 22:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტრაბზონი | 18 | 13 | 4 | 1 | 41-11 | 43 |
| 2. ბურსა | 18 | 11 | 5 | 2 | 32-12 | 38 |
| 3. ფენერბაჰჩე | 18 | 11 | 3 | 4 | 41-21 | 36 |
| 4. კაისერი | 18 | 10 | 5 | 3 | 25-14 | 35 |
| 5. ბეშიქთაში | 18 | 9 | 4 | 5 | 30-19 | 31 |
| 6. გაზიანთეპი | 18 | 7 | 6 | 5 | 16-15 | 27 |
| 7. გალათასარაი | 18 | 8 | 2 | 8 | 20-21 | 26 |
| 8. ესკიშეჰირი | 18 | 6 | 7 | 5 | 18-17 | 25 |
| 9. მანიშა | 18 | 8 | 1 | 9 | 26-27 | 25 |
| 10. კარაბიუკი | 18 | 7 | 3 | 8 | 30-31 | 24 |
| 11. ბუიუქშეჰირი | 18 | 7 | 2 | 9 | 22-21 | 23 |
| 12. ანთალია | 18 | 6 | 5 | 7 | 19-23 | 23 |
| 13. ანკარაგიუჯუ | 18 | 5 | 7 | 6 | 25-30 | 22 |
| 14. გენჩლერი | 18 | 4 | 5 | 9 | 16-29 | 17 |
| 15. კონია | 18 | 3 | 6 | 9 | 17-27 | 15 |
| 16. სივასი | 18 | 3 | 6 | 9 | 17-33 | 15 |
| 17. ბუკა | 18 | 2 | 6 | 10 | 10-28 | 12 |
| 18. კასიმფაშა | 18 | 1 | 5 | 12 | 14-40 | 8 |

**ბომბარდირები:** 12 - ემენიკე (კარაბიუკი), ალექსი (ფენერბაჰჩე); 9 - სიმპსონი (მანიშა), ილმაზი (ტრაბზონი), ნიანგი (ფენერბაჰჩე).

## საბერძნეთი

სუპერლიგა. XX ტურის წინ

**დღეს**

| | |
|---|---|
| ირაკლისი-კერკირა | 19:15 |
| პანათინაიკოსი-ერგოტელისი | 21:30 |
| ქსანთი-აეკ | 21:30 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| ატრომიტოსი-ასტერასი | 17:00 |
| პანიონიოსი-კავალა | 17:00 |
| ლარისა-პანსერაიკოსი | 19:15 |
| ვოლოსი-ოლიმპიაკოსი | 19:15 |
| არისი-პაოკ | 21:30 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 19 | 16 | 0 | 3 | 38-9 | 48 |
| 2. პანათინაიკოსი | 19 | 12 | 5 | 2 | 31-14 | 41 |
| 3. პაოკ | 19 | 10 | 3 | 6 | 23-18 | 33 |
| 4. აეკ | 19 | 9 | 3 | 7 | 29-21 | 30 |
| 5. კავალა | 19 | 7 | 6 | 6 | 21-18 | 27 |
| 6. ვოლოსი | 19 | 5 | 10 | 4 | 20-18 | 25 |
| 7. ატრომიტოსი | 19 | 6 | 7 | 6 | 22-21 | 25 |
| 8. ერგოტელისი | 19 | 7 | 4 | 8 | 17-22 | 25 |
| 9. ქსანთი | 19 | 6 | 6 | 7 | 18-21 | 24 |
| 10. არისი | 19 | 7 | 3 | 9 | 11-16 | 24 |
| 11. კერკირა | 19 | 6 | 5 | 8 | 17-24 | 23 |
| 12. ირაკლისი | 19 | 5 | 7 | 7 | 15-20 | 22 |
| 13. პანიონიოსი | 19 | 5 | 5 | 9 | 12-21 | 20 |
| 14. ასტერასი | 19 | 4 | 7 | 8 | 13-19 | 19 |
| 15. პანსერაიკოსი | 19 | 4 | 4 | 11 | 16-29 | 16 |
| 16. ლარისა | 19 | 3 | 5 | 11 | 12-24 | 14 |

**ბომბარდირები:** 17 - ჯ. სისე (პანათინაიკოსი); 9 - მირალიაში (ოლიმპიაკოსი), ონვუაჩი (კავალა); 7 - ბლანკო (აეკ), პანტელიჩი (ოლიმპიაკოსი).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კვირის ფრაგმენტები

### ჯეკო [illegible]

„ლელოს" მკითხველებს კარგად მოეხსენებათ, რომ სულ ცოტა ხნის წინ „მანჩესტერ სიტიმ" მორიგი ხმაურიანი შენაძენი განახორციელა: „ვოლფსბურგიდან" ბოსნიელი თავდამსხმელი **ედინ ჯეკო** გადმოიბირა. მისი დახასიათება კი არ დაიზარა „სიტის" ერთ-ერთმა მოთამაშე **ჟერომ ბოატენგმა**: „ჯეკოს შეტევაში ყველაფერი ძალუძს, ის დახვეწილი ფორვარდია. იგი როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ფეხით თამაშობს ბრწყინვალედ, ძალზე ძლიერი ფეხბურთელია. გაბარიტებისდა მიუხედავად, მას გააჩნია ბურთის ფლობის კარგი უნარი, რაც მცველებს უბრალოდ ცხოვრებას ურთულებს. ასევე უნდა აღვნიშნოთ მისი ბომბარდირული ყნოსვა, რითაც ნებისმიერ ტოპ-კლასის ფორვარდს გაუტოლდება".

### სამირ ნასრი - საფრანგეთის მომავალი

ლეგენდარული **ზინედინ ზიდანი** მიიჩნევს, რომ საფრანგეთს არც მეტი, არც ნაკლები „არსენალის" ვარსკვლავი გადაარჩენს. მოგეხსენებათ, სამირიც და თავად ზინედინიც ერთი ქალაქიდან - მარსელიდან არიან წარმოშობით, მაგრამ მხოლოდ ამის გამო არ შეუქია „მეთოფეთა" ნახევარმცველი. ზიზუ თვლის, რომ 23 წლის ფეხბურთელი **ლორან ბლანის** გუნდის მთავარ „მსახიობად" იქცევა. ზიზუმ თქვა: „მე პირობას ვდებ და ასეც მგონია, რომ სამირს დიდი საფეხბურთო კარიერა ელოდება. ნასრი საფრანგეთის მომავალია, ჩვენი მთავარი საფეხბურთო იმედი".

### ვან დერ სარი გვტოვებს

ამ სეზონის დასრულებისთანავე „მანჩესტერ იუნაიტედის" გოლკიპერი ხელთათმანებს ლურსმანზე ჩამოკიდებს. 40 წლის ჰოლანდიელმა ოფიციალურად განაცხადა კარიერის დასრულების შესახებ: „ზუსტად ვერ ვიტყვი, როდის მივიღე ეს გადაწყვეტილება. მოდი, პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს არ ეხება ჩემი ცოლის ძლიერ ავადმყოფობას (შეგახსენებთ: 2009 წელს კიპერის ცოლ ანემარის ტვინში სისხლჩაქცევა ჰქონდა). საქმე არც ასაკშია - მიუხედავად იმისა, რომ 40 წლის ვარ, თავს მაინც შესანიშნავად ვგრძნობ. უბრალოდ, დადგა დრო იმისა, რომ ოჯახს მივხედო". „იუნაიტედის" მეკარეთა მწვრთნელმა **ერიკ სტილმა** ამასთან დაკავშირებით შემდეგი თქვა: „ვან დერ სარი დამსახურებული პიროვნებაა პიტერ შმაიხელთან ერთად. მე ცხოვრებაში ძალიან გამიმართლა: ვმუშაობდი როგორც პიტერ შმეიხელთან, ისე ედვინ ვან დერ სართან".

### სკუდეტო მილანს უნდა დარჩეს

„მილანის" პრეზიდენტი პროგნოზს აკეთებს სერია A-ს მომავალ გამარჯვებულზე. იმ სამი ტიტულიდან, რომლისთვისაც წელს „როსონერი" იბრძვის, ყველაზე მნიშვნელოვნად **სილვიო ბერლუსკონი** სწორედ სკუდეტოს მიიჩნევს. დონ სილვიომ ბრძანა: „ჩვენ აუცილებლად ავიღებთ სკუდეტოს. ამ წელს ჩემპიონატის გამარჯვებულები აუცილებლად უნდა გავხდეთ!". ბერლუსკონიმ ასევე **ალეშანდრო პატოზეც** ისაუბრა, რომელმაც „სამპდორიასთან" სათასო შეხვედრაში დუბლი შეასრულა: „ბედნიერი ვარ, რომ პატომ ეს მოახერხა, ის საკმაოდ ძლიერი მოთამაშეა". პატოს შექება არც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **მასიმო ალეგრიმ** დაიზარა: „ძალიან სასიამოვნოა იმის ყურება თუ როგორ პროგრესირებს პატო".

### კვირის გოლი

ლონდონის „ჩელსის" თავდამსხმელის **დიდიე დროგბას** გასროლა „ბოლტონის" წინააღმდეგ - კოტდივუარელმა ფორვარდმა თითქმის 35 მეტრიდან მიაღწია მიზანს ბრწყინვალე დარტყმით და მასპინძელთა ფინელი მეკარე **იუსი იასკელაინენი** ხახამშრალი დატოვა.

**გიორგი ფულარიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

სერია A. XXII ტური

# მილანურ-სიცილიური ჯახები



დი ნატალე და სანჩესი იუვეს შეუტევენ

**დღეს**

**ლაციო-ფიორენტინა** 21.00

**დისკვალიფიკაცია:** დიასი, სარატე – პასკუალი.
**ტრავმა:** სკული, ბრეშიანო, დელ ნერო, მეგნი, გარიდო, მათუზალემი, როკი – ვარგასი, ნატალი, იოვეტიჩი, ფრეი.

**კატანია-მილანი** 23.45

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** ბიაჯანტი, პოტენცა, ლიამა, ისკო – ბოატენგი, ძამბროტა, ამელია, პირლო, იანკულოვსკი, ნესტა, გატუზო, ზეედორფი, ფლამინი, შტრასერი, აბატე.

**ხვალ**

**ბრეშა-კიევო** 15.30

**დისკვალიფიკაცია:** ბერარდი – ცეზარი.
**ტრავმა:** დალამანო, სერენი, ტადეი – ლუჩანო.

**ბოლონია-რომა** 18.00

**დისკვალიფიკაცია:** პორტანოვა, პერესი, ხიმენესი, მორასი (ბოლონია).
**ტრავმა:** რამირესი – პიზარო, ადრიანო.

**კალიარი-ბარი** 18.00

**დისკვალიფიკაცია:** ნაინგოლანი, კონტი - პარიზი.
**ტრავმა:** გეზალი, ს. მაზიელო, ბარეტო (ბარი).

**ჯენოა-პარმა** 18.00

**დისკვალიფიკაცია:** ძაკარდო, პაჩი (პარმა).
**ტრავმა:** ანტონელი, ჰალენიუსი – პიზანო.

**ინტერი-პალერმო** 18.00

**დისკვალიფიკაცია:** სტანკოვიჩი, კივუ, კორდობა – კამოცაიერი.
**ტრავმა:** პაცინი, სნეიდერი, სამუელი, ჟულიო სეზარი, მილიტო, სტანკოვიჩი, კორდობა – ჰერნანდესი, პინილია, გოიანი.

**ლეჩე-ჩეზენა** 18.00

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** ჯულიატო, ოფერე, გუსტავო – ფატიჩი, ნაგატომო, პიანჯერელი, შელოტო.

**ნაპოლი-სამპდორია** 18.00

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** გრავა, ვიტალე - სემიოლი, გასტალდელო, ლუკინი, პოცი, დესენა.

**იუვენტუსი-უდინეზე** 18.00

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** რინაუდო, დე ჩელიე, იაკვინტა, კვალიარელა, ტონი, ტრაორე – ბასტა, ფერონეტი, ანჯელა.

სერია A-ს მიმდინარე გათამაშების XXII ტური ორ დღეზეა გაწერილი და არაერთ საინტერესო მატჩს გვპირდება. ყურადღების ცენტრშია დღეს გასამართი ორივე შეხვედრა, რომელშიც ლიდერებს უწევთ ასპარეზობა. ტური „ლაციო"-„ფიორენტინას" დაპირისპირებით გაიხსნება და ორიოდე სიტყვა ამ მატჩზეც ვთქვათ. რომაელებს ჩავარდნა აქვთ, ბოლო ტურებში უხვად დაკარგეს ქულები და სატურნირო ცხრილში მეოთხე პოზიციაზე ჩამოქვეითდნენ. გულშემატკივრებმა პირველად გამოხატეს უკმაყოფილება **ედუარდო რეიას** მიმართ და მას უსტვინეს კიდეც. დიახ, მწვრთნელი, რომელმაც ღრმა კრიზისში მყოფი გუნდი ლიდერთა შორის დააბრუნა, წნეხის ქვეშაა მოქცეული. „ლაციომ" უნდა მოიგოს, რომ ეს წნეხი აიცილოს თავიდან და თუ რეიას დავუჯერებთ, ნარუმატებელი სერია სწორედ „ფიორენტინასთან" შეხვედრაში შეწყდება: *„წინა ტურში, „ბოლონიასთან" დამარცხების შემდეგ გუნდის ბაზაზე საგანგებო თათბირი ჩავატარე და ფეხბურთელებს კარგა ხანს ვესაუბრე. ფაქტია, რომ კონცენტრაცია დაკარგეს და ამან პოზიციები გვარიანად შეგვირყია. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ლიდერთა შორის ვართ და მთავარი ბრძოლები წინ გველის. დარწმუნებული ვარ, ჩვენმა შეხვედრამ გაქრა და ფეხბურთელები უახლოეს შეხვედრაშივე გააჩუმებენ სკეპტიკოსებს".*

XXI ტურში „ფიორენტინასაც" დაუცდა ფეხი, საკუთარ მოედანზე „ლეჩესთან" გაიყო ქულები, რაც გუნდის მთავარ მწვრთნელს ძალიან არ მოეწონა. **სინიშა მიხაილოვიჩი** დაკარგულის ანაზღაურებას „ლაციოსთან" სტუმრად მოპოვებული გამარჯვებით აპირებს და ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან.

დღეს გამართავს თავის შეხვედრას „მილანი" და გასვლაზე „კატანიას" დაუპირისპირდება. სიცილიაში თამაში იოლი არასდროს ყოფილა და მით უმეტეს, **მასიმილიანო ალეგრის** თერთმეტი ფეხბურთელის გარეშე უწევს კუნძულზე ჩასვლა. დიახ, თერთმეტი ფეხბურთელი და თუ არ გჯერათ, შეგიძლიათ ტრავმირებულ ფეხბურთელთა ჩამონათვალს გადახედოთ.

ძალიან საინტერესოდ გამოიყურება „მილანის" სავარაუდო სასტარტო შემადგენლობა. ალეგრი 4-3-1-2 ტაქტიკას აირჩევს და შეტევაში **ზლატან იბრაჰიმოვიჩისა** და **ალეშანდრე პატოსგან** შემდგარ ტანდემს გაამწესებს. ფორვარდთა უკან **რობინიო** გაირჯება, ნახევარდაცვაში კი შემდეგი სამეული: **ამბროზინი, ვან ბომელი, ემანუელსონი**. საინტერესოა როგორ წარმოაჩენენ თავს ახალწვეულები და როგორი იქნება გადასხვაფერებული „როსონერი".

დიდ ინტერესს იწვევს „ჯუზეპე მეაცაზე" გასამართი პაექრობა, სადაც „ინტერი" „პალერმოს" მიიღებს. მილანური გრანდი **ჯანპაოლო პაცინით** გაძლიერდა, თუმცა ექსსამპდორიელი ტრავმირებულია და **დელიო როსის** სამწყოს წინააღმდეგ ვერ იასპარეზებს. ორივე გუნდი შესანიშნავ განწყობაზეა, რადგან შუა კვირაში იტალიის თასის ნახევარფინალური ეტაპის საგზური მოიპოვეს. აქვე ვთქვათ, რომ ამ ტურში ეს მეორე სიცილიურ-მილანური დაპირისპირებაა – თუმცა, ეს ის შემთხვევა არ არის, როდესაც თანაქალაქელები ერთ მხრეს დგანან და ერთმანეთს გულშემატკივრობენ, უფრო პირიქით...

„ინტერის" სავარაუდო სასტარტო შემადგენლობაში **ფერნანდო კოუტინიოს** ვიხილავთ, რომელიც ტრავმირებული იყო და როგორც ჩანს, სრულად გამოჯანმრთელდა. სამაგიეროდ, **დიეგო მილიტოა** ჯერ კიდევ ლაზარეთში და **სამუელ ეტოოს** მხარდამხარ **გორან პანდევს** უწევს ასპარეზობა. „პალერმოს" სამივე ძირითადი შემტევი მწყობრში ჰყავს – **ილიჩიჩი** და **პასტორე** უკნიდან ითამაშებენ, **ფაბრიციო მიკოლი** კი გამოკვეთილი ფორვარდი იქნება. დანარჩენი მოედანზე გამოჩნდება...

„რომა" „ბოლონიას" ესტუმრება და მთავარი სათქმელი ის გახლავთ, რომ გუნდის ლიდერები სრულ მზადყოფნაში არიან. **ფრანჩესკო ტოტის** და **მარკო ბორიელოს** სასტარტო შემადგენლობაში ვიხილავთ, **მირკო ვუჩინიჩი** კი საჭიროების შემთხვევაში ჩაერთვება თამაშში. იტალიის თასიდან გამოვარდნილი და ზოგადად, არც თუ კარგ ფორმაში მყოფი „იუვენტუსი" „უდინეზეს" მიიღებს, გუნდს, რომელიც ბოლო ტურებში საოცრად შედეგიან ფეხბურთს თამაშობს. დღესდღეობით, **ანტონიო დი ნატალესა** და **ალექსის სანჩესის** ტანდემი უფრო მრისხანედ გამოიყურება, ვიდრე **დელ პიერო-ამაურის** წყვილი – ასე რომ, ფავორიტის დასახელებისგან ჯობია თავი შევიკავოთ და უბრალოდ, თამაშს დაველოდოთ. სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე მყოფი „ნაპოლი" „სამპდორიას" უმასპინძლებს. გენუელი გულშემატკივრები აღშფოთებულნი არიან იმით, რომ მათი გუნდი იტალიის თასიდან გამოვარდა, პაცინი კი „ინტერში" გადაბარგდა. გუნდის მთავარი მწვრთნელი **დომენიკო დი კარლო** ნეაპოლში გამარჯვების აუცილებლობაზე საუბრობს, მაგრამ იქვე დასძენს, რომ მიზნის მიღწევა ურთულესი იქნება. რაც შეეხებათ ნეაპოლელებს, მიუხედავად იმისა, რომ თასის ნახევარფინალში „ინტერი" გაატარეს, ცდილობენ ხასიათი არ გაიფუჭონ და მორიგი სამი ქულა ჩაიწერონ აქტივში. ვნახოთ, წინ საინტერესო ბატალიები გველის.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 21 | 13 | 5 | 3 | 37-18 | 44 |
| 2. ნაპოლი | 21 | 12 | 4 | 5 | 32-20 | 40 |
| 3. რომა | 21 | 11 | 5 | 5 | 31-24 | 38 |
| 4. ლაციო | 21 | 11 | 4 | 6 | 27-21 | 37 |
| 5. ინტერი | 20 | 10 | 5 | 5 | 33-22 | 35 |
| 6. იუვენტუსი | 21 | 9 | 8 | 4 | 35-25 | 35 |
| 7. პალერმო | 21 | 10 | 4 | 7 | 34-25 | 34 |
| 8. უდინეზე | 21 | 10 | 3 | 8 | 34-28 | 33 |
| 9. სამპდორია | 20 | 6 | 9 | 5 | 20-18 | 27 |
| 10. კალიარი | 21 | 7 | 5 | 9 | 24-22 | 26 |
| 11. ფიორენტინა | 20 | 6 | 7 | 7 | 21-21 | 25 |
| 12. პარმა | 21 | 6 | 7 | 8 | 21-25 | 25 |
| 13. ბოლონია | 21 | 7 | 7 | 7 | 23-29 | 25 |
| 14. კიევო | 21 | 5 | 9 | 7 | 20-22 | 24 |
| 15. ჯენოა | 20 | 6 | 6 | 8 | 15-19 | 24 |
| 16. კატანია | 21 | 5 | 7 | 9 | 18-27 | 22 |
| 17. ლეჩე | 21 | 5 | 5 | 11 | 20-38 | 20 |
| 18. ჩეზენა | 21 | 5 | 4 | 12 | 15-27 | 19 |
| 19. ბრეშა | 21 | 5 | 3 | 13 | 17-27 | 18 |
| 20. ბარი | 21 | 4 | 5 | 12 | 13-32 | 14 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

**ბომბარდირები:** 14 – დი ნატალე; 13 - კავანი (ნაპოლი); 12 – იბრაჰიმოვიჩი (მილანი), ეტოო (ინტერი); 11 - დი ვაიო (ბოლონია).

**ლაშა წიკლაური**

იტალიის თასი. 1/4 ფინალი

# რომას დამაჯერებელი და დამსახურებული

**იუვენტუსი-რომა 0:2**

**იუვენტუსი (4-4-2):** სტორარი – მოტა (72. გროსო), კიელინი, ბონუჩი, გრიგერა - ფელიპე მელო, სისოკო, პეპე (62. იაკვინტა), მარტინესი – დელ პიერო, ამაური (46. კრასიჩი).

**რომა (4-3-2-1):** ჟულიო სერჟიო – კასეტი, ნ. ბურდისო, მექსე, რიისე – დე როსი, ბრიგი (40. ტადეი), პეროტა – სიმპლისიო, მენეზი (46. ბორიელო) – ვუჩინიჩი.

იტალიის თასის მეოთხე ნახევარფინალისტი ტურინის ოლიმპიურ სტადიონზე გამოვლინდა, სადაც "იუვენტუსმა" "რომა" მიიღო. გამომდინარე იქიდან, რომ მომდევნო ეტაპზე გამსვლელის ვინაობა ერთ მატჩში წყდებოდა, გარკვეული უპირატესობა მასპინძელს ჰქონდა, თუმცა ტურინელებმა ამით ვერ ისარგებლეს და ნახევარფინალში დედაქალაქელები გაუშვეს.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ **კლაუდიო რანიერის** გუნდმა უფრო ორგანიზებული, შემტევი და ზოგადად, მაღალი დონის ფეხბურთი ითამაშა – ასე რომ, გამარჯვება სრულიად დამსახურებულად მოიპოვა. რომაელებმა ორი უპასუხო გოლი გაუტანეს მეტოქეს და ორივე ულამაზესი. შეხვედრის 65-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც **მირკო ვუჩინიჩმა** მარცხენა ფრთაზე მიიღო ბურთი, ცენტრისკენ ორი ნაბიჯი გადადგა და მოჭრილი დარტყმით ბურთი **მარკო სტორარის** კარის შორეულ კუთხეში გაახვია. არანაკლებ ეფექტური გახლდათ **როდრიგო ტადეის** მიერ გატანილი გოლი – საჯარიმოში ჩაკიდულ ბურთს ბრაზილიელმა აკრობატულ ნახტომში შეუცვალა მიმართულება და შეხვედრის საბოლოო რეზულტატი დააფიქსირა. ჯერ კიდევ 1:0 იყო, როდესაც "რომას": საჯარიმოში **ფილიპ მექსე ალესანდრო დელ პიეროს** ეუხეშა – სწორედ ეს ეპიზოდი გაიხსენა ნამატჩევს განბილებულმა **ლუიჯი დელ ნერიმ**:

*"თერთმეტმეტრიანი რა თქმა უნდა იყო, რადგან მექსემ ორივე ხელი მოხვია დელ პიეროს და საჯარიმოში დასცა. მატჩის არბიტრი შეცდა, როდესაც ამაზე რეაგირება არ მოახდინა, ამაში ორი აზრი არ არის. თუმცა, გამარჯვებას უფრო მეტოქე იმსახურებდა და ეს უნდა ვაღიარო. ერთ-ერთი ყველაზე სუსტი შეხვედრა ჩავატარეთ მიმდინარე სეზონში და ჯერ არ ვარ მზად, ზუსტი დიაგნოზი დავსვა, თუ რატომ მოხდა ასე. ვულოცავ "რომას" გამარჯვებას, ჩვენ კი სამუშაო ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს".*

**ლაშა წიკლაური**



რომა ტურინში

● გერმანია. ბუნდესლიგა. XX ტურის წინ

# იქნება დორტმუნდი მარტო კაგავაა?

## საინტერესოა, როგორ გადაიტანს ბორუსია იაპონელის ტრავმას



დორტმუნდის მთავარი იმედი შინჯი კაგავა ფეხბურთს სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებს

**გუშინ**

**ლევერკუზენი-ჰანოვერი** 2:0

**დღეს**

**შალკე-ჰოფენჰაიმი** 18:30
**დისკვალიფიკაცია:** შმიტცი (შალკე)
**ტრავმა:** ყენია - გულდე, ობასი

**ვერდერი-ბაიერნი** 18:30
**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ფანდერი, ბიონიში, ნალდო, დ. შმიდტი, დ. იენსენი, ვესლი, არნაუტოვიჩი - კონტენტო, კროოსი, რიბერი, ოლიჩი

**ვოლფსბურგი-ბორუსია (დ)** 18:30
**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** კიაერი, ჩიგერჩი, გრაფიტე, მანჯუკიჩი - ოვომოიელა, კელი, კაგავა, კრინგე

**ნიურნბერგი-ჰამბურგი** 18:30
**დისკვალიფიკაცია:** ექიჩი (ნიურნბერგი)
**ტრავმა:** ნილსონი, ფრანტცი, გიუნდოგანი, ბუნიაკუ - დიკმაიერი, კასტელენი

**ზტ. პაული-კიოლნი** 18:30
**დისკვალიფიკაცია:** ჟერომელი (კიოლნი)
**ტრავმა:** კალა, ლეხნერი, მორენა, როთენბახი, ებერსი - მაკენა, მოჰამადი, შორხი, პეტიტი, პეცონი, ფრაისი

**კაიზერსლაუტერნი-მაინცი** 21:30
**დისკვალიფიკაცია:** პოლანსკი (მაინცი)
**ტრავმა:** შიმუნეკი, რივიჩი, მიჩანსკი - სვენსონი, სოტო

**ხვალ**

**შტუტგარტი-ფრაიბურგი** 18:30
**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ბულარუზი, ჩელოცი, დელპიერი, აუდელი, კაკაუ, ოკაზაკი - პუპლინი, კრმასი, შუსტერი, ვილიამსი, ბეხმანი, სისე

**აინტრახტი-ბორუსია (მ)** 20:30
**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** კრისი, ვასოსკი, ბაირამოვიჩი, კაიო, კლერკი - ბრუვერსი, დორდა, ჟორე, შახტენი

გერმანიის ჩემპიონატის მე-20 ტური გუშინ ძალიან საინტერესო მატჩით გაიხსნა: მეორეადგილოსანმა „ლევერკუზენმა" მესამეადგილოსან „ჰანოვერს" უმასპინძლა, რათა გაერკვია, თუ რომელია მათ შორის დორტმუნდის „ბორუსიას" პირველი მდევარი. თავად ლიდერი კი დღეს თამაშობს და თანაც, ვოლფსბურგში, რომელიც ბოლო დროს აზრზე კი მოვიდა, მაგრამ საკადრო პრობლემები აქვს. სულ რაღაც 2-3 წლის წინ, „ვერდერისა" და მიუნხენის „ბაიერნის" დაპირისპირება ბუნდესლიგის არა მარტო ტურის, არამედ მთელი სეზონის ერთ-ერთ ცენტრალურ მატჩად შეირაცხებოდა, მაგრამ დღეს ბრემენული კლუბი ცხრილის ქვედა ნახევარში, გასავარდნი ზონის მისადგომებთან „ბანაობს", „ბაიერნი" კი მეოთხე ადგილზეა. გერმანიის თასზე „ნიურნბერგთან" გადატანილი 120-წუთიანი ომის შემდეგ, „შალკე" „ჰოფენჰაიმს" ხვდება, კვირას კი „კაიზერსლაუტერნისა" და „მაინცის" უმძაფრესი დუელია.

### რეკორდმაისტერი ახალი კაპიტნით

როგორც ზემოთაც ვთქვით, მიუნხენელები ბრემენში ჩადიან და იმედი აქვთ, რომ ბოლოდროინდელ წარმატებებს (5:1 ბუნდესლიგაში, „კაიზერსლაუტერნთან", 4:0 გერმანიის თასზე „ალემანიასთან") განაგრძობენ. როგორც იცით, **მარკ ვან ბომელმა** ბავარიული გრანდი დატოვა და „მილანში" გადავიდა. ჰოლანდიელის წასვლის შემდეგ კი, „ბაიერნის" კაპიტნად **ფილიპ ლამი** დაინიშნა და მიუნხენურ გრანდს „ვეზერშტადიონის" მწვანეზე დღეს სწორედ ეს უკანასკნელი გაუძღვება. ბრემენელებს რეკორდმაისტერთან ჭიდილის წინ ოპტიმისტურად განწყობის არანაირი საფუძველი არ გააჩნიათ - „კიოლნთან" 0:3-ზე წაგებული მატჩის შემდეგ „მუსიკოსები" გასავარდნ ზონას „სათოფეზე" მიუახლოვდნენ. კვირის დასაწყისში **თომას შააფმა** ამ სეზონში უკვე მეშვიდედ (!) შეკრიბა ფეხბურთელები მათ ე.წ. „კრიზისული საუბარი" გაუმართა. წინა ექვსმა ლექციამ შედეგი არ გამოიღო და ვნახოთ, რა იქნება მეშვიდე ჯერზე.

### რას ნიშნავს კაგავას არყოფნა დორტმუნდისთვის?

დორტმუნდის „ბორუსიაში" კრიზისული საუბარი ან რაიმე ამდაგვარი, რა თქმა უნდა, არ ყოფილა, მაგრამ იმის გამო, რომ წინა ტურში (შტუტგარტთან 1:1) დორტმუნდელებმა ძალიან ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს, მიმომხილველებმა ამ კვირაში ხსენებულ თემაზე ლამის „დისერტაცია დაიცვეს". **იურგენ კლოპის** გუნდი დღეს „ვოლფსბურგს" სტუმრობს - გუნდს, რომელიც საკუთარ მოედანზე არცისე კარგად გამოიყურება (3 მოგება/4 ფრე/2 წაგება). თუ „ბორუსია" მოიგებს, ეს იქნება მეათე გამარჯვება მეთორმეტე გასვლით მატჩში და ამ მოგებით „შავ-ყვითლები" ყველას დაამშვიდებენ, ვინც ამ კვირაში ივარაუდა, რომ BVB-ს კრიზისი დაეწყო. ერთი ეგაა, რომ კლოპს და მის შეგირდებს ახლა **შინჯი კაგავას** სერიოზული ტრავმა აქვთ გადასატანი. თითქმის გადაწყვეტილია, რომ იაპონელი ფეხბურთს სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებს, რაც „ბორუსიასთვის" სერიოზული დანაკლისია. თუ რამდენად იმოქმედებს გუნდზე კაგავას ტრავმა, ეს უახლოეს ტურებში ნათლად გამოჩნდება. „ვოლფსბურგმა" წინა ტურში „მაინცი" დაამარცხა, დორტმუნდელებთან ომის წინ კი „მგლებსაც" საკადრო პრობლემები აქვთ. **სტივ მაკლარენი გრაფიტესა** და **მანჯუკიჩის** სახით ორ წამყვან თავდამსხმელს ვერ გამოიყენებს, რაც იმას ნიშნავს, რომ თავდასხმაში აუცილებლად ახალწვეული, „მონაკოდან" ნაყიდი **მბოკანი** უნდა ათამაშოს.

### რაიან ბაბელის დებიუტი შალკესთან

შესავალშიც აღვნიშნეთ, რომ „შალკემ" გერმანიის თასზე, „ნიურნბერგთან" 120-წუთიანი ომი გადაიტანა. გელზენკირხენელებმა თასის ნახევარფინალში რის ვაი-ვაგლახით, 17 წლის **იულიან დრაქსლერის** გვიანი გოლით გააღწიეს და წესით, გადაღლილები უნდა იყვნენ. **ფელიქს მაგათის** გუნდმა წინა ტურში იმ დროს მეორე ადგილზე მყოფი „ჰანოვერი" დაამარცხა, ახლა კი „ჰოფენჰაიმს" ხვდება. „სოფლელებმა" ამ კვირაში, როგორც იქნა, სრულყვეს **რაიან ბაბელის** ტრანსფერი „ლივერპულიდან". ამ უკანასკნელს დღეს ძირითად შემადგენლობაში ვიხილავთ. ბაბელთან ერთად, „ჰოფემ" „ბაიერნიდან" **ედსონ ბრააფჰეიდიც** გადაიბირა. „შალკეში" კი **ივან რაკიტიჩს** ველარ ვნახავთ (სევილიაში წავიდა), რომელსაც ძირითად შემადგენლობაში **კრისტოფ მორიტცი** შეცვლის.

### დიდი მატჩი კაიზერსლაუტერნში

გელზენკირხენში მომხდარმა სათასო ომმა ცხადია, „ნიურნბერგიც" დაღალა. მით უმეტეს, რომ ფრანკები თასიდან გავარდნენ და ფიზიკურის გარდა, ფსიქოლოგიური ტრავმაც მიიღეს. დღეს „ნიურნბერგი" „ჰამბურგს" ხვდება და მთავარი მწვრთნელი **დიტერ ჰეკინგი** ერთ-ერთ ყველაზე კრეატიულ ფეხბურთელს, **მეჰმეთ ექიჩის** ვერ გამოიყენებს (დისკვალიფიკაცია). რაც შეეხება „ჰამბურგს": **მათიას ზამერის** გარშემო ატეხილი სპექტაკლის შემდეგ, ჩრდილოგერმანული კლუბის ხელმძღვანელები ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდნენ. შეგახსენებთ, რომ HSV ერთადერთი გუნდია, რომელსაც მეორე წრის ორივე თამაში მოგებული აქვს.

„ჰამბურგი" სტუმრად თამაშობს, მაგრამ პარალელურად, ჰამბურგში აუტსაიდერების უმძაფრესი ჯახი შედგება: „კიოლნი", რომელსაც ძალიან ბევრი საკადრო პრობლემა აქვს, „ზანკტ პაულის" სტუმრობს. ორივე გუნდს 19-19 ქულა აქვს, მაგრამ „კიოლნი" „პაულიზე" წინ დგას (ბურთების უკეთესი შეფარდების გამო).

დღეს საღამოს, კაიზერსლაუტერნში „ჭექა-ქუხილია" მოსალოდნელი, რადგან „ფრიც-ვალტერ-შტადიონზე" ადგილობრივი „წითელი ეშმაკები" და მათი მეზობლები, მაინცელები ერთმანეთს რაინლანდ პფალცის დერბიში ეთამაშებიან. ლაუტერნელთათვის ეს ძალიან კარგი შანსია - თუ „მაინცს" დაამარცხებენ, ამით ერთგულ გულშემატკივრებს „ბაიერნთან" (1:5) და „დუისბურგთან" (0:2 გერმანიის თასის მეოთხედფინალში) განცდილი წაგებების გამო მოუბოდიშებენ. თუმცა ფანებისთვის ბოდიში მაინცელებსაც აქვთ მოსახდელი, რადგან ბოლო დროს მაგრად აიჭრნენ, წინა ტურში კი საკუთარ „ბრუხვეგშტადიონზე" „ვოლფსბურგთან" 0:1 დამარცხდნენ. **თომას ტუხელს** წამყვანი საყრდენი ნახევარმცველი, **ოიგენ პოლანსკი** ჰყავს დისკვალიფიცირებული.

ხვალ კიდევ ერთი დერბია: „შტუტგარტი" ბადენ-ვიურტემბერგულ დუელში „ფრაიბურგს" იწვევს. შვაბები ძალიან კარგ ხასიათზე არიან მას მერე, რაც დორტმუნდიდან ქულა წაიღეს, თუმცა ამ წარმატებამ „შტუტგარტს" მხოლოდ ფსიქოლოგიური წინსვლა მოუტანა, სატურნირო ცხრილში კი **ბრუნო ლაბადიას** გუნდი ისევ ბოლოსწინა ადგილზეა. მე-20 ტური ხვალ საღამოს, ფრანკფურტის „აინტრახტისა" და მიონხენგლადბახის „ბორუსიას" მატჩით დაიხურება.

**გოტფრიდ ლენცი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 19 | 15 | 2 | 2 | 43-12 | 47 |
| 2. ლევერკუზენი | 20 | 11 | 6 | 3 | 41-29 | 39 |
| 3. ჰანოვერი | 20 | 11 | 1 | 8 | 28-30 | 34 |
| 4. ბაიერნი | 19 | 9 | 6 | 4 | 37-22 | 33 |
| 5. მაინცი | 19 | 11 | 0 | 8 | 30-21 | 33 |
| 6. ჰამბურგი | 19 | 9 | 3 | 7 | 29-28 | 30 |
| 7. ფრაიბურგი | 19 | 9 | 3 | 7 | 28-28 | 30 |
| 8. ჰოფენჰაიმი | 19 | 6 | 8 | 5 | 35-26 | 26 |
| 9. აინტრახტი | 19 | 8 | 2 | 9 | 24-25 | 26 |
| 10. შალკე | 19 | 7 | 4 | 8 | 26-25 | 25 |
| 11. ვოლფსბურგი | 19 | 5 | 8 | 6 | 26-26 | 23 |
| 12. ნიურნბერგი | 19 | 6 | 5 | 8 | 23-30 | 23 |
| 13. კაიზერსლაუტ. | 19 | 6 | 4 | 9 | 29-33 | 22 |
| 14. ვერდერი | 19 | 6 | 4 | 9 | 25-39 | 22 |
| 15. კიოლნი | 19 | 5 | 4 | 10 | 22-34 | 19 |
| 16. ზტ. პაული | 19 | 5 | 4 | 10 | 20-34 | 19 |
| 17. შტუტგარტი | 19 | 4 | 4 | 11 | 34-36 | 16 |
| 18. ბორუსია (მ) | 19 | 3 | 4 | 12 | 28-50 | 13 |

**ბომბარდირები:** 15 - გომესი (ბაიერნი), სისე (ფრაიბურგი); 14 - გეკასი (აინტრახტი); 11 - ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი); 10 - რაული (შალკე),ია კონანი (ჰანოვერი).




● ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ბლატერი ჯერჯერობით უალტერნატივოა

**იოზეფ ბლატერი** 1 ივნისს დანიშნულ ფიფას საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობასა და მეოთხე ოთხწლიანი ვადით მუშაობას აპირებს. ჯერჯერობით, ამ თანამდებობის დაკავების სურვილი სხვას არავის გამოუთქვამს. მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანოს სათავეში მოსვლის კანდიდატებს საკუთარი განაცხადის შესატანად ბოლო ვადად 1 აპრილი აქვთ დაწესებული.

### რუსები 50 მილიარდს ამზადებენ

სწორედ ეს თანხა, 50 მილიარდი ევრო სჭირდება რუსეთში ახალი თანამედროვე რკინიგზის მშენებლობას, რომელიც რალა თქმა უნდა, მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპამდე უნდა მოესწროს. ახალმა მაგისტრალმა ერთმანეთთან მოსკოვი, სანკტ-პეტერბურგი, ვლადიმირი, ნიჟნი ნოვგოროდი, ყაზანი, სამარა და ეკატერინბურგი უნდა დააკავშიროს. რკინიგზის თითოეული კილომეტრის მშენებლობა 14-დან 22 მილიონ ევრომდე დაჯდება.

### უკრაინას დისკვალიფიკაცია ემუქრება

ამჯერად უკრაინელებს სანქციები ევრო 2012-ისთვის მოსამზადებელი სამუშაოების შეფერხებისთვის კი არა, ფეხბურთის ფედერაციის საქმეში მთავრობის ჩარევისთვის ემუქრებათ. გუშინ უეფამ ამ ქვეყნის წარმომადგენლები მკაცრად გააფრთხილა და დაემუქრა, რომ თუ ფეხბურთის შიდა საქმეებში ხელისუფალთა ცხვირის ჩაყოფა გაგრძელდა, უკრაინას ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობასაც ჩამოართმევენ და ქვეყნის ნაკრებებსა და კლუბებს საერთაშორისო შეჯიბრებებიდანაც მოკვეთენ.

### ბუნდესლიგებში 2 მილიარდი ბრიალებს

როგორც კვლევებმა უჩვენა, გერმანიის ნაკრების მიერ გასულ მუნდიალზე მოპოვებული ბრინჯაოს მედლებმა ბუნდესლიგა გერმანიაშიც და მის საზღვრებს გარეთაც უფრო პოპულარული გახადა, რაც კლუბების ფინანსურ მდგომარეობაზეც აისახა, რალა თქმა უნდა, დადებითად. პირველი და მეორე ბუნდესლიგის ბინადარი კლუბების ჯამურმა წლიურმა ფინანსურმა ბრუნვამ 2 მილიარდი ევრო შეადგინა, რაც 21-პროცენტიანი ზრდაა. ბოლო ექვსი წლის განმავლობაში კლუბების უმეტესობის ფინანსური შესაძლებლობები სისტემატურად იზრდება.

### კრანჩარს ვერდერი ჩაეშალა

"ვერდერს" "ტოტენჰემისგან" **ნიკო კრანჩარის** შეძენა სურდა, მაგრამ კლუბები ფეხბურთელის ფასზე ვერ შეთანხმდნენ და ხორვატი ნახევარმცველი სეზონს ლონდონში ჩაამთავრებს. ესეც რომ არ ყოფილიყო, "ტოტენჰემის" **თავკაც ჰარი რედნაპს** კრანჩარის გასხვისება არ სურდა. იმის მიუხედავად, რომ 26 წლის ხორვატს მიმდინარე პრემიერლიგაში მხოლოდ 5 მატჩი აქვს ჩატარებული, რედნაპი მას გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელად მიიჩნევს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

ძიუდო. თბილისის მსოფლიოს თასი

# მორიგი, ტრადიციული



ფოტო: www.msy.gov.ge

დღეს გივი კარტოზიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლეში მსოფლიოს თასი იწყება ძიუდოში. მასში ჩვენი ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოვა: **დავით ასუმბანი, ბეთქილ შუკვანი, ტრისტან ფეიქრიშვილი, პაატა მერებაშვილი** (ყველა - 60), **შალვა ქარდავა, გიორგი შოშიაშვილი, ლევან ჩუბინიძე, არსენ მაჭარაშვილი** (66), **თენგიზ პაპოშვილი, ზურაბ ნოზაძე, ზვიად ბაზანდარაშვილი, ამბაკო ავალიანი** (73), **გიორგი ბაინდურაშვილი, პაატა ღვინიაშვილი, დავით კარბელაშვილი, ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81), **ლაშა გურული, საბა გავაშელიშვილი, გიორგი ცოციაშვილი, არჩილ შინჯიკაშვილი** (90), **დავით ლორიაშვილი, რევაზ ჩიკოიძე, კონსტანტინე მუკვანი, მალხაზ ნიჟარაძე** (100), **ზვიად ხანჯალიაშვილი, ადამ ოქრუაშვილი, ვახტანგ ზოიძე** და **ნოდარ მეტრეველი** (+100).

ტურნირში 27 ქვეყნის ნაკრები გამოვა: საქართველო, ჰოლანდია, საფრანგეთი, ბრიტანეთი, იტალია, რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, უნგრეთი, ისრაელი, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, კანადა, პორტუგალია, ავსტრალია, ავსტრია, ახალი ზელანდია, ჩერნოგორია, ბელარუსი, ტაჯიკეთი, უკრაინა, ყირგიზეთი, ყაზახეთი, უკრაინა, რუმინეთი და თურქეთი. როგორც ადრეც ვწერდით, სამწუხაროდ, ამჯერად არ იქნებიან იაპონელები, რაც შეჯიბრების ხარისხზე უთუოდ იქონიებს გავლენას.

დღეს ტურნირში პირველი სამი უმჩატესი წონის - 60, 66 და 73-ის ფალავნები ჩაებმებიან, დანარჩენები კი ხვალ იჭიდავებენ. სპორტის სასახლეში შეჯიბრება ორივე დღეს 10 საათზე დაიწყება, ფინალები კი 17 საათიდან განახლდება. ძიუდოს ქომაგს ფინალური ბლოკის ცქერა საზოგადოებრივ მაუწყებელზე პირდაპირ ეთერშიც შეეძლება. ბილეთი 3 ლარი ღირება.

გუშინ ტურნირისთვის მოსამზადებელი საორგანიზაციო სამუშაოები უშუალოდ სპორტის სასახლეში დაათვალიერა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ვლადიმერ ვარძელაშვილმა**, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ ესაა სალიცენზიო შეჯიბრება, რასაც დამატებით დატვირთვას ჩვენი სახელოვანი ძიუდოისტების - დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ოლიმპიურ ჩემპიონ **ზურაბ ზვიადაურის** და ევროპის ორგზის გამარჯვებულის, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსან **ნესტორ ხერგიანის** სპორტიდან გაცილებაც აძლევს, რასაც ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი **მარიუს ვიზერიც** დაესწრება. მინისტრმა იქვე ქომაგსაც მოუწოდა სპორტის სასახლეში მისვლისა და ქომაგობისკენ.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ამ სალიცენზიო შეჯიბრებაში ჩემპიონი 100 ქულას მიიღებს, ვიცე-ჩემპიონი - 60-ს, ბრინჯაოს მედალოსნები - 40-40-ს, მეხუთეადგილოსნები - 20-20-ს და ასე შემდეგ.

ჩვენი ტურნირის პარალელურად, ზუსტად ანალოგიური რანგისა და დატვირთვის ანუ სალიცენზიო შეჯიბრება ქალებისთვის სოფიაში ტარდება. იქ სამი ქართველი იასპარეზებს - **შორა შარაძე** (63), **ნინო ოძელაშვილი** (70) და **ირინა ლეონიძე** (+78). ქულათა დარიცხვის სისტემა იქაც ზუსტად იგივეა, რაც - ვაკეთან. ჩვენები ოთხშაბათს ავტობუსით გაემგზავრნენ ბულგარეთში.

დასასრულს, ორი ცნობა უცხოური ძიუდოდან. სპორტიდან წავიდა საფრანგეთის ქალთა ნაკრების მძიმეწონოსანი ლიდერი, ევროპის ხუთგზის და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი **სელინ ლებრუნი**, მეორე ამბავი კი ისევ ტუნისის „დიდ პრიზს" ეხება. ქვეყანაში შექმნილი მწვავე პოლიტიკური კრიზისის გამო ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია 6-8 მაისს გასამართი ამ შეჯიბრების სხვაგან გადატანაზე რომ ალაპარაკდა, „ლელო" უკვე წერდა. თუ ჩვენს აზერბაიჯანელ კოლეგებს დავუჯერებთ, მასპინძლობის ერთ-ერთი კანდიდატი ბაქოა, თუმცა საერთაშორისო ფედერაცია ამ საკითხზე გადაწყვეტილებას თებერვლის შუა რიცხვებში მიიღებს, პარიზის „დიდი მუზარადის" დამთავრების შემდეგ. აზერბაიჯანული წყაროების ცნობით, ბაქომ ასეთი ყურადღება მასტერსის ჩინებული ორგანიზების გამო დაიმსახურა. ალბათ, ეს მართალიცაა, რადგან იმ შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩვენი ნაკრების მრავალი ტურნირის მნახველი წევრებიც კი გაოცებით ჰყვებოდნენ, ასეთი შეჯიბრება არ გვინახავსო.

**ირაკლი თავაძე**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.

# ბერძენ-რომაელთა ორმაგი ტურნირი

დღეს ბერძენ-რომაელები ოფიციალურად გახსნიან წლევანდელ სეზონს - ნაკრების კანდიდატთა მცირე ნაწილი ფრანგულ კრეტეიში იჭიდავებს, ძირითადი ბირთვი კი სტამბოლში, ვები ემრეს სახელობის მემორიალში გამოვა. პარიზის გარეუბან კრეტეიში სამი ჩვენებური იასპარეზებს - ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **მანუჩარ კვირკველია** (74), ევროპის ორგზის და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი **რამაზ ნოზაძე** (96) და **დიმიტრი ჯავახიშვილი** (120). ამათგან კვირკველია და ნოზაძე ამ ტურნირის ხშირი სტუმრები არიან - იქ ლამის ყოველწლიურად ჭიდაობენ, ტრავმა თუ არ უშლით ხელს.

თურქეთში **ზურაბ მაჭარაშვილი** (55), **ირაკლი ჭოჭუა** (60), **არჩილ თურმანიძე, მუხრან მაჭუტაძე, რევაზ ლაშხი** (66), **ილია გულბათაშვილი, ანტონ მამაგეიშვილი, გიორგი დათუნაშვილი** (74), **გიორგი ცირეკიძე, მათე სოფაძე** (84), **სოსო ჯაბიძე, ვლადიმერ ქარჩავა, სოლომონ გიკაშვილი** (96), **გურამ ფერსელიძე** და **რევაზ ჭელიძე** (120) წავლენ. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე გამოირიცხა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **მანუჩარ ცხადაიას** (66) წასვლა. მან საქართველოს ჩემპიონატზე ტვინის შერყევა მიიღო და კი ვარჯიშობს, მაგრამ არასრული დატვირთვით და მისი შეჯიბრებაზე წაყვანა ამ ეტაპზე არ მიიჩნიეს მიზანშეწონილად. ასევე ტრავმის გამო ვერ წავიდა **ლაშა გოგიტაძე** (55). ტურნირებზე წასვლის წინ ბერძნულ-რომაული ნაკრები საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ვლადიმერ ვარძელაშვილმა** მოინახულა მოადგილეებთან - **დავით ნამგალაურსა** და **გია გალდავასთან** ერთად.

ორივე შეჯიბრება ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას ისახავს მიზნად და ამიტომ მწვრთნელებმა ძირითადი კანდიდატები შეარჩიეს. თუმცა ამჯერად ზოგიერთ მათგანს წონა არ დააკლებინეს და ზევით აჭიდავებენ, მაგრამ საევროპოდ ისინი კვლავ ჩვეულ წონით კატეგორიებს დაუბრუნდებიან. ევროპის პირველობა მარტი-აპრილის გასაყარზე გერმანულ დორტმუნდში გაიმართება, ჩვენები კი იქამდე კიდევ ერთ შეჯიბრებაში გამოვლენ - 25-27 თებერვალს ბულგარულ ბურგასში გასამართი ნიკოლა პეტროვის მემორიალზე. დორტმუნდული შემადგენლობაც ძირითადად იქ გაირკვევა. თუმცა მანამდე ნაკრები საწვრთნელ შეკრებასაც გაივლის - 4 თებერვალს ამ მიზნით სომხეთში, მაღალმთიან წახკაძორში წავლენ და მთლიანად ფიზმომზადებაში ივარჯიშებენ. წახკაძორში მათ ჩვენი „თავისუფალთა" 15-კაციანი გუნდიც - სომხეთის მთიანეთში ისინიც ფიზიკურად ემზადებიან. ამ შეკრების დასრულების შემდეგ ისინიც თურქეთში წავლენ და 11-13 თებერვალს იაშარ დოგუს სახელობის „ოქროს დიდი პრიზის" პირველ ტურნირში გამოვლენ. გაუთვალისწინებელი მიზეზებით თუ რამე არ შეიცვალა, იქ **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **მალხაზ ზარქუა** (60), **კობა კაკალაძე, ილია ხუციშვილი** (66), **დავით ხუციშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **ბელდუხ გავაშელიშვილი** (96) და **დავით მოძმანაშვილი** (120) გამოვლენ.

**ირაკლი თავაძე**

ფიგურული ციგურაობა



# მეხუთე ადგილი და მედლის შანსი

მიუხედავად იმისა, რომ **ელენე გედევანიშვილმა** მოკლე პროგრამაში სეზონის საუკეთესო მიღწევა აჩვენა, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ბერნში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე მოწინავე სამეულში დასამკვიდრებლად, ქართველი სპორტსმენი მეხუთეა პირველი დისციპლინის შემდეგ, თუმცა მედლის შანსს ინარჩუნებს. შეგახსენებთ, რომ ელენე კონტინენტის პირველობის ბრინჯაოს პრიზიორია და ბერნშიც ერთ-ერთი ფავორიტის რანგში წარდგა გულშემატკივართა წინაშე.

უკვე დავწერეთ, რომ ქართველმა კარგად ისრიალა, თუმცა შარშანდელი პირველობისგან განსხვავებით, უკეთ იასპარეზეს მისმა მთავარმა კონკურენტებმა, რომელთაგანაც ელენემ მხოლოდ ევროპის სამგზის ჩემპიონ იტალიელს, **კაროლინა კოსტნერს** აჯობა. ქართველმა 53,68 ქულას მოუყარა თავი, აქედან 27,03 ქულა მან ტექნიკურ სეგმენტში მოაგროვა, 26,65 კი - პროგრამულში. პირველი დღის შემდეგ ლიდერობს ფინელი ლამაზმანი **კიირა კორპი**, რომელსაც საუკეთესო სეზონი აქვს, კორპიმ შესანიშნავად ისრიალა ბერნში და 63,50 ქულა დააგროვა. სხვათა შორის, კორპის შარშან ევროპის ჩემპიონატზე კიდევ უფრო უკეთესი მოკლე პროგრამა ჰქონდა, ელენემ მას თავისუფალში აჯობა და ცხვირწინ ააცალა ბრინჯაოს მედალი. მეორე ადგილზე რუსი **ქსენია მაკაროვაა** - 60,35 ქულა, მესამეზე კი ვეტერანი მასპინძელი **სარა მაიერი** - 58,56.

დღეს თავისუფალი პროგრამაა 24 მონაწილეს შორის ელენე ერთ-ერთი ბოლო გამოვა ყინულზე, ის ფინალურ ჯგუფშია, ქართველის შემდეგ მხოლოდ **ვიქტორია ჰელგესონი** და სარა მაიერი გამოვლენ.

**ევროპის ჩემპიონატი. ქალები**

მოკლე პროგრამა

| | |
|---|---|
| 1. კიირა კორპი (ფინეთი) | 63,50 |
| 2. ქსენია მაკაროვა (რუსეთი) | 60,35 |
| 3. სარა მაიერი (შვეიცარია) | 58,56 |
| 4. ვიქტორია ჰელგესონი (შვედეთი) | 54,70 |
| 5. ელენე გედევანიშვილი (საქარ.) | 53,68 |
| 6. კაროლინა კოსტნერი (იტალია) | 53,17 |
| 7. მაე მეიტე (საფრანგეთი) | 51,61 |
| 8. ვალენტინა მარკეი (იტალია) | 51,24 |
| 9. სარა ჰეკენი (გერმანია) | 51,12 |
| 10. ირა ვანუ (ბელგია) | 50,90 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

*P.S. წუხელ ევროპის ჩემპიონატზე დაასრულეს ასპარეზობა ყინულზე ცეკვებში მონაწილე **ელისონ რიდმა** და **ოთარ ჯაფარიძემ**. თავისუფალ პროგრამაში ქართულმა წყვილმა 67,87 ქულა მიიღო. ჯამში ჩვენებმა 114,73 ქულა დააგროვეს და მე-17 ადგილზე გავიდნენ.*

ჩოგბურთი

# ჩახნაშვილი მეოთხედფინალში, ბრიტანელთან

საქართველოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **მაკა ჩახნაშვილმა** (257) წარმატებით დაძლია გრენობლის საერთაშორისო ტურნირის (საფრანგეთი, 25 ათასი დოლარი) მერვედფინალური წინაღობა. მაკამ ორ სეტში ფრანგი **ოდრი ბერგო** (236) დაამარცხა - 7:6 (5), 6:4. ეს თამაში საათნახევარზე მეტი გაგრძელდა. ფრანგმა 8 ეისი ჩააგდო, ქართველმა - 5, მეტოქეებმა 5-5-ჯერ შეძლეს ბრეიქ-პოინტის გახერხება. ქართველის შემდგომი მეტოქე 20 წლის ბრიტანელი **ნაომი ბროდია** (293), რომელიც ჩვენებურის მსგავსად, საკვალიფიკაციო ბადიდან მოდის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# დებიუტი ჩვეულებრივ ცხოვრებაში, უჩვეულო ჭადრაკში

**ანაკლიაში მოჭადრაკე ქალთა საქართველოს ჩემპიონატზე დიდოსტატმა მაია ლომინეიშვილმა თორმეტიდან 6 პარტია მოიგო, ხუთი ყაიმით დაამთავრა, მოაგროვა 8,5 ქულა და კარიერაში ჩემპიონის ტიტული მეხუთედ დაიმსახურა.**

— ტურნირზე უძლიერესმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, ფაქტობრივად, ყველა გამოდიოდა, მაია ჩიბურდანიძისა და ნანა ძაგნიძის გარდა, რომლებიც ამჟამად ფიდეს ქალთა გრანპრის ბოლო ეტაპისთვის ემზადებიან, - გვითხრა მაია ლომინეიშვილმა. - მართალია, შარშანდელის მსგავსად, საპრიზო სამეულში მოხვედრას ვვარაუდობდი, მაგრამ ოქროს მედალს თუ მოვიპოვებდი, არ მეგონა. მე ხომ ბოლო ერთი წელიწადია, ობიექტური მიზეზებით სერიოზულად არ მივარჯიშია - ბევრ დროს მართმევს ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობა, თან შარშან აპრილში ოჯახი შევქმენი და საჭადრაკო დაფასთან უწინდებურად დიდი ხნით დასაჯდომად ველარ ვიცლი. ამიტომაც დავკარგე რეიტინგში 100 ქულაზე მეტი. როგორც ვიცი, ჩემი მეტოქეები ნაყოფიერად ვარჯიშობდნენ. არც არის გასაკვირი, რადგან ჩემპიონატზე საკმაოდ მაღალი საპრიზო ფონდი იყო დაწესებული, თან ჩემპიონი ეროვნულ ნაკრებში ადგილს იბევებდა, მედალოსნებს კი ჭადრაკის ფედერაცია ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებლად დააფინანსებს.

**— როგორც ვიცი, ანაკლიაში ყველაზე გვიან ჩახვედი...**

— დიახ. გოგონებთან ერთად ვერ წავედი, რადგან 9 იანვარს უნივერსიტეტში გრანდიოზული ღონისძიება გვქონდა და წინა დღეებში პარტიების ნაცვლად სტუმრებისთვის მენიუებს ვარჩევდი. თუმცა, ხუთი-ექვსი მეცადინეობის ჩატარება მაინც მოვასწარი. დიდოსტატმა კონსტანტინე შანავამ გამიმართა ხელი.

ჩემპიონატში 13 მოჭადრაკე მონაწილეობდა. რადგანაც კენტი რიცხვი იყო, ყოველ ტურში ერთ-ერთ ჩვენგანს უნდა დაესვენა. ორგანიზატორებსა და მოასპარეზეებს ვთხოვე, პირველი ტაიმ-აუტი ჩემთვის დაეთმოთ, რომ 12-ტურიანი მარათონის წინ დასვენება მომესწრო. უარი არ უთქვამთ — ჩემს თხოვნას ანგარიში გაუწიეს, რისთვისაც ყველასი მადლობელი ვარ.

**— მისთვის უჩვეულო დებიუტებს თამაშობდაო, მითხრეს.**

— სხვა რა გზა მქონდა. როგორც აღვნიშნე, ჩემპიონატისთვის ნორმალურად მომზადება ვერ მოვასწარი, ამიტომ იმ დებიუტების გამოყენებაზე უარი ვთქვი, რომლებსაც აქამდე ვეყრდნობოდი. ჩემთვის უჩვეულო ე4-ის თამაში დავიწყე. ყოველმხრივ ვცდილობდი, მეტოქეთა წისქვილზე წყალი არ მიმეშვა. უმთავრესად გამომივიდა კიდეც, თუმცა მე-5 ტურში შავებით მარიამ დანელიასთან პაექრობისას სიძნელეებს წავაწყდი. დებიუტის შემდეგ უსიამოვნო პოზიცია მივიღე. კრიტიკულ სიტუაციაში ჩემს ახალგაზრდა კოლეგას ერთი-ორი ზუსტი სვლა რომ ეთამაშა, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი. ორმხრივ ცაიტნოტში მარიამმა ეს სვლები ვერ შენიშნა, რითაც საშუალება მომცა, პარტია შემომებრუნებინა და მომეგო კიდეც. იმ დღეს ფორტუნა ჩემს მხარეს იყო. საერთოდ, გამართლების გარეშე, კარგი მომზადებითაც ტურნირს ვერ მოიგებ. ამ ჩემპიონატზე კი „კაისა" აშკარად მწყალობდა. თუმცა, მე-7 ტურში სოფიო ნიკოლაძესთან ორთაბრძოლისას, მანაც მაქცია ზურგი და დავმარცხდი. ეს იყო ჩემი ერთადერთი ნაგება ამ შეჯიბრებაზე. მერე უშუალო კონკურენტებს ვაჯობე და გავიმარჯვე კიდეც.

**— ბოლო ტურში ნინო ხურციძესთან უკეთესი პოზიცია გქონდა, ყაიმს კი დასჯერდი. რატომ?**

— როგორც გითხარით, ჩემპიონატში საქართველოს უძლიერესი მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ, ამიტომ მათთან საბრძოლველად დიდი ენერგია იყო საჭირო, რადგან ყველა პარტიაში ბოლომდე ვიხარჯებოდი, დავიღალე კიდეც. მას შემდეგ, რაც ბოლოსწინა ტურში მირანდა მიქაძეს ვძლიე, ბოლო პარტიაში ჩემპიონობისთვის ყაიმიც მყოფნიდა. არ გავრისკე ხურციძესთან პაექრობისას — ყაიმზე შევუთანხმდი; შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მადლობა გადავუხადე მირანდას, რომელმაც ჩემს ორ კონკურენტს სძლია და მშვიდი ფინიშის საშუალება მომცა.

**— ტურნირებისას თილისმად ზოგი რას იყენებს, ზოგი - რას. შენ?**

— მე ასეთი რამეების არ მჯერა. ეს იყო მხოლოდ, რომ ანაკლიაში მეუღლემ წამიყვანა მანქანით. ჩემმა დედამთილმა იცის, რომ თამაშისას ტკბილეული მიყვარს, ამიტომ ანაკლიაში იმ დღეების სამყოფი თავისი ხელით გაკეთებული კომპოტები გამატანა. ძალიან გამომადგა. წყლის მაგივრადაც მას ვსვამდი. გოგონებმა იხუმრეს, დედამთილის ნახელავი დოპინგად გამოგადგაო.

**— სამომავლოდ რას აპირებ?**



— უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, კულტურისა და სპორტის სფეროში თსუ-ს წარმომადგენლად დავინიშნე, რაც სამუშაოს მომიმატებს, მაგრამ ვეცდები ჭადრაკისთვისაც მეტი დრო გამოვნახო. ჩემპიონობით ეროვნულ ნაკრებში ადგილი დავიბევე. წლეულს ევროპისა და მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატებში მოგვიწევს თამაში და თანაგუნდელთა დალალატება არ ივარგებს. ვიასპარეზებ ქალთა კონტინენტის პირველობაზეც, რომელსაც, შესაძლოა, თბილისმა უმასპინძლოს. რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობაც მაქვს დაგეგმილი. ვნახოთ.

**— ვაჟთა ჩემპიონატის შედეგებზე რას იტყვი?**

— დავით ზარქუას ვულოცავ ჩემპიონობას. უნდა ვაღიარო, რომ ფინალურ ოთხეულში სამი ახალგაზრდა ოსტატის მოხვედრა მართლაც სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. არადა, 16 საუკეთესოში ხომ ლევან ფანცულაიასთან ერთად მაღალი რეიტინგის მქონე მიხეილ მჭედლიშვილი, მერაბ გაგუნაშვილი, კონსტანტინე შანავა, თამაზ გელაშვილი და თორნიკე სანიკიძეც იყვნენ. ეს ჩემპიონატი კარგი გაკვეთილი იქნება ჩვენი დიდოსტატებისთვის. სალად უნდა შეხედონ იმ ფაქტს, რომ ახალი თაობა იზრდება, მოდის. შეუცვლელი არავინაა. ზარქუას დიდი ხანია ვიცნობ, ნიჭიერი მოჭადრაკეა. იმედია, იგი უფრო აიმაღლებს ოსტატობას და სანაკრებო მოღვაწეობასაც სასახელოდ შეძლებს.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო



## მორის სახვაძე

სიკვდილი ვის არ სტკივა, მაგრამ ტკივილზე რაღაც მეტია, როცა ადამიანური ღირსებებით ყოველმხრივ შემკული პიროვნება მიდის ამ ქვეყნიდან.

უეცრად გამოაკლდა საქართველოს მუშკეტერთა რიგებს მისი ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი მორის სახვაძე, კაცი, რომელიც დაკარგა მსოფლიოს საფარიკაო სამყარომ, როგორც უაღრესად მაღალი დონის პროფესიონალი, 16 წლის განმავლობაში, ანუ მას შემდეგ, რაც სასიკვდილოდ განწირულს მეგობრებმა — იური ოსიპოვმა, არჩილ გოგელიამ და გურამ ჯაიანმა თანადგომით მეორე სიცოცხლე დაუბრუნეს, ოთხჯერ იყო არჩეული ფარიკაობის მსოფლიო ფედერაციის მსაჯთა კომისიის წევრად — უმსაჯია უმაღლესი დონის ტურნირებზე, ანდობდნენ კომისრის, დამკვირვებლის, დელეგატის ფუნქციასაც მთელ რიგ შეჯიბრებებში, მათ შორის ოლიმპიურ თამაშებში.

ქართული ფარიკაობის ღირსეულ ოჯახში მორისი გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან ჩაეწერა. გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და პრიზიორი, თასის მფლობელი, სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრებებში იმარჯვებდა და საპრიზო ადგილებს იკავებდა საერთაშორისო სარბიელზე, რომელსაც აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგაც არ დამშვიდობებია. 1978 წლიდან საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი გახლდათ. იმსაჯა მოსკოვისა და ბარსელონის ოლიმპიადებზე, მსოფლიოს ჩემპიონატებსა და მსოფლიოს თასი გათამაშებებში; იყო საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტი, გენერალური მდივანი, პირველი ვიცე-პრეზიდენტი. მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდებები, დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

მორისი იყო ყველასთვის საყვარელი პიროვნება, უაღრესად განათლებული, დახვეწილი ინტელიგენტი, ტკბილმოუბარი, თაობათა შორის საიმედო ხიდი, საქმით ქებული. მან შეძლო „სიკვდილის შემდეგ კურთხევით მოსახსენებელი სახელის დატოვება“.

მორის სახვაძის სახელი დავიწყებას არასდროს მიეცემა, რადგან მან წარუშლელი კვალი დატოვა, როგორც ქართულ, ისე მსოფლიოს საფარიკაო სამყაროში.

საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია

*პანაშვიდი 29.01; გამოსვენება 30.01, 14 სთ-ზე; ვაჟა-ფშაველას, 51.I კვ. V კორპ.*

საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე ორგანიზაციის წევრი, ვეტერანი მოფარიკავე და ქართული სპორტის ღვაწლმოსილი მუშაკი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი

**მორის სახვაძე**

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.




● ევრობასკეტი 2011

# ვის დაექიდება საქართველო ევრობასკეტზე?

## კვირას წილისყრაა

2010 წლის 5 სექტემბერს ფიბა-ევროპის ხელმძღვანელობამ ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთა რაოდენობა 16-დან 24-მდე გაზარდა და საქართველომაც ევროფორუმზე პირველად თამაშის უფლება მოიპოვა. მას მერე ბევრი გულშემატკივარი მოუთმენლად ელის წილისყრას და მეტოქეთა ვინაობის გარკვევას. მოლოდინმა თითქმის ხუთ თვეს გასტანა და, ბოლოსდაბოლოს, წილისყრის დროც მოვიდა - კვირას, 30 იანვარს, ვილნიუსის დრამის თეატრში, თბილისის დროით 21:30 საათზე...

ამ მოვლენას, ცხადია, ყველა მონაწილე ქვეყნის დელეგაცია დაესწრება. მათ შორის საქართველოსი. იმის გარკვევის მიზნით, ვინ მიემგზავრება წილისყრაზე, გუშინ კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ბესიკ ლიპარტელიანს** დავუკავშირდი. ახლა თბილისის აეროპორტში ვარო, მითხრა ბატონმა ბესომ. მასთან ერთად ლიტვაში გაფრინდნენ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **გიორგი მელაძე**, გენერალური მდივანი **მერაბ რატიშვილი** და სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსი **ირაკლი სამყურაშვილი**.

ჩვენი ფედერაციის წევრები, გარდა იმისა, რომ წილისყრაზე საქართველოს წარმოადგენენ, სხვა ქვეყნების ფედერაციებთან კონსულტაციების შემდეგ ნაკრების საზაფხულო მზადების კონტურებსაც მოხაზავენ. უფრო კონკრეტულად: სპარინგმატჩებსა და საკონტროლო ტურნირებზე დაილაპარაკებენ.

აქვე ექვს კალათაში წილისყრისთვის განთესილ გუნდებს ჩამოგითვლით.

I კალათა: **ესპანეთი, სერბეთი, საბერძნეთი, სლოვენია.**

II კალათა: **საფრანგეთი, ხორვატია, რუსეთი, თურქეთი.**

III კალათა: **გერმანია, ლიტვა ჩერნოგორია, ბელგია.**

IV კალათა: **დიდი ბრიტანეთი, მაკედონია, ისრაელი, საქართველო.**

V კალათა: **იტალია, ბულგარეთი, პოლონეთი, ბოსნია.**

VI კალათა: **უკრაინა, ლატვია...**

მეექვსე კალათში დარჩენილ ორ ადგილს საკვალიფიკაციო ტურნირის მონაწილე გუნდები (**ფინეთი, უნგრეთი, პორტუგალია**) შეავსებენ. მათ შორის საუკეთესო დუეტი 3-24 აგვისტოს მიმოსვლითი სისტემით გასამართ ტურნირზე გამოვლინდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● საქართველოს თასი. მეოთხედფინალი

# აქეთ როჯერსი, იქით კოტონი

## ნახევარფინალისტები დაწყვილდნენ

**28 იანვარი. რუსთავი.**

**არმია-სოხუმი 91:71**

20:22, 24:23, 19:9, 28:17

არმია: ბაბიაშვილი (8ქ), ბოისა (11ქ, 8მ), მინაშვილი (5ქ), ბ. ბერიშვილი (11ქ), ტულუში (11ქ, 7პ), პირველაშვილი (10ქ), მოსეშვილი (2ქ), ათანელიშვილი, ათუაშვილი (14ქ), საყვარელიძე (11ქ), შარაბიძე (8ქ).

სოხუმი: ფარლალავა (18ქ, 9მ, 7პ, 4 ჩ), ჰარისი (21ქ), კვეტენაძე, შანიძე (4ქ), სორდია (5ქ), კანკია, კ. დამუსი (7ქ), რ. დამუსი (13ქ, 9მ), ანთაძე (3ქ).

მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე; კომისარი: რ. ხომერიკი

**შსს-სამედიცინო 78:64**

29:14, 15:19, 20:19, 14:12

შსს: ლაფანაშვილი, ლეჟავა (15ქ, 5პ), ნიკოლაძე (10ქ), კოტონი (20ქ), მარკოიშვილი, ტუჯანი (10ქ), დ. ბარბაქაძე (3ქ), შერმადინი (2ქ), წივწივაძე (10ქ, 7პ), ტომარაძე (8ქ).

სამედიცინო: გულისაბედაშვილი, თავართქილაძე, ბექაური (6ქ), კეიდია (4ქ), ნინიაშვილი, როდუმტა (2ქ), ჭოჭუა (13ქ), დვალიშვილი (7ქ, 10მ), თენეიშვილი (5ქ), როჯერსი (27ქ, 13მ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი; კომისარი: რ. გელოვანი

**ენერჯი-თსუ 88:95 (ძ.დ. 84:84)**

22:20, 24:16, 28:25, 10:23, 4:11

ენერჯი: მაჭავარიანი (18ქ), გ. ბერუაშვილი, მებურიშვილი (9ქ), აბაიშვილი (11ქ, 7მ, 8პ), გუგავა (26ქ, 14მ, 6ჩ), ზედელაშვილი, ლამუ (16ქ, 13მ), თვარაძე (9ქ), ობგაიძე.

თსუ: ხიზანიშვილი (2), გაფრინდაშვილი (9), კოხრეიძე (11ქ, 6პ), ლონდარიძე (12ქ, 12მ), კორკოტაძე (7), ჩიტაშვილი (7), მათიაშვილი (26ქ, 17მ), მ. ბერიშვილი (17ქ, 5პ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. ანდღულაძე; კომისარი: გ. სანაძე

**ქუთაისი-სტუ 98:77**

15:26, 32:14, 32:12, 19:25

ქუთაისი: კვერნაძე, ბაბუნაშვილი (10ქ), დიდია (15ქ, 9პ), კვიმსაძე (15ქ), ტუკვაძე (2ქ), ბოლქვაძე (4ქ), ლომინაშვილი (9ქ), გ. ბარბაქაძე (17ქ), ცეკვავა (7ქ), კოლუაშვილი (15ქ 9მ), ქორიძე (2ქ), კუჭავა (2ქ)

სტუ: ჭოხონელიძე (2ქ), ვ. ბერუაშვილი (24ქ, 8მ), ჩიკვილაძე (17ქ), გასიტაშვილი, მაჩალაძე (1ქ), თევზაძე (4ქ), კობიძე (9ქ), ჯანგველაძე (6ქ), ჩალიგავა (2ქ), ძიძიგური (11ქ), ახალკაცი (1ქ).

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, კ. კუპატაძე; კომისარი: თ. ქიქოძე

**ნახევარფინალი. 30 იანვარი**

**16:00 ქუთაისი-შსს**
**18:00 არმია-თსუ**

როგორც მოსალოდნელი იყო, მეტად საინტერესო გამოდგა საქართველოს თასის გათამაშების მეოთხედფინალური სტადია... და ნახევარფინალური წყვილებიც მოლოდინისამებრ შედგა: კვირას ერთმანეთის პირისპირ წარდგებიან „არმია“-თსუ და შსს-“ქუთაისი“.

■ ■ ■

გუშინ, 28 იანვარს დღის პირველ მატჩში სოხუმელებმა ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს, შეხვედრის დასაწყისში 8 ქულითაც დაწინაურდნენ, მაგრამ საბოლოოდ პირველი ნახევარი მხოლოდ 1 ქულით მოიგეს. სოხუმელთაგან უკანახაზელები გამოირჩეოდნენ - **იუჯინ ჰარისი** და **ლაშა ფარლალავა**.

გარდამტეხი მესამე მეოთხედი აღმოჩნდა, რომელიც არმიელებმა მაღალ დონეზე ჩაატარეს. **ლევან მოსეშვილის** გუნდი როგორც წინა, ისე უკანა ხაზში კარგად თამაშობდა. ტანმაღალმა **სერგო ათუაშვილმა** ფარქვეშ პოზიციები გაიმყარა, **კოტე ტულუში, ანატოლი ბოისა** და **ბუბა ბერიშვილი** კი სწრაფ, შედეგიან შეტევებს ახორციელებდნენ. სირენამდე 4 წუთით ადრე „არმიის“ უპირატესობამ 17 ქულას მიაღწია, რაც გამარჯვებას ნიშნავდა.

■ ■ ■

რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ საქართველოში დაბრუნებულმა **ჯეფ როჯერსმა** „სამედიცინოში“ გუშინ პირველი შეხვედრა ჩაატარა. 38 წლის ამერიკელისგან ძველებურ სიჩაუქეს ბევრი არ ელოდა, მაგრამ მან დაამტკიცა, რომ მაღალი დონის პროფესიონალია - საქართველოში კარგად მომზადებული ჩამოვიდა და შსს-სთან 27 ქულა და 13 მოხსნა მოაგროვა.

მეორე მხარეს მეორე ამერიკელი **ტროი კოტონი** გამოირჩა - 20 ქულა ჩააგდო. შსს-მ უფრო მობილურად და რაც მთავარია, ზუსტად ითამაშა, რისი შედეგიც 14 ქულით მოგებული მატჩი გახლავთ.

■ ■ ■

ქორქია-საკანდელიძის მემორიალის ტრიუმფატორ თსუ-ს „ენერჯის“ დასამარცხებლად დამატებითი დრო დასჭირდა. თუმცა იყო იმის დიდი ალბათობაც, რომ სტუდენტები თასის გათამაშებას მეოთხედფინალიდან გამოთიშვოდნენ.

ძირითადი დროის დასრულებამდე 25 წამი რჩებოდა, როცა თსუ-ელებმა (80:83-ს აგებდნენ) ბურთი გაათამაშეს. საჯარიმოში შეჭრილმა **გაფრინდაშვილმა** პერიმეტრზე მდგარი **კოხრეიძე** მოძებნა, რომელმაც ზუსტი სამქულიანით ანგარიში გაათანაბრა. დარჩენილ 16 წამში გუნდებმა თითო საჯარიმო გამოიყენეს (84:84) და მატჩი ოვერტაიმში გაგრძელდა.

დამატებით დროში კი სტუდენტებმა იძალეს და ნახევარფინალის საგზური მოიპოვეს. კარგად გაისარჯნენ სტუმართა მხრიდან **მათიაშვილი** (26 ქულა, 17 მოხსნა), რუსთაველთა მხრიდან **გუგავა** (26 ქულა, 14 მოხსნა, 6 ჩაჭრა).

■ ■ ■

ნახევარფინალში შსს-ს მეტოქე „ქუთაისი“ იქნება, რომელსაც თავიდან სტუ-სთან ცოტა გაუჭირდა, თუმცა მეორე და მესამე მეოთხედი 40 ქულით (32:14, 32:12) მოიგო და საბოლოოდ გამარჯვებამდეც იოლად მივიდა.

**ვაჟა სიმონიშვილი**




# მანუს საჩუქარი სლოვენიას

## ნდონგის მოკითხვა ვატოს

დაპირებისამებრ, „ბარსელონასთან“ მატჩზე ცივი გონებით ვილაპარაკებ. როგორც მოსალოდნელი იყო, კატალონიელები საკმაოდ მჭიდროდ მეთამაშნენ, მათ ხომ სამი კარგი ცენტრი ჰყავთ, ნდონგი, ფრან ვასკესი და პეროვიჩი. სხვადასხვა დროს სამივეს წინააღმდეგ მომიწია ასპარეზობამ, თუმცა, როგორც იტყვიან, თამაშისას ყველაფერი გამომდიოდა და... რომ მოგვეგო, სხვა ემოციებით დავწერდი დღიურის მესამე გვერდს.

საშუალება რომ მომეცა, ბონიფაც ნდონგს ვატო ნაცვლიშვილი და ვიქტორ სანიკიძე გავახსენე. ისინი ბონიფაცთან ერთად ფრანგულ „დიჟონში“ გამოდიოდნენ. თამაშის დასრულების შემდეგ ნდონგი მოვიდა და მითხრა, როცა ვატოს ნახავ, ჩემგან დიდი მოკითხვა გადაეციო.

კიდევ გავიმეორებ, რომ მოგვეგო... ნამდვილად შეგვეძლო გამარჯვება. თავიდან ცუდად დავიწყეთ, მეტოქეს 10 ქულით ჩამოვრჩით, თუმცა, თუ პირველ ტაიმში ჩვენ ვერ გავისარჯეთ სათანადოდ, მეორე ნახევარში „ბარსელონას“ ჰქონდა ჩავარდნები.

დარბაზი გადატენილი იყო და ხმაურისგან ინგრეოდა, რამდენი გულშემატკივარი გაიხარებდა ჩვენი წარმატების შემთხვევაში... ბოლო წამებზე კენი გრეგორის ის ტყორცნა რომ გამოეყენებინა...

თუმცა, რას ვიზამთ, არც ის მავიწყდება, რომ წინა ტურში, რომში სწორედ გრეგორის გადამწყვეტი ორი საჯარიმოთი მოვიგეთ.

საფინალო სირენის შემდეგ გულშემატკივარს მადლობა გადავუხადეთ და გასახდელში ჩვენ ჩვენს სკამებზე დავსხედით. მწვრთნელი ცოტა გვიან შემოვიდა და თქვა: დაცვაში კარგად ვითამაშეთ, მოგების შანსი გვქონდა და ხელიდან გავუშვით. ახლა ყველამ ადრიატიკის ლიგაზე „ჰემოფარმთან“ შაბათის მატჩზე უნდა იფიქროსო.



„შტოჟიცეს არენიდან“ პირდაპირ სახლისკენ გავეშურე. რას ვიზამდი მოგების შემთხვევაში? არ ვიცი, შეიძლება კალათბურთელებს რამე მოგვეფიქრებინა, მაგრამ შუა კვირაში გვიანობამდე თითქმის არაფერი მუშაობს...

სამაგიეროდ მეორე დღეს, 28 იანვარს წავისადილეთ რესტორანში. თუმცა, მანამდე, დილას ჯერ ტრენაჟორების დარბაზს მივაშურე, შემდეგ ლიუბლიანის ცენტრში ვლადიმერ ბოისას შევხვდი. ცენტრში ცოტა ხნით შევყოვნდით და შემდეგ მეუღლეებთან ერთად სლოვენიურ რესტორანში შევედით.

თამაშებისას თუ დაკვირვებიხართ, დარბაზის ზედა კუთხეში საქართველოს დროშა კიდია. იგი იმ რესტორნის მეპატრონეს ეკუთვნის, რომელშიც გუშინ ვისადილეთ. როგორც თავად მომიყვა, იგი მანუჩარ მარკოიშვილის კარგი მეგობარია და დროშაც საქართველოდან სწორედ მანუმ ჩამოუტანა. სხვათა შორის, თამაშის წინ სწორედ ჩვენს დროშას ავხედე. იქვე, ტრიბუნაზე მდგომმა რესტორნის მეპატრონემ მანიშნა - აი, რა კარგად ჩამოვკიდეო.

რესტორანში მან „ცხელ-ცხელი“ კერძების პარალელურად „ცხელ-ცხელი“ პრესა გადამიშალა. რამდენიმე გაზეთში ჩემი ფოტო დიდად იყო დაბეჭდილი. დავინტერესდი სტატიების შინაარსით, მაგრამ სამწუხაროდ სლოვენიური არ ვიცი.

რესტორნიდან დიდ სავაჭრო ცენტრში შევიარეთ და დასვენებაც ამით დამთავრდა - საღამოს ისევ ვარჯიშზე გამოვცხადდი.

განსაკუთრებული არაფერი ყოფილა: ჯერ „ჰემოფარმის“ მატჩის ვიდეოჩანაწერები გვიჩვენეს, შემდეგ მეტოქის კომბინაციები შევასრულეთ.

მწვრთნელმა შეგვახსენა... თუმცა, რა შეხსენება გვჭირდებოდა, რომ „ჰემოფარმი“ ადრიატიკის თასზე ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და მისი ძლევა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მით უმეტეს, რომ პირველ წრეში, სტუმრად წავაგეთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

## სპორტის ახალი სახეობები

# სნოუბორდი

სნოუბორდი (ინგლ. Snowboard — ფიცარი). ზამთრის სპორტის სახეობა, რომელშიც შედის ორი დისციპლინა: სლალომი დათოვლილ ფერდობზე განიერი, არშიიანი თხილამურით (სნოუბორდი) და ე.წ. ჰაფ-პაიფი (ინგლ. halfpipe — ნახევარმილი — დაშვება ნახევარცილინდრულ ღარში აკრობატული ელემენტების შესრულებით.

მსოფლიოს ჩემპიონატი იმართება 1996 წლიდან; ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1998-იდან.

პირველი სნოუბორდი გამოიგონა ამერიკელმა **ჯეკ ბარჩეტმა** 1929 წელს, ამ სახეობისთვის თანამედროვე ტიპის თხილამური კი ამერიკის შეერთებულ შტატებში XX საუკუნის 60-იან წლებში შეიქმნა. 1963 წელს **ტომ სიმსმა,** 1965 წელს კი **შერმან პოპენმა** თხილამურების ახალი მოდელები დაამზადეს. სიმსმა მას Sky Board უწოდა, პოპენმა კი — Snurfer; პირველი შეჯიბრება პოპენმა ჩაატარა.

სნოუბორდის ისტორიაში ახალი ეტაპი დადგა 1970 წელს, როდესაც დმიტრი მალკოვიჩმა (აშშ) დაიწყო თხილამურების გამოშვება Winterstik-ის სახელწოდებით. შემდეგ სარბიელზე გამოჩნდა **ჯეიკ ბარტონ კარპენტერი**. იგი სნოუბორდებს ამზადებდა როგორც ხისგან, ისე ფიბერგლასისგან. 1980-იანი წლების დასაწყისში სნოუბორდი ფართოდ გავრცელდა ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებსა და ევროპაში, შემდგომ კი ზამთრის სპორტის პოპულარულ სახეობადაც იქცა. 1982 წელს ვერმონტის შტატში (აშშ) გაიმართა პირველი საერთაშორისო ტურნირი. 1985 წელს გამოვიდა სნოუბორდისტების პირველი ჟურნალი, რომელსაც თავიდან ეწოდებოდა „Absolute Radacal", შემდეგ კი დაერქვა „Snow Boardimg Magazine". 1995 წელს თხილამურობის საერთაშორისო ფედერაციაში შეიქმნა სნოუბორდის ტექნიკური კომიტეტი. სნოუბორდის ოლიმპიური დებიუტი 1998 წელს შედგა ნაგანოში. პროგრამაში იყო გიგანტური სლალომი და ჰაფ-პაიფი. კაცებში გაიმარჯვეს შვეიცარიელმა **ჟან სიმენმა** და კანადელმა **როს რებალატიმ**, ქალებში — გერმანელმა **ნიკოლა ტოსტმა** და ფრანგმა **კარინ რუბიმ**. სოლტ-ლეიკ-სიტიში სლალომი პარალელური გიგანტური სლალომით შეიცვალა.

საქართველოში სნოუბორდის დანერგვის შესახებ მომავალ ხუთშაბათს მოგითხრობთ "ქართული ქრონიკების" გამოშვებაში.



## პირველი, პირველმა, პირველად

**პირველი** ომის შემდგომი ოლიმპიური თამაშები ჩატარდა 1948 წელს სანქტ-მორიცში (ზამთრის) და ლონდონში (ზაფხულის).

**პირველმა** ოლიმპიური ორდენი, რომელიც დაარსდა 1974 წელს, მიიღო **ეივერი ბრენდეჯმა,** რომელიც საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს 1952-1972 წლებში ედგა სათავეში.

**პირველად** ლონდონის მარათონი (42 კმ. 195 მ.) ჩატარდა 1981 წელს და მას შემდეგ იმართება ყოველწლიურად აპრილში ბრიტანეთის დედაქალაქში.



1972 წელი. მიუნხენი (გერმანია). XX ოლიმპიური თამაშების აფიშა და მედალი

## ვინ რა თქვა

„ფეხბურთი არ ეკუთვნის ერთ ან რამდენიმე დიდ კლუბს, ის ყველასია. ჩემი კანდიდატურის წამოყენებისკენ ფეხბურთის სიყვარული მიბიძგებს, სხვა არაფერი მაინტერესებს, არც ფული მჭირდება და არც პოპულარობა. ვიმეორებ: მიყვარს ფეხბურთი, ჩემთვის ის მსოფლიოში ყველაზე ლამაზი თამაშია და მძიმედ განვიცდი, როცა ვხედავ, რომ პატარა ბიჭები არ თამაშობენ ფეხბურთს და არ დადიან სტადიონზე. ფეხბურთი დღესასწაული უნდა იყოს, მან უნდა დაიბრუნოს დაკარგული ღირებულებები. ჩემთვის ნამდვილი „ფეარ ფლეი" არის წაგება მომლიმარი სახით, მას შემდეგ, რაც გამარჯვებისთვის ყველაფერი გააკეთე. ნაცვლად ამისა, დღეს თამაშის წაგება ტრაგედიაა, იმიტომ რომ ამაზრზენი სისტემა გვაქვს, ყველაფერი ბიზნესად იქცა".

**მიშელ პლატინი**

## შეკითხვა ლელოს

**გთხოვთ მიპასუხოთ, რამდენ გრამ ოქროს შეიცავს ოლიმპიური ჩემპიონის მედალი?**

**ნიკა აბაშაშვილი**
თბილისი

**პასუხი:** ოლიმპიური მედლები მზადდება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ მოწონებული ნიმუშის მიხედვით. 1896 წლის პირველ თამაშებში გამარჯვებულს გადასცემდნენ ვერცხლის მედალს, მეორე პრიზიორს — ბრინჯაოსას. 1900 წელს პარიზის ოლიმპიადაზე მედლები საერთოდ არ გადაუციათ. I-III ადგილებისთვის განკუთვნილი მედლები მზადდება 925-1000 სინჯის ვერცხლისგან. ჩემპიონის მედალი კი ამავე დროს, 6 გრამ ოქროს შეიცავს.

## თარიღი. 29 იანვარი-4 თებერვალი

**29.01.1956 წ.** დაიბადა **სერგეი ბოროვსკი** — ფეხბურთი (ბელარუსი).

**29.01.1835 წ.** დაიბადა **დემეტრიოს ვიკელასი** — სოკ-ის პირველი პრეზიდენტი.

**30.01.1921 წ.** ინგლისში აკრძალეს ქალთა ფეხბურთი(როგორც შემდგომ გამოირკვა — დროებით).

**30.01.1937.** დაიბადა **ბორის სპასკი** — ჭადრაკი

**31.01.1966 წ.** დაიბადა **ლუის ანტონიო მიულერი** — ფეხბურთი (იტალია).

**01.02.1915 წ.** დაიბადა **სტენლი მეტიუზი** (ინგლისი).

**02.02.1899 წ.** შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „ვერდერი" (გერმანია)

**04.02.1973.** დაიბადა მოკრივე **ოსკარ დელა ჰოია** (მექსიკური წარმოშობის ამერიკელი).

**04.02.1926 წ.** დაიბადა **დიულა გროშიჩი** — ფეხბურთი (უნგრეთი).

**04.02.1943 წ.** დაიბადა **გიორგი ასპარუხოვი** — ფეხბურთი (ბულგარეთი).

## ვიქტორინა. თქვენთვის, ერუდიტებო

**1. ტარდება თუ არა თანამედროვე ხუთჭიდში ოლიმპიური ტურნირი?**
ა – ტარდება
ბ – არ ტარდება
გ – ტარდებოდა და აღარ ტარდება

**2. რომელ გუნდში დაიწყო ფეხბურთის თამაში იოჰან კრუიფმა?**
ა – „ბარსელონაში"
ბ – „ლევანტეში"
გ – „აიაქსში".

**3. სად ინახება ძვ. წ. II-I საუკუნეების ბრინჯაოს ეს ქანდაკება?**



ა – ოლიმპიაში, ოლიმპიურ მუზეუმში
ბ – მიუნხენში ანტიკურ მუზეუმში
გ – საქართველოში სპორტული დიდების მუზეუმში.

**4. სად ჩაისახა თხილამურებით რბოლა როგორც სპორტის სახეობა?**
ა – კანადაში
ბ – ავსტრიაში
გ – სკანდინავიის ქვეყნებში

**5. კუბერტენის ანდერძის მიხედვით მისი გული დაკრძალულია...**
ა – საფრანგეთში...
ბ – ოლიმპიაში
გ – ათენში

პასუხები მომდევნო ნომერში

## ღვთისავარ ანთაძის კუთხე

### ფეხბურთი ახლო ხედით

# 11-მეტრიანი დარტყმა

11-მეტრიანი დარტყმის აქცია გრძელდება იმ მომენტამდე, როდესაც მთავარი მსაჯი მიიღებს გადაწყვეტილებას — გავიდა თუ არა ბურთი კარში: ა) პირდაპირ 11-მეტრიანის დარტყმისთანავე; ბ) მას შემდეგ, როგორც კი ბურთი კარის ძელიდან (ბოძიდან) უკან დაბრუნდა; გ) მას შემდეგ, როგორც კი მეკარე შეეხება. 11-მეტრიან დარტყმას მსაჯი ნიშნავს ზუსტად განსაზღვრული აკრძალული წესების დარღვევის გამო, თუკი ეს მოხდა საკუთარი საჯარიმოს ფარგლებში. არბიტრს ამ დროს შეუძლია მოთამაშეთა მიმართ სხვა დამსჯელი ღონისძიებები გამოიყენოს (მაგ: გაფრთხილება, გაძევება). მოთამაშე, რომელიც 11-მეტრიან დარტყმას ასრულებს, ბურთს კვლავ შეიძლება შეეხოს მას შემდეგ, როგორც კი ბურთი თამაშში შევა და სხვა ფეხბურთელი გაათამაშებს.

მსაჯი თერთმეტმეტრიანის დროს უნდა იდგეს ისეთ ადგილას, საიდანაც კარგად დაინახავს დარტყმის შემსრულებელს და მეკარეს, ამასთანავე, მეთვალყურეობას გაუწევს საჯარიმო მოედანზე ახლო მყოფ დანარჩენ მოთამაშეთა მოქმედებას. მან დარტყმის ნიშანი უნდა მისცეს მაშინ, როდესაც მოთამაშეები წესის გათვალისწინებით დგანან და ბურთი ნიშნის ცენტრში დევს.

ორივე გუნდის მოთამაშეები 11-მეტრიანი დარტყმის დროს (გარდა მეკარისა და იმისა, ვინც 11-მეტრიანს ურტყამს), უნდა იმყოფებოდნენ საჯარიმოს მიღმა. ამასთანავე, მათ მსაჯის უნებართვოდ არ შეუძლიათ მოედნის ფარგლების დატოვება. მცველი გუნდის მეკარემ 11-მეტრიანი დარტყმის დროს ადგილი უნდა დაიკავოს თავის კარის ხაზზე ორ ბოძს შუა და ნაბიჯი არ უნდა გადადგას, ვიდრე დარტყმა არ შესრულდება. დარღვევების შემთხვევაში, მსაჯს უფლება აქვს, დარტყმა გაამეორებინოს.

დროის ამოწურვის შეთხვევაში მსაჯი ვალდებულია, დაარტყმევინოს 11-მეტრიანი. ასევე, თუკი ამ დროს ერთი დარტყმისას დაფიქსირდა მორიგი დარღვევა, რაც საფუძველს ქმნის 11-მეტრიანის თავიდან დანიშვნისა, მსაჯი ვალდებულია თამაში შეაჩეროს და თავიდან დანიშნოს 11-მეტრიანი დარტყმა.

# კროსვორდი



პასუხები მომდევნო ნომერში

შეადგინა ლალი ჭიჭინაძემ

**თარაზულად:** 1. 2010 წლის მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელი; 5. "პარმას" არგენტინელი თავდამსხმელი; 10. ესპანელი ფეხბურთელი, მეკარე; 11. შაში თამაშში ქვა, რომელსაც აცლიან მოწინააღმდეგეს, შეცდომის გამო; 12. რუსთავის "ოლიმპის" თავდამსხმელი; 14. "ბარსელონას" თავდამსხმელი ... ვილია; 15. ბერძნულ-რომაული სტილით ქართველი ვეტერანი მოჭიდავე შოთა...; 17. სეულის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი ქართველი ძიუდოისტი. 18. "სელტიკის" მცველი; 22. "არარატისა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების თავდამსხმელი; 25. საქართველოს ჩემპიონი ცხენოსნობაში, როინ...; 26. არგენტინის საფეხბურთო ნაკრებისა და "ესტუდიანტესის" ნახევარმცველი; 27. "ჩელსის" კაპიტანი ... ტერი; 29. "იუვენტუსის" ყოფილი მცველი; 31. ჩოგბურთში: ძლიერი და დაბალი დარტყმა; 32. ტიჯანი ბაბანგიდას მშობლიური ქვეყანა; 33. ინგლისის საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი 2000-2006 წლებში;

**შვეულად:** 2. რუმინული ეროვნული სპორტის სახეობა; 3. "სელტიკისა" და "ბარსელონას" ყოფილი შვედი თავდამსხმელი; 4. დანიის საფეხბურთო კლუბი; 6. ყველაზე ტიტულოვანი ქართველი სპორტსმენი ქალი; 7. ნბა-ს გუნდი "... მეჯიქი"; 8. სპორტული ნიჩბოსნობის სახეობა; 9. მსოფლიოს ჩემპიონი ფეხბურთში; 13. ქალაქი, რომლის საფეხბურთო გუნდია "ჰარტ ოფ მიდლოტიანი"; 16. საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ნაკრებისა და მოსკოვის ცსკა-ს ყოფილი თავდამსხმელი; 19. ცნობილი ფრანგი ჩოგბურთელი და პოპ-მომღერალი; 20. ქართული საკალათბურთო სკოლის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი; 21. ბეისბოლის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მოთამაშე; 23. ქუთაისის "ტორპედოსა" და ლანჩხუთის "გურიას" ყოფილი თავდამსხმელი; 24. ამერიკელი პროფესიონალი ჩოგბურთელი მამაკაცი; 28. "ფიორენტინას" სენეგალელი თავდამსხმელი; 30. ინგლისელი ფანების საყვარელი ლუდი.

## თავსატეხი „ანთა". მეთვრამეტე ამოცანა

„ანთა" ინტელექტუალურ-გასართობი თავსატეხია საფეხბურთო ცხრილის შესახებ, თუმცა მის ამოსახსნელად სპორტის ამ სახეობის განსაკუთრებული ცოდნა საჭირო არ არის. თავსატეხის არსი კი შემდგომში მდგომარეობს: ჩვენ შემოგთავაზებთ პირობით ქვეჯგუფს ოთხი გუნდის შემადგენლობით, თუმცა, ყველა გრაფა, გარდა ბურთების ბალანსის, ქულისა და დაკავებული ადგილისა, იქნება ცარიელი. თქვენ უნდა დააკვირდეთ თითოეულ მონაცემს და ლოგიკურად შეავსოთ ცარიელი ისე, რომ არ დაირღვეს არსებული მონაცემები. დაადგინეთ ურთიერთშეხვედრების ანგარიშები და ასევე ის, რამდენი მოგება, ფრე და წაგება აქვთ პირობითად A, B, C და D გუნდებს.

*შენიშვნა: თ-თამაში; მ-მოგება, ფ-ფრე; წ-წაგება; ბ-ბურთების ბალანსი; ქ-ქულა; ა-ადგილი.*

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | | | | | | | | | 5-1 | 9 | I |
| B | | | | | | | | | 4-1 | 4 | II |
| C | | | | | | | | | 1-2 | 4 | III |
| D | | | | | | | | | 1-7 | 0 | IV |

### წინა ამოცანის პასუხი

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | | 1:0 | 3:1 | 2:1 | 3 | 3 | 0 | 0 | 6-2 | 9 | I |
| B | 0:1 | | 0:0 | 4:0 | 3 | 1 | 1 | 1 | 4-1 | 4 | II |
| C | 1:3 | 0:0 | | 1:1 | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 | III |
| D | 1:2 | 0:4 | 1:1 | | 3 | 0 | 1 | 2 | 2-7 | 1 | IV |

გვერდი მომზადებულია **თენგიზ თომაშვილის პროექტით**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ხინჩაგიშვილის ლელომაც ვერ უშველათ



ბურთით დავით ხინჩაგიშვილი

**I დივიზიონი**

**XVII ტური**

კლერმონი-მეტრო რასინგი 31:15, ბიარიცი-პერპინიანი 23:21, ბრივი-ბაიონი 18:26, ტულონი-ლა როშელი 12:9, კასტრი-სტად ფრანსე 34:12, ტულუზი-მონპელიე 29:9, აჟენი-ბურგუენი 26:9.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულუზი - 56 ქულა, 2. კლერმონი - 49, 3. მეტრო რასინგი - 49, 4. ბიარიცი - 48, 5. მონპელიე - 47, 6. კასტრი - 46, 7. ტულონი - 45, 8. ბაიონი - 44, 9. სტად ფრანსე - 40, 10. პერპინიანი - 36, 11. აჟენი - 28, 12. ლა როშელი - 27, 13. ბრივი - 26, 14. ბურგუენი - 5.

**XVIII ტური**

ლა როშელი-ტულუზი, ტულონი-ბრივი, პერპინიანი-აჟენი, მეტრო რასინგი-კასტრი, ბაიონი-ბურგუენი, მონპელიე-კლერმონი, სტად ფრანსე-ბიარიცი.

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტური, პირველი დივიზიონის მე-17 ტურის შემდეგ ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან შარშანდელი ჩემპიონი **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი" დაწინაურდა. პლეი ოფში მოხვედრისთვის ბრძოლას კი ისევ ოთხი „ქართული გუნდი" განაგრძობს.

ტური ლიდერების, „კლერმონისა" და პარიზული „მეტრო რასინგის" დაპირისპირებით გაიხსნა. „ვულკანებს" ტრავმის მოშუშების შემდეგ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაუბრუნდა. ჩემპიონებმა, როგორც ჩანს, საკუთარ თამაშს მიაგნეს და ტიტულის დათმობას არ აპირებენ.

კლერმონელთა უპირატესობა საგრძნობი იყო, რაც სამ ლელოში აისახა. პარიზელებს მოგების იმედი მხოლოდ მეორე ტაიმის დასაწყისში მიეცათ, როცა ანგარიშში დაწინაურდნენ 12:11. საბოლოოდ, მასპინძლებმა მაინც იძალეს და 31:15 გაიმარჯვეს.

ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 68-ე წუთზე შეცვალეს. „კლერმონი" ახლა 49 ქულით სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა.

საგრძნობლად დათმო პოზიციები **მამუკა გორგოძის, გიორგი ჩხაიძის, გიორგი ჟღენტის** და **გოდერძი შველიძის** „მონპელიემ". ჩვენებურთა გუნდმა მე-17 ტურში სტუმრად წააგო გათამაშების ლიდერ „ტულუზთან" - 9:29. მონპელიელები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში პირველ-მეორე ადგილებზე იმყოფებოდნენ, ამჟამად მეხუთე საფეხურზე დაქვეითდნენ.

„ტულუზთან" მატჩში მხოლოდ ჟღენტმა ითამაშა. ის ძირითად შემადგენლობაში იყო და 63-ე წუთზე შეცვალეს. გორგოძემ ვარჯიშისას წელი იტკინა და არ უთამაშია, შველიძე და ჩხაიძე განაცხადში არ იყვნენ.

**დავით ქუბრიაშვილის** „ტულონს" ინგლისელი მგეზავის, **ჯონი ვილკინსონის** არყოფნაში ძალიან გაუჭირდა ერთ-ერთი აუტსაიდერის „ლა როშელის" დამარცხება - 12:9. ტულონელები 67-ე წუთამდე 5:9 აგებდნენ და გამარჯვებას სამოელი შუამარბის, **ფოტო აუელას** ლელოს წყალობით მიაღწიეს.

ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და ახალზელანდიელმა **კარლ ჰეიმენმა** 63-ე წუთზე შეცვალა. „ტულონს" 45 ქულა დაუგროვდა მე-7 ადგილზეა.

ერთი ქულით მეტი აქვს და მე-6 ადგილზეა **ანტონ ფეიქრიშვილისა** და **აქსენტი გიორგაძის** „კასტრი". ჩვენებურთა გუნდმა შინ დაამარცხა პარიზული „სტად ფრანსე" - 34:12. მასპინძელთა რიგებში გამორჩეული იყო ფულბეკი **რომენ ტულე**, რომელმაც გუნდს 24 ქულა მოუტანა (ერთი ლელო, ორი გარდასახვა და ხუთი საჯარიმო).

ფეიქრიშვილი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 53-ე წუთიდან ჩაერთო, გიორგაძეს არ უთამაშია.

**ბექა შეყლაშვილის** „აჟენმა", რომელიც დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის, შინ დაამარცხა აუტსაიდერი „ბურგუენი" - 26:9. ამ გამარჯვების შემდეგ აჟენელებმა 28 ქულა დააგროვეს და სატურნირო ცხრილში მე-11 ადგილზე არიან. შეყლაშვილმა სრულად ითამაშა.

სამწუხაროდ, შინ 18:26 დამარცხდა ბასკურ „ბაიონთან" **დავით ხინჩაგიშვილისა** და **ვასილ კაკოვინის** „ბრივი", რომელიც „აჟენის" მსგავსად ელიტურ, პირველ დივიზიონში დარჩენისთვის იბრძვის.

მატჩის პირველი ტაიმი საკმაოდ დაძაბული გამოდგა და ფრედ 6:6 დამთავრდა. შესვენების შემდეგ სტუმრებმა თამაშის ტემპს უმატეს და ანგარიშში საგრძნობლად დაწინაურდნენ. 57-ე წუთზე ხინჩაგიშვილმა „ბაიონს" ლელო გაუტანა და სხვაობა ოდნავ შეამცირა, თუმცა ეს მატჩის გადასარჩენად საკმარისი არ გამოდგა. მის ნაცვლად ორი წუთის შემდეგ თამაშში კაკოვინი ჩაერთო.

„ბრივს" ახლა 26 ქულა აქვს და ბოლოსწინა, მე-13 ადგილზეა.

ესპუართა გათამაშების A ჯგუფში, სატურნირო ცხრილის პირველი ორი საფეხური ქართველ მორაგბეთა გუნდებს, „ტულონსა" და „კლერმონს" უკავიათ. მე-11 ტურში ერთმანეთს სწორედ ეს გუნდები დაუპირისპირდნენ. **ვიქტორ კოლელიშვილისა** და **გიორგი ჯიმშელაძის** „კლერმონმა" შინ **ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონს" მოუგო 34:10. ერთი ლელო მეტოქეს კოლელიშვილამ გაუტანა, რომელმაც ვარცხნილობა შეიცვალა და მეტოქეს თავზარს უფრო მეტად სცემს.

„კლერმონმა" 32 ქულა დააგროვა და მეორე ადგილზეა, „ტულონი" მას ექვსი ქულით უსწრებს.

**გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლი", რომელიც 23 ქულით მე-7 ადგილზეა, სტუმრად დამარცხდა „ბაიონთან" 22:38.

**ესპუარები**

**XI ტური**

პო-აჟენი 31:6, ბაიონი-გრენობლი 38:22, კლერმონი-ტულონი 34:10, პერპინიანი-ბურგუენი 22:7, მონპელიე-ტულუზი 12:29.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულონი -38 ქულა, 2. კლერმონი - 32, 3. პერპინიანი - 26, 4. აჟენი - 24, 5. პო - 24, 6. ტულუზი - 23, 7. გრენობლი - 23, 8. ბაიონი - 23, 9. ბურგუენი - 21, 10. მონპელიე - 20.

**XII ტური**

მონ დე მარსანი-კასტრი, ლიონი-ნარბონი, ლა როშელი-ბორდო, ტარბი-ბიარიცი, ბრივი-სტად ფრანსე.



უტევს ვიქტორ კოლელიშვილი

29 იანვარი მსოფლიო რაგბის ისტორიაში



მარცხნივ ანდრე ბონიფასი

## 1882 წელი

უელსის ნაკრებმა პირველი საერთაშორისო მატჩი მოიგო სტუმრად, დუბლინში ირლანდიის ეროვნულ გუნდთან. უელსელებმა თავიანთ პირველ ტესტ-მატჩში ერთი წლით ადრე მარცხი განიცადეს ბლეკჰიტში ინგლისის ნაკრებთან.

„სამყურებთან" შეხვედრა ძალზე ცუდ ამინდში შედგა, თუმცა უელსელებმა ოთხი ლელოს გატანა მოახერხეს. თითო ლელო მიითვალეს **ტომას ბეიკერ-ჯოუნზმა, ტომ კლეპმა, ჯეიმზ ბრეიდმა** და **ბილ ევანსმა.**

## 1911 წელი

ინგლისის ნაკრებმა „თვიქნემზე" საფრანგეთის ეროვნულ გუნდს მოუგო 37:0. მატჩის გმირი „პომების" გარემარბი **დანიელ ლამბერტი** გახდა, რომელმაც ორი ლელო, ხუთი გარდასახვა და ორი საჯარიმო გაიტანა (22 ქულა). ამ შეხვედრის ამსახველი კადრები „თვიქნემის" რაგბის მუზეუმში ინახება.

## 1950 წელი

ირლანდიის ნაკრებმა სტუმრად პარიზში ფრეს მიაღწია საფრანგეთის ნაკრებთან მატჩში - 3:3. „სამყურები" მარცხისგან ცხრა ნომერმა **ჯონ ბარჯესმა** იხსნა. მან ბოლო წუთზე საჯარიმო გაიტანა.

## 1956 წელი

**ჯიმი რიჩის** დებიუტი ჰქონდა ირლანდიის ნაკრების შემადგენლობაში. „სამყურებმა" იმ დღეს პარიზში 8:14 წააგეს. ფრანგთა გუნდიდან თითო ლელო **ანდრე ბონიფასმა** და **რობერტ ბოლონიმ** მიითვალეს.

## 2001 წელი

ინგლისურმა „ლესტერ ტაიგერზმა" „ჰაინეკენის თასი" მოიპოვა. გზად კი მეოთხედფინალში უელსური „სუონსი" ჩამოიცილა. ინგლისელებმა მეტოქე 41:10 გაანადგურეს.

## 2009 წელი

„ლესტერ ტაიგერზის" მთავარი მწვრთნელი **ჰეინეკე მეიერი** თანამდებობიდან გადადგა, მას შემდეგ, რაც ოჯახური პრობლემების გამო სამხრეთ აფრიკაში დარჩენამ დიდი ხნით მოუწია. ის სამშობლოში 2008 წლის დეკემბერში დაბრუნდა, რადგან მისი ოჯახის ერთ-ერთი წევრი მძიმედ იყო ავად.

„მეიერის გადადგომა დიდი წუხილით მივიღეთ, რადგან მან გუნდთან ერთად შესანიშნავი შედეგები აჩვენა. მის მიმართ ყველა კეთილგანწყობით ვიყავით, თუმცა ის „ლესტერის" მთავარი მწვრთნელი ველარ იქნება", - თქვა გუნდის მმართველი საბჭოს თავმჯდომარე **პიტერ ტომმა.**

დანაშაული და სასჯელი?

# რელეპელე და ბესონი დაინდეს

სამხრეთ აფრიკის ნაკრების მოთამაშეები **ჩილიბოი რელეპელე** და **ბიორნ ბესონი** ნოემბრის ტესტებისას, ირლანდიის ნაკრებთან 23:21 მოგებული მატჩის შემდეგ დოპინგკონტროლზე ჩავარდნენ. მათ სისხლში აკრძალული პრეპარატის მეთილექსანეამინის კვალი აღმოუჩინეს.

ორივე მოთამაშე სამშობლოში დააბრუნეს და რაგბის დროებით ჩამოაშორეს. ახლახან სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა ორივე მორაგბის საქმე დეტალურად განიხილა და გადაწყვიტა, რომ რელეპელე და ბესონი უდანაშაულონი არიან.

„ჩვენ კანონსაწინააღმდეგო არაფერი გაგვიკეთებია. მეთილექსანეამინი ექიმის მითითებით მივიღეთ. ის საკვების დანამატია. ჩვენ გავაკეთეთ ის, რასაც მთელ მსოფლიოში პროფესიონალი მორაგბეების უმეტესობა აკეთებს," - თქვა თავის მართლებისას ჩილიბოი რელეპელემ.

ერთი სიტყვით, სამხრეთაფრიკელი მორაგბეები სასჯელს გადაურჩნენ და თამაშს უახლოეს შეხვედრაში შეძლებენ.

ლეგიონი

# რემი მარტინი მონპელიეში

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე **მამუკა გორგოძის, გიორგი ჩხაიძის, გიორგი ჟღენტისა** და **გოდერძი შველიძის** „მონპელიე" ძლიერდება. მწვრთნელების, **ფაბიენ გალტიესა** და **ერიკ ბეშუს** არჩევანი საფრანგეთის ნაკრებისა და „ბაიონის" მესამეხაზელ **რემი მარტინზე** შეჩერდა. ის „მონპელიესთან" უახლოეს დღეებში ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

უცხოური სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# მაიოს დოპინგი უპოვეს



ო ჯეი მაიო

NBA-ის ხელმძღვანელობამ 10-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა „მემფის გრიზლისის" წამყვანი მცველი **ო ჯეი მაიო**. მიზეზი ანტისადოპინგო პროგრამის დარღვევა გახლავთ. როგორც ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი წერს, მაიოს ბოლო დოპინგსინჯმა დადებითი შედეგი აჩვენა აკრძალულ პრეპარატ დეჰიდროეპიანდროსტერონზე. ეს პრეპარატი ანაბოლური სტეროიდების კატეგორიას მიეკუთვნება.

მაიოს დისკვალიფიკაციის ათვლა „ფილადელფიასთან" დღევანდელი მატჩით დაიწყება.

კალათბურთელი უკვე გამოეხმაურა ლიგის ამ გადაწყვეტილებას. ო ჯეის თქმით, პრეპარატი საკვებში იყო დამატებული, თავად კი არ იცოდა, რომ ის აკრძალული ნივთიერებების სიაში შედიოდა.

*„ეს შეცდომა იყო, მაგრამ მზად ვარ, საკუთარი საქციელის გამო პასუხი ვაგო. მინდა ბოდიში მოვუხადო გულშემატკივრებს, პარტნიორებსა და კლუბს იმისთვის, რომ ყურადღებით არ შევისწავლე ამ პრეპარატის შემადგენლობა, რომელსაც დიდი ხანი ვიყენებდი"*, - ამბობს მაიო ოფიციალურ წერილში.

## ევროლიგა. TOP 16. II ტური

### E ჯგუფი

**კ. ლაბორალი–ლ. რიტასი 86:89**

17:26, 23:11, 16:18, 30:34

**კ-ლ:** ტელეტოვიჩი (20), ბარაცი (15+5 მოხსნა+3 დაფარება), უერტასი (15+10 პასი+5 მოხსნა), ბატისტა (10+7 მოხსნა), ოლესონი (10), სან ემეტერიო (9+8 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**ლ-რ:** ელ-ამინი (22+3 ჩაჭრა), ბაირამოივიჩი (19+5 მოხსნა), ბიელიცა (17), სტრობერი (12), ვალანჩიუნასი (8+7 მოხსნა).

**პანათინაიკოსი–უნიკახა 82:56**

26:13, 19:12, 23:14, 14:17

**პ:** ცარცარისი (14+8 მოხსნა), ბატისტი (12+5 მოხსნა), პერპეროგლუ (10), სატო (9+6 მოხსნა).

**უ:** ფრილენდი (11), ბლეკნი (10+3 ჩაჭრა).

| | მ | ნ | ქ |
|---|---|---|---|
| 1. პანათინაიკოსი | 2 | 0 | 162-115 |
| 2. კ. ლაბორალი | 1 | 1 | 162-160 |
| 3. ლ. რიტასი | 1 | 1 | 148-166 |
| 4. უნიკახა | 0 | 2 | 127-158 |

### F ჯგუფი

**მაკაბი–ვირტუსი 99:58**

30:18, 27:13, 18:13, 24:14

**მ:** შორცანიდისი (19), ელიაჰუ (18), პარგო (16+5 პასი), პერკინსი (9+7 მოხსნა+9 პასი+3 ჩაჭრა), ეიდსონი (8+7 მოხსნა).

**ვ:** დაშიჩი (13+7 მოხსნა), ჯედოვიჩი (10+5 მოხსნა), ტრაორე (10).

**ოლიმპია–ბარსელონა 67:68**

11:19, 15:17, 28:16, 13:16

**ო:** შერმადინი (14+6 მოხსნა), გრეგორი (14+9 მოხსნა), იაგოდნიკი (12), მარკოტა (10), ილიევსი (8+6 პასი).

**ბ:** ნავარო (27), ლორბეკი (12+7 მოხსნა), გრიმაუ (11).

| | მ | ნ | ქ |
|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 2 | 0 | 149-138 |
| 2. მაკაბი | 1 | 1 | 170-139 |
| 3. ოლიმპია | 1 | 1 | 131-131 |
| 4. რომა | 0 | 2 | 121-163 |

### G ჯგუფი

**მონტეპასკი–რეალი 68:78**

20:13, 20:15, 22:24, 6:26

**მ:** მოსი (16), ცისისი (14+3 ჩაჭრა), კაუკენასი (8+4 პასი).

**რ:** მიროტიჩი (16), ტაკერი (15), სუარესი (15+5 მოხსნა), რეიესი (11+11 მოხსნა+3 დაფარება), ლოული (10).

**პარტიზანი–ეფესი 76:79**

21:19, 13:21, 18:19, 24:20

**პ:** გისტი (19+6 მოხსნა), ჯერელსი (15+7 პასი), ჯავაი (10+6 მოხსნა), კეჩმანი (9+6 მოხსნა).

**ე:** რაკოჩევიჩი (23), გიონლუმი (14), თუნჩერი (13), რობერტსი (9+5 მოხსნა+3 ჩაჭრა).

| | მ | ნ | ქ |
|---|---|---|---|
| 1. რეალი | 2 | 0 | 156-126 |
| 2. ეფესი | 2 | 0 | 139-134 |
| 3. მონტეპასკი | 0 | 2 | 126-138 |
| 4. პარტიზანი | 0 | 2 | 134-157 |

### H ჯგუფი

**ჟალგირისი–ოლიმპიაკოსი 64:71**

16:23, 6:17, 21:16, 21:15

**ჟ:** პოჩიუსი (19+6 მოხსნა+4 პასი), მარიანოვიჩი (12+7 მოხსნა).

**ო:** სპანულისი (17+4 პასი), ტეოდოშიჩი (13), ბურუსისი (11), ნესტეროვიჩი (9+8 მოხსნა).

**ფენერბაჩე–ვალენსია 75:73**

21:20, 16:13, 17:19, 21:21

**ფ:** ონანი (22+3 ჩაჭრა), ტომასი (15), თურქჩანი (14+7 მოხსნა), პრელჯიჩი (10+3 დაფარება).

**ვ:** მარტინესი (14), სავანოვიჩი (11+7 მოხსნა), კლავერი (10), იავტოკასი (9+7 მოხსნა).

| | მ | ნ | ქ |
|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჰჩე | 2 | 0 | 159-143 |
| 2. ვალენსია | 1 | 1 | 146-134 |
| 3. ოლიმპიაკოსი | 1 | 1 | 141-148 |
| 4. ჟალგირისი | 0 | 2 | 123-144 |

### ტურის მოთამაშე

ევროლიგამ მეორე ჯგუფური ეტაპის მეორე ტურის საუკეთესო მოთამაშედ ორი კალათბურთელი დაასახელა: „ლეტუვოს რიტასისა" და „კახა ლაბორალის" გამთამაშებლები - **ჰალიდ ელამინი** და **მარსელინიო უერტასი**.

მათ მეორე ტურში ერთმანეთის წინააღმდეგ ითამაშეს. ელ-ამინმა 26 წუთში 22 ქულა, 1 მოხსნა, 2 შედეგიანი პასი, 3 ჩაჭრა და 1 დაფარება დააგროვა. გარდა ამისა, მეტოქე კალათბურთელები მასზე 5-ჯერ დაჯარიმდნენ. ამ ყველაფერმა ლიტველთა ლეგიონერს 29 სარეიტინგო ქულა მოუტანა.

ამდენივე ქულაა უერტასის ანგარიშზე, რომელმაც 34 წუთში 17 ქულა, 5 მოხსნა, 11 შედეგიანი პასი და მეტოქეთა 5 პერსონალური დააგროვა.

პირველი ტურის საუკეთესო კალათბურთელებში აგრეთვე მოხვდნენ: **იგორ რაკოჩევიჩი** („ეფესი"), **სოფოკლის შორცანიდისი** („მაკაბი"), **ფერნანდო სან ემეტერიო** („კახა ლაბორალი").

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# მუქი სათვალე კარგია, მაგრამ...

„მაიამი ჰიტს" თავისი „დიდი ტრიოს" მინიმუმ ერთი წევრის გარეშე უწევს ბოლო მატჩების ჩატარება. ამჯერად „ნიუ იორკთან" გასვლით შეხვედრაში ფლორიდელებს **კრის ბოში** აკლდათ, თუმცა არც მეორე ვარსკვლავი - **დუეინ უეიდი** იყო წესრიგში. ბოლო დროს მას თავის ტკივილი დასჩემდა. ამ მიზეზით კალათბურთელს ზედმეტი შუქი დისკომფორტს უქმნის, ამიტომაც უეიდს სპეციალური მუქი სათვალე დაუმზადეს. თავიდან NBA-მ აუკრძალა დუენის ამ სათვალით თამაში, რადგან მიიჩნია, რომ მუქი შუშა მაიამელს უპირატესობას მისცემდა - მეტოქეები მას თვალებში ვერ ჩახედავდნენ. საბოლოოდ, „ჰიტმა" თავისი გაიტანა და „ფლეში" მოედანზე სათვალით გავიდა.

როგორც ჩანს, უეიდმა გარკვეული უპირატესობა მართლაც მიიღო. პირველი სამი მეოთხედის განმავლობაში ის მთავარი ვარსკვლავი იყო. „მაიამის" შემტევმა მცველმა 36 წუთში 15-დან 14 სროლა გამოიყენა (ამასთან, ზედიზედ 13 ჩააგდო) და 33 ქულა დააგროვა. სწორედ მესამე მეოთხედში სცადეს სტუმრებმა გაქცევა - ბოლო პაუზამდე 17 წამით ადრე **ჯეიმს ჯონსის** სამქულიანის შემდეგ „მაიამი" 73:64 დაწინაურდა.

მიუხედავად ამისა, სტუმრებმა ფსიქოლოგიური უპირატესობა მაინც ვერ მოიპოვეს. ბოლო მეოთხედში „ნიქსმა" შესანიშნავად ითამაშა დაცვაში - მეტოქეს 21-დან მხოლოდ 5 ტყორცნა ჩააგდებინა და 15 ქულა დააგროვებინა. მოულოდნელად უეიდმაც უკლო თამაშს, „ნიუ იორკმა" კი 13:3 გაქცევა მოაწყო და 5 წუთითა და 20 წამით ადრე წინ გავიდა - 77:76. ბოლოს დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა, რომლის ბედი **დანილო გალინარისა** და **ლენდრი ფილდსის** ზუსტმა სამქულიანებმა გადაწყვიტეს. ბოლო ექვს მატჩში მეხუთე დამარცხებისგან „მაიამის" გადარჩენა **მარიო ჩალმერსს** შეეძლო, მაგრამ კუთხიდან მისი ნასროლი არ ჩავარდა.

„დალასისა" და „ჰიუსტონის" მატჩის პირველი მეოთხედის შემდეგ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ამ შეხვედრას დაძაბული დასასრული ექნებოდა. პირველი 12 წუთი „კოვბოებმა" 18 ქულის სხვაობით მოიგეს. თუმცა ამაში გასაკვირი არაფერი იყო „ჰიუსტონის" 13 შეცდომისა და 5 აცილების გათვალისწინებით. მაგრამ ტექსასურ დერბის ნერვული ფინალის გარეშე მაინც არ ჩაუვლია. „ჰიუსტონმა" ჯერ გაათანაბრა თამაში, დიდი შესვენების შემდეგ კი ჩამორჩენის გაბათილებას შეუდგა. საბოლოოდ, 384 წამში კატასტროფული „მინუს 22" ორქულიან სხვაობამდე დავიდა.

ამის შემდეგ „დალასის" ჯერი დადგა - ბოლო მეოთხედის დასაწყისში გუნდის 14 ქულიდან 12 **ხოსე ბარეამ** და **შონ მერიონმა** აიღეს და თავიანთ გუნდს ორნიშნა უპირატესობა მოუტანეს - 102:91 (საფინალო სირენამდე 5 წუთითა და 52 წამით ადრე). მაგრამ ამით არ დასრულებულა ყველაფერი. „როკეტსი" პრესინგზე გადავიდა, 320 წამი უქულოდ ათამაშა „მავერიქსი" (თანაც მასპინძლებმა სამჯერ დაკარგეს ბურთი) და კვლავ მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა... და ისევ დათმო ინიციატივა. ბოლო 51 წამში ბარეამ საშუალო მანძილიდან ჩააგდო, **ლუის სკოლამ** ფარქვეშიდან ააცილა, **დირკ ნოვიცკიმ** და **ჯეისონ ტერიმ** კი ექვსი საჯარიმო გამოიყენეს და „ჰიუსტონს" მოგების შანსი მოუსპეს.

„ბოსტონმა" პორტლენდში მოგებით დაიწყო დასავლური ტურნე. არადა, ფავორიტმა ჯამში 21 შეცდომა დაუშვა და მეტოქეზე შვიდით ნაკლები მოხსნა გააკეთა. „სელტიქსი" უნაკლო დაცვამ გადაარჩინა. სტუმრებმა მეტოქეს თამაშიდან ტყორცნების მხოლოდ 36.7 პროცენტი ჩააგდებინეს, გარდა ამისა, „ბლეიზერსმა" ჯარიმების მხოლოდ 25 პროცენტი გამოიყენა. ბოლო მეოთხედის მსვლელობისას სტუმრები 15 ქულით იგებდნენ და შეაჩერეს „პორტლენდის" ზეწოლა, რომელიც ყველანაირად ცდილობდა მატჩის გადარჩენას.

**ნიუ იორკი–მაიამი 93:88**

23:24, 23:24, 18:25, 29:15

**ნ-ი:** სტაუდმაიერი (24+8 მოხსნა), გრეინჯერი (20), ფილდსი (19+13 მოხსნა+6 პასი), უილიამსი (11+6 მოხსნა).

**მ:** უეიდი (34+16 მოხსნა+5 პასი), ჯეიმსი (24+11 მოხსნა+5 პასი), ჯონსი (15+5 მოხსნა).

**დალასი–ჰიუსტონი 111:106**

33:15, 31:32, 24:34, 23:25

**დ:** ჩენდლერი (21+15 მოხსნა), ბარეა (19), ნოვიცკი (18), ტერი (15), კიდი (11+10 პასი), პავლოვიჩი (11), მერიონი (10+6 მოხსნა).

**ჰ:** სკოლა (30+8 მოხსნა), მარტინი (27), ჰეიესი (16+8 მოხსნა), ბატიე (10+7 მოხსნა).

**პორტლენდი–ბოსტონი 78:88**

18:21, 19:20, 21:23, 20:24

**პ:** ოლდრიჯი (17+16 მოხსნა), მილერი (14+7 პასი+5 მოხსნა), მეტიუზი (12+7 მოხსნა), ფერნანდესი (11+5 პასი).

**ბ:** ალენი (18), პირსი (17), პონდო (11+6 მოხსნა+5 პასი), გარნეტი (10+9 მოხსნა+9 პასი), პერკინსი (10+9 მოხსნა).




დუეინ უეიდი

# სასტარტოები ცნობილია

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ „ყველა ვარსკვლავის მატჩისთვის" აღმოსავლეთისა და დასავლეთის ნაკრებთა სასტარტო ხუთეულები დაასახელა. ტრადიციულად, ამ კალათბურთელებს ფანები გამოკითხვის შედეგად ირჩევენ, რომელიც რამდენიმე თვე მიმდინარეობს. წელს „ყველა ვარსკვლავის მატჩი" 20 თებერვალს ლოს ანჯელესში გაიმართება.

გუნდების შემადგენლობები ასე გამოიყურება:

**აღმოსავლეთი**

დერიკ როუზი (მც, „ჩიკაგო")
დუეინ უეიდი (მც, „მაიამი")
ლებრონ ჯეიმსი (ფ, „მაიამი")
ამარე სტაუდმაიერი (ფ, „ნიუ იორკი")
დუაიტ ჰოვარდი (ც, „ორლანდო")

**დასავლეთი**

კრის პოლი (მც, „ნიუ ორლეანი")
კობი ბრაიანტი (მც, „ლეიკერსი")
კევინ დურანტი (ფ, „ოკლაჰომა")
კარმელო ენტონი (ფ, „დენვერი")
იაო მინი (ც, „ჰიუსტონი")

გამოკითხვის ლიდერი გახდა **კობი ბრაიანტი**, რომელმაც ყველაზე მეტი - 2.38 მილიონი ხმა მიიღო. „ლეიკერსის" ლიდერი მეცამეტედ ითამაშებს „ოლ სტარზე", რაც სასტარტო ხუთეულის წევრებს შორის საუკეთესო მაჩვენებელია. აღმოსავლეთში ხმების ყველაზე მეტი რაოდენობა - 2.1 მილიონი **დუაიტ ჰოვარდს** ჰქონდა.

დასავლეთის ცენტრი **იაო მინი** „ყველა ვარსკვლავის მატჩში" ტრავმის გამო ვერ ითამაშებს და მის შემცვლელის პირადად დაასახელებს NBA-ის კომისარი **დევიდ სტერნი**. და კიდევ, თუ **კარმელო ენტონი** „ოლ სტარამდე" გადავა აღმოსავლეთის რომელიმე გუნდში, მაშინ მას აღმოსავლეთის ნაკრებში მოუწევს თამაში.

გუნდების სარეზერვო 7-7 მოთამაშეს მწვრთნელები დაასახელებენ. „ოლ სტარის" სრული შემადგენლობები 3 თებერვალს იქნება ცნობილი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ამბები

## კობიმ ვარჯიშს უკლო

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** ვარჯიშებს მოუკლო. NBA-ის ვარსკვლავი იძულებულია ეს ნაბიჯი ზაფხულში ნაოპერაციებ მუხლზე დატვირთვების შესამცირებლად გადადგას.

კალიფორნიელთა დამრიგებლის **ფილ ჯექსონის** თქმით, ეს ფაქტი არ შეეტყობა მოედანზე ბრაიანტის პროდუქტიულობას. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა კალათბურთელი სავარჯიშო დროს ამცირებს - სეზონის დასაწყისში მან უკვე მიმართა ასეთ პროფილაქტიკურ ნაბიჯს.

## ბარკლი როუზს ირჩევს

NBA-ის ყოფილ ვარსკვლავს **ჩარლზ ბარკლის** მიაჩნია, რომ „ჩიკაგო ბულზის" გამთამაშებელი **დერიკ როუზი** წელს იმსახურებს სეზონის უძვირფასესი მოთამაშის ტიტულის.

*„მიმაჩნია, რომ დერიკმა უკან ჩამოიტოვა დერონ უილიამსი და ლიგის საუკეთესო გამთამაშებელი გახდა, გარდა ამისა, ის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი იქნება MVP-ის ტიტულისთვის ბრძოლაში, - ამბობს ბარკლი. - საერთოდაც, „ჩიკაგოში" შემსრულებელთა შესანიშნავი შემადგენლობა შეიკრიბა ბრწყინვალე ტომ ტიბოდოს ხელმძღვანელობით და იქ მთავარი ვარსკვლავი და ლიდერი როუზი გახლავთ".*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფორმულა 1




სებასტიან ფეტელი

# ფეტელი რედ ბულს მიჯაჭვულია

როგორც ცნობილია, ბოლო დროს ბევრი ლაპარაკია იმაზე, რომ კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდეგ მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **სებასტიან ფეტელი** „რედ ბულს" დატოვებს და „ფერარიში" გააგრძელებს კარიერას. მაგრამ ამასთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაცია გამოაქვეყნა ჟურნალმა Speed Week-მა, რომლის გამომცემელია ავსტრიული კომპანია „რედ ბული". როგორც ირკვევა, გერმანელი პილოტის კონტრაქტში არის პუნქტი, რომელიც ხელს შეუშლის სებას სხვა გუნდში გადასვლაში.

Speed Week-ის ინფორმაციით, თუ სებასტიანი 2011 წელს ჩემპიონატის საერთო ჩათვლაში პირველ სამეულში დაიკავებს ადგილს, კიდევ ერთი წელი მოუწევს „რედ ბულში" დარჩენა. ჟურნალი ირწმუნება, რომ ფეტელის მომავალი კარიერის შესახებ ყველანაირი სპეკულაცია იმით არის გამოწვეული, რომ მისი კონტრაქტის შესახებ არაფერია ცნობილი.

„არსებობს პირობა, რომელიც მის მომავალ შედეგებს უკავშირდება, - დაადასტურა „რედ ბულის" კონსულტანტმა **ჰელმუტ მარკომ**, - ასეთი დონის პილოტის გაშვებას არ ვაპირებთ".

■ ■ ■

გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ „ფორს ინდიამ" 2011 წლის სეზონისთვის ძირითად პილოტებად გერმანელი **ადრიან სუტილი** და ბრიტანელი **პოლ დი რესტა** დაასახელა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უგუნდოდ დარჩა იტალიელი **ვიტანტონიო ლიუცი**, მიუხედავად იმისა, რომ მას ინდურ საჯინიბოსთან მოქმედი კონტრაქტი აკავშირებდა.

ახლა მხარეები კონტრაქტის ნაადრევად გაწყვეტის დეტალებს განიხილავენ - ცხადია, რომ „ფორს ინდიას" სოლიდური კომპენსაციის გადახდა მოუწევს იტალიელისთვის. ამბობენ, რომ ამ ფულით ლიუცი და მისი მენეჯერი **პეტერ კოლინზი** HRT-ში აპირებენ ადგილის „შეძენას". ეს გუნდი ერთადერთია პელოტონში, სადაც მომავალი სეზონისთვის ძირითადი პილოტის ვაკანსია დარჩა.

## კრივი

# ვიტალი ორის მერე წავა

სუპერმძიმე წონაში WBC-ის ჩემპიონმა **ვიტალი კლიჩკომ** განაცხადა, რომ კარიერის დასრულებამდე „სულ რაღაც ორი ბრძოლა დარჩა". უფროსი კლიჩკოს აზრით, ბევრ სპორტსმენს გამოეპარა დიდი სპორტიდან წასვლის მომენტი და შემდეგ პრობლემები შეექმნა. ამიტომაც ვიტალი არ აპირებს მათი შეცდომების გამეორებას. უკრაინელი ჩემპიონი 19 ივლისს 40 წლის გახდება.

კლიჩკომ აღიარა, რომ ახალგაზრდად გრძნობს თავს, მაგრამ ფორმალურად ის შეიძლება „კრივის ბაბუად" მივიჩნიოთ. ვიტალის თქმით, ასეთ ასაკში ყოველ ბრძოლას თან ახლავს რისკი, ამიტომაც მან რეალურად უნდა შეაფასოს თავისი ძალები და კარიერის დასრულებაზე იფიქროს.

19 მარტს უკრაინელი WBC-ის ტიტულს დაიცავს კუბელ **ოდლანიერ სოლისთან** ბრძოლაში. კლიჩკომ მომავალ მეტოქეს ძლიერი მოწინააღმდეგე უწოდა და აღნიშნა, რომ ამ ბრძოლაში იოლი გასეირნება არ ელის. სოლისს პროფესიულ რინგზე 17 ბრძოლა აქვს ჩატარებული და ყველაში გამარჯვებული გამოვიდა.

## ამბები

### ველოსპორტი

# უმჯობესია არ იჩივლოს

ესპანეთის ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა **ხუან კარლოს კასტანიომ** განაცხადა, რომ თუ **ალბერტო კონტადორი** ერთწლიან დისკვალიფიკაციას გაასაჩივრებს, ამ შემთხვევაში, შესაძლოა, უფრო ხანგრძლივი სასჯელი გამოუწეროს თავის თავს.

საერთაშორისო წესების თანახმად, 28 წლის კონტადორს ათი დღე აქვს სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში ფედერაციის გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის, მაგრამ კასტანიოს თქმით, ამით ტურ დე ფრანსის სამგზის ჩემპიონი მხოლოდ გაართულებს სიტუაციას. კონტადორი დღეს გამართავს პრესკონფერენციას, სადაც თავის სამომავლო გეგმებზე ილაპარაკებს.

### ჰოკეი

# ლიგა ზემოთ მიდის

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობის წარმატებულმა მარკეტინგულმა მოღვაწეობამ უკვე მოიტანა შედეგი. როგორც ლიგის ოფიციალური ვებგვერდი წერს, სეზონის პირველი ნახევრის შემდეგ შემოსავლები კიდევ უფრო გაიზარდა. თანაც, ასეთი ტენდენცია უკვე ბოლო ხუთი წელია შეინიშნება.

ვარაუდობენ, რომ მთელი სეზონის განმავლობაში ფინანსური მოგება 2.9 მილიარდ დოლარს მიაღწევს, რაც 14 პროცენტით მეტია 2009-10 წლების სეზონის ანალოგიურ მაჩვენებელზე. სულ კი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ზრდის მაჩვენებლმა 85 პროცენტი შეადგინა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| ოდ გრენლანდი-ჰიონეფოსი | 6:1 |
| რაპიდი-დაჩა | 1:3 |
| გრასჰოპერსი-ვილი | 1:4 |
| ლილესტრიომი-ფრედრიკსტადი | 3:4 |
| იანგ ბოიზი-ვინტერტური | 1:1 |
| ელფსბორგი-ჰელსინგბორგი | 3:1 |
| ნორდსილანდი-სპორტული | 1:0 |
| ტრომსიო-გიოტებორგი | 0:2 |
| მიოლდე-კარპატი | 1:1 პენ. 3:4 |

| აზიის თასი. მე-3 ადგილისთვის | |
|---|---|
| უზბეკეთი-ს. კორეა | 2:3 |

| ინგლისი. ჩემპიონშიპი | |
|---|---|
| მილუოლი-ბარნსლი | 2:0 |
| **I ლიგა** | |
| კოლჩესტერი-პიტერბრო | 2:1 |
| **II ლიგა** | |
| ბერი-შრიუსბერი | 1:0 |
| **კონფერენსი** | |
| გეიტშიდი-უიმბლდონი | 0:2 |

| იტალია. სერია B | |
|---|---|
| ემპოლი-ვარეზე | 1:1 |

| ესპანეთი. II დივიზიონი | |
|---|---|
| ალკორკონი-ალბესეტე | 2:0 |

| გერმანია | |
|---|---|
| ლევერკუზენი-ჰანოვერი | 2:0 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ობერჰაუზენი-ინგოლშტადტი | 1:1 |
| ფორტუნა-ფრანქფურტი | 6:0 |
| აუე-ოსნაბრიუკი | 0:1 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ზანდჰაუზენი-ბრაუნშვაიგი | 0:2 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ბრაუნშვაიგი A-ჰანოვერი A | 1:1 |
| თურქიემსფორი-ობერნოილანდი | 1:2 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| ფორტუნა A-მუნსტერი | 0:1 |

| ჰოლანდია | |
|---|---|
| ნიიმეგენი-ჰერაკლესი | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ვაალვიკი-დენ ბოში | 0:1 |
| აპელდოორნი-კამბური | 3:3 |
| ფორტუნა-ეინდჰოვენი | 2:3 |
| იგლზი-ომნივორლდი | 2:2 |
| ჰელმონდი-დორდრეჰტი | 0:1 |
| სპარტა-როსენდაალი | 4:1 |
| ვეენდამი-ცვოლე | 1:0 |

| ბელგია | |
|---|---|
| ვარეგემი-გენკი | 0:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ბორინაჟი-ტუბეკე | 1:2 |
| ოსტენდე-მონსი | 1:1 |

| პორტუგალიის თასი. 1/8 ფინალი | |
|---|---|
| აკადემიკა-სეტუბალი | 3:2 |

| კვიპროსი | |
|---|---|
| ერმისი-ანორთოსისი | 2:1 შეწყდა |

| ფინეთი. ლიგის თასი | |
|---|---|
| იუვიასკიულა-ვაასა | 0:0 |
| ტპს-ჰონკა | 2:3 |

### კალათბურთი

| საფრანგეთი | |
|---|---|
| ლე მაინ-პო ორტეზი | 71:64 |
| ტულონი-როანი | 85:74 |
| **თურქეთი** | |
| ტ. ტელეკომი-ოლინი | 77:72 (ო) |

### ხელბურთი

| მს. ჩემპიონატი. კაცები. 1/2 ფინალი | |
|---|---|
| შვედეთი-საფრანგეთი | 26:29 |
| დანია-ესპანეთი | 28:24 |

### ჰოკეი

| შვეიცარია | |
|---|---|
| სერვეტი-ბილი | 3:4 (ბ) |

| კჰლ | |
|---|---|
| ავტომობილისტი-ლოკომოტივი | 3:1 |
| ტრაქტორი-ვიტიაზი | 3:5 |
| ნეფტეხიმიკი-იუგრა | 4:3 |
| ტორპედო-ატლანტი | 3:5 |
| ცსკა-დინამო (მ) | 4:5 |

| ავსტრია | |
|---|---|
| ვენა-ზალცბურგი | 3:2 |
| ალბა-აკრონი | 4:6 |
| ოლიმპია-გრაცი | 0:4 |
| ზაგრები-ვილახი | 7:2 |
| კლაგენფიურტი-ლინცი | 2:1 |

| გერმანია | |
|---|---|
| მიუნხენი-შტრაუბინგი | 5:1 |
| მანჰაიმი-ჰანოვერი | 5:2 |
| დიუსელდორფი-ვოლფსბურგი | 3:4 |
| ინგოლშტადტი-აუგსბურგი | 4:3 (ო) |
| იზერლონი-აისბარენი | 4:3 |
| კიოლნი-კრეფელდი | 2:1 |

| დანია | |
|---|---|
| როდოვრე-ესბერგი | 6:4 |
| ჰვიდოვრე-ფრედრიკშავნი | 2:5 |
| ჰერნინგი-სონდერიისკი | 1:3 |
| ოდენსე-ოლბორგი | 4:3 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| პოპრადი-ტრენჩინი | 3:4 |
| მარტინი-სკალიცა | 3:1 |
| ნიტრა-სლოვანი | 2:4 |
| ჟილინა-კოშიცე | 1:4 |
| ზვოლენი-ბისტრიცა | 2:3 (ბ) |

| ფინეთი | |
|---|---|
| ტაპარა-საიპა | 2:5 |
| ბლუზი-კერპეტი | 3:1 |
| იოკერიტი-ჰიფკ | 5:0 |
| კალპა-პელიკანსი | 1:2 |
| ლუკო-ესეტი | 5:1 |
| იუვიასკიულა-ჰპკ | 4:0 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| ტრშინეცი-ჟლინი | 7:1 |
| ბოლესლავი-ლიტვინოვი | 3:2 (ბ) |
| კლადნო-კარლოვი ვარი | 0:4 |
| პარდუბიცე-ბუდეიოვიცე | 1:0 |
| სლავია-ლიბერეცი | 2:1 (ო) |
| ბრნო-სპარტა | 1:0 |

## TV პროგრამა

### 29 იანვარი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

18:30 გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-დორტმუნდი (LIVE).
21:00 იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-ფიორენტინა (LIVE).
23:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ერკულესი-ბარსელონა (LIVE).

**მზე**

14:30 იმედის ფსონი.

**I არხი**

17:00 ძიუდო. თბილისის საერთაშორისო ტურნირი (LIVE).

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

18:25 გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-დორტმუნდი (LIVE).
20:55 იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-ფიორენტინა (LIVE).
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ერკულესი-ბარსელონა (LIVE).
00:55 ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-სევილია (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

13:25 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სწრაფდაშვება. ქალები. სესტრიერი. იტალია (LIVE).
14:55 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სწრაფდაშვება. კაცები. შამონი. საფრანგეთი (LIVE).
16:05 მინი-ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი (LIVE).
16:55 მძლეოსნობა. საერთაშორისო ტურნირი - FIVE NATIONS. შოტლანდია (LIVE).
04:00 ჰოკეი. NHL. ყველა ვარსკვლავის უიქ ენდი. კონკურსები (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

13:45 ციგურებით სირბილი. მსოფლიოს თასი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
18:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ჰოფენჰაიმი (LIVE).
21:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. კაიზერსლაუტერნი-მაინცი (LIVE).
23:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. რენი-პსჟ (LIVE).
06:00 პროფესიული კრივი. სატიტულო ბრძოლა. დევონ ალექსანდერი-ტიმოტი ბრედლი. აშშ (LIVE).

**HTB-პლუსი (კლასიკა)**

16:55 ბურთის ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. რუსეთი (LIVE).
21:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. სენტ ეტიენი-ტულუზა (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

12:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. ქალები. ფინალი. კიმ კლაისტერსი-ნა ლი. მელბურნი (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

18:30 რუსეთის ჩემპიონატი. ცსკა-ენისეი (LIVE).
05:00 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ინდიანა (LIVE).

**SPORT+**

18:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ბაიერნი (LIVE).
23:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კატანია-მილანი (LIVE).

**EUROSPORT**

12:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. ქალები. ფინალი. კიმ კლაისტერსი-ნა ლი. მელბურნი (LIVE).
15:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სწრაფდაშვება. შამონი. საფრანგეთი (LIVE).
16:30 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი (იუნიორები). კაცები. სპრინტი. ნოვე მესტო. ჩეხეთი (LIVE).
19:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS145. ვილინგენი. გერმანია (LIVE).
20:45 ციგაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. II ცდა. ჩეზანა. იტალია (LIVE).
23:00 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. თავისუფალი პროგრამა. ბერნი. შვეიცარია (LIVE).

**EUROSPORT-2**

13:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სწრაფდაშვება. სესტრიერი. იტალია (LIVE).
14:45 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი (იუნიორები). ქალები. სპრინტი. ნოვე მესტო. ჩეხეთი (LIVE).
15:30 ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. სკი-კროსი. გრასგერენი. გერმანია (LIVE).
19:00 ფეხბურთი. აზიის თასი. ფინალი. ავსტრალია-იაპონია. კატარი (LIVE).
21:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი (იუნიორები). ქალები. ესტაფეტა. ოტეპაა. ესტონეთი (LIVE).
23:30 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. IX ტური. კასტელანა-ურბინო (LIVE).
01:30 ავტოსპორტი. დაიტონას 24 საათი. აშშ (LIVE).

### 30 იანვარი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

15:30 იტალიის ჩემპიონატი. ბრეშა-კიევო (LIVE).
18:00 იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-პალერმო (LIVE).
20:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ნიცა (LIVE).
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-რეალი (LIVE).
00:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. მონაკო-მარსელი (LIVE).

**მზე**

14:30 იმედის ფსონი.

**I არხი**

17:00 ძიუდო. თბილისის საერთაშორისო ტურნირი (LIVE).

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

15:25 იტალიის ჩემპიონატი. ბრეშა-კიევო (LIVE).
17:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-ფეიენოორდი (LIVE).
19:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ბილბაო (LIVE).
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-რეალი (LIVE).
23:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. მონაკო-მარსელი (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

12:55 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სუპერკომბინაცია (სწრაფდაშვება). ქალები. სესტრიერი. იტალია (LIVE).
14:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სუპერკომბინაცია (სწრაფდაშვება). კაცები. შამონი. საფრანგეთი (LIVE).
15:55 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სუპერკომბინაცია (სლალომი). ქალები. სესტრიერი. იტალია (LIVE).
16:55 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სუპერკომბინაცია (სლალომი). კაცები. შამონი. საფრანგეთი (LIVE).
17:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-სამპდორია (LIVE).
01:00 ჰოკეი. NHL. ყველა ვარსკვლავის მატჩი (LIVE).
04:00 ამერიკული ფეხბურთი. პრობოული. AFC-NFC (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

13:15 ციგურებით სირბილი. მსოფლიოს თასი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
17:25 ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. მე-3 ადგილისთვის. შვედეთი (LIVE).
23:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-უდინეზე (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

18:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ფრაიბურგი (LIVE).

**HTB-პლუსი (კლასიკა)**

17:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ბოლონია-რომა (LIVE).
20:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-ბორუსია (მ) (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

12:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. კაცები. ფინალი. მელბურნი (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

21:00 ევრობასკეტი 2011. წილისყრა (LIVE).
04:30 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-დეტროიტი (LIVE).

**SPORT+**

17:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-პალერმო (LIVE).
19:55 ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. ფინალი. შვედეთი (LIVE).
23:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. მონაკო-მარსელი (LIVE).

**EUROSPORT**

12:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. კაცები. ფინალი. მელბურნი (LIVE).
16:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სუპერკომბინაცია (სლალომი). ქალები. სესტრიერი. იტალია (LIVE).
17:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS145. ვილინგენი. გერმანია (LIVE).

**EUROSPORT-2**

12:00 ციგაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ორადგილიანი. II ცდა. ჩეზანა. იტალია (LIVE).
13:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სუპერკომბინაცია (სწრაფდაშვება). ქალები. სესტრიერი. იტალია (LIVE).
14:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სუპერკომბინაცია (სწრაფდაშვება). კაცები. შამონი. საფრანგეთი (LIVE).
17:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სუპერკომბინაცია (სლალომი). კაცები. შამონი. საფრანგეთი (LIVE).
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს ჩემპიონატი (იუნიორები). ოტეპაა. ესტონეთი (LIVE).
23:45 ავტოსპორტი. დაიტონას 24 საათი. აშშ (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ● კვირის ბოლოს



მაშველის გამოძახება — ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი

## ● ფორმულა 1

# ესეც ახალი ფერარი!

იტალიური საჯინიბო „ფერარი" პირველი გუნდი გახდა პელოტონში, რომელმაც 2011 წლის სეზონისთვის განკუთვნილი ბოლიდის ოფიციალური პრეზენტაცია მოაწყო. ტრადიციული ცერემონია მარანელოში - „სკუდერიას" ბაზაზე შედგა.

ახალ მანქანას F150 ჰქვია - ეს რიცხვი შემთხვევით არ აურჩევიათ. ამით „ფერარი" ეხმიანება გაერთიანებული იტალიის 150 წლისთავს.

რა თქმა უნდა, გამოცდილი თვალი არაერთ განსხვავებას შეამჩნევს შარშანდელსა და წლევანდელ ბოლიდებს შორის, ამასთან, ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ეს მანქანა 2010 წლის ბოლიდს ჰგავს. თუმცა ეს არაფერს ნიშნავს. გუნდის მთავარმა დიზაინერმა **ნიკოლას ტომბაზისმა** განაცხადა, რომ ჩემპიონატის დაწყების წინ ბოლიდი შეიცვლება, კერძოდ, დაიხვეწება უკანა დაკიდება და დაემატება რამდენიმე გაუმჯობესებული დეტალი. ასე რომ, ახალ „ფერარის" ჯერ დასრულებული სახე არ მიუღია.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ გუნდის პილოტები - **ფერნანდო ალონსო** და **ფელიპე მასა**, აგრეთვე „სკუდერიას" შეფი **სტეფანო დომენიკალი**. დაგეგმილი იყო ახალი ბოლიდის დილიდანვე ტრასაზე გაყვანა, მაგრამ ძლიერმა ნისლმა ალონსოს არ მისცა ამის საშუალება. ახალი მანქანის შემოწმება დღეიდან დაიწყება, პირველი თებერვლიდან კი „ფერარი" ვალენსიაში **რიკარდო ტორმოს** სახელობის ავტოდრომზე ოფიციალურ ტესტებში ჩაერთვება.

ფერნანდო ალონსომ პრეზენტაციაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ იტალიური გუნდი მზად არის ჩემპიონატის ორი მთავარი პრიზისთვის საბრძოლველად. *„საბრძოლო განწყობა მაქვს. ჩემი სადებიუტო წელი ფორმულა 1-ში ძალიან საინტერესო გამოვიდა, აღმოვაჩინე შესანიშნავი გუნდი, სადაც არაჩვეულებრივი ატმოსფეროა...*

*2011 წელს ჩვენ წინაშე ახალი ამოცანებია. მივიღეთ ახალი გამოწვევა, რადგან ძალაში შევიდა განახლებული ტექნიკური რეგლამენტი და პილოტებს მოუწევთ მართვის სტილის შეცვლა. თუნდაც იმიტომ, რომ ფორმულა 1-ში ბრუნდება KERS-ის სისტემა. სეზონი რთული იქნება და ბევრი რამის სწავლა მისი მსვლელობისას მოგვიწევს"*, - განაცხადა ალონსომ.








## ● ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

# ნოვაკს ენდი ერგო

გუშინ ავსტრალიის ღია პირველობაზე ერთეულებში ერთადერთი შეხვედრა გაიმართა - მამაკაცებს შორის მეორე ნახევარფინალისტი გაირკვა. **ენდი მიურეისა** და **დავიდ ფერერის** ურთიერთდაპირისპირებაში წინ ესპანელი ჩოგბურთელი იყო, თუმცა ფერერს ბრიტანელი ჰარდზე არასოდეს დაემარცხებინა და ამ საფარზე ენდი დავიდს 2:0-ს უგებდა.

მატჩის დასაწყისში ორივე ჩოგბურთელი დამაჯერებლად იღებდა საკუთარ გეიმებს. თავდაპირველად მოწოდებაზე პრობლემები ფერერს შეექმნა - მეშვიდე გეიმში მან მიურეის ბრეიკის შანსი მისცა და ენდიმაც ეს შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა. თუმცა ამით შოტლანდიელს გადამწყვეტი უპირატესობა არ მოუპოვებია. დავიდმა მაშინვე მოუმატა ტემპს, რომელსაც მიურეი ვერ გაუმკლავდა და ესპანელმა საპასუხო ბრეიკი გააკეთა.

მეცხრე გეიმში, 15:30-ზე ჩოგბურთელებმა ფანტასტიკური ბურთი გაათამაშეს - ჯამში მათ 40 (!) დარტყმა შეასრულეს და მიურეიმ ბრეიკ-პოინტი მიიღო. მაგრამ ამავდროულად, ენდი ამ გრძელმა გადათამაშებამ დაღალა და შეცდომებმა იმატა. შესაბამისად, ფერერმა არა მარტო გადაარჩინა საკუთარი გეიმი, არამედ შოტლანდიელის მოწოდებაც აიღო და სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა - 6:4!

მეორე პარტიის დასაწყისში ესპანელს მცირე პაუზა დასჭირდა იმ ტემპისგან დასასვენებლად, რომელიც მან პირველი სეტის ბოლოს აჩვენა. მიურეიმ ამით კარგად ისარგებლა და პირველივე გეიმში ბრეიკი გააკეთა. მაგრამ ფერერმა ამჯერადაც მოუმატა თამაშს და ენდის გაქცევის საშუალება არ მისცა - 1:1. ამის შემდეგ ინიციატივა ესპანელს ჰქონდა. მან ოთხი ბრეიკ-პოინტი მიიღო, რომელთაგანაც ერთი - სეტბოლი იყო, მაგრამ ყველა შემთხვევაში ენდის კარგი მოწოდება გამოუვიდა და მეტოქეს ბრძოლის საშუალება არ მისცა. მე-11 გეიმში მიურეიმ თავად შეასრულა ბრეიკი და როცა ყველას ეგონა, რომ ენდი სეტზე უპრობლემოდ ჩააწოდებდა, ფერერმა მესამედ გაათანაბრა ანგარიში. ფსიქოლოგიური უპირატესობა თითქოს ესპანელის მხარეს უნდა ყოფილიყო, მაგრამ დავიდი დაიღალა და თუ მანამდე შეცდომებს თითქმის არ უშვებდა, ტაი-ბრეიკზე რამდენჯერმე უხეშად შეცდა და ბრიტანელმა სეტებში ანგარიში გაათანაბრა.

მესამე სეტში ფერერმა სერიოზულად უკლო თამაშს და არანაირი პრობლემა არ შეუქმნია მეტოქისთვის. მიურეი ყველა ბურთის მშვიდად დამუშავებას ასწრებდა, რისი წყალობითაც შეცდომების რაოდენობამ იკლო, ინიციატივა კი მთლიანად მის ხელში გადავიდა. 1:1-დან მოყოლებული მიურეიმ არც ერთი გეიმი არ დაუთმო მოწინააღმდეგეს - 6:1.

მეოთხე სეტის დასაწყისიც ენდის იოლი გამოუვიდა - 2:0 დაწინაურდა, რის შემდეგაც გაუგებარი შეცდომები დაუშვა და ფერერს სიტუაციის გათანაბრების საშუალებს მისცა. ბრიტანელი მხოლოდ ზედიზედ სამი გეიმის წაგების შემდეგ გამოფხიზლდა და ამის შემდეგ ორივენი დამაჯერებლად მოქმედებდნენ საკუთარ მოწოდებებზე, ასე რომ, სეტის ბედი კვლავ ტაი-ბრეიკზე გადაწყდა, რომელიც დავიდმა ისევ ჩააგდო - 2:6.

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, 2008 წლის შემდეგ პირველად „დიდი სლემის" ტურნირის ფინალში არ ითამაშებს **რაფაელ ნადალი** ან **როჯერ ფედერერი**. ასე რომ, პირველად უმაღლესი დონის ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან ენდი მიურეი და **ნოვაკ ჯოკოვიჩი**. მათ შორის ურთიერთშეხვედრათა ანგარიში სერბის მხარესაა - 4:3, თუმცა ბოლო სამი შეხვედრა მიურეის სასარგებლოდ დასრულდა.

■ ■ ■

გუშინვე ავსტრალიის ღიას პირველი ლაურეატი გამოვლინდა. ქალთა წყვილებში პირველობა არგენტინულ-იტალიურმა დუეტმა მოიგო **ხისელა დულკოსა** და **ფლავია პენეტას** შემადგენლობით. მათ სამ სეტში დაამარცხეს ბელარუსი **ვიქტორია აზარენკასა** და რუსი **მარია კირილენკოს** წყვილი - 2:6, 7:5, 6:1. თამაში 2 საათსა და 10 წუთს გაგრძელდა. აღსანიშნავია, რომ ბელარუსი და რუსი მეოთხე პარტიას 4:1-ს იგებდნენ და მეექვსე გეიმში ბრეიკ-პოინტი ჰქონდათ.

ეს გახლავთ დულკოსა და პენეტას წყვილის საიუბილეო - მეათე ტიტული.

**კაცები**

**1/2 ფინალი**

**ენდი მიურეი (ბრიტ, 5)**-დავიდ ფერერი (ესპ, 7) 4:6, 7:6(2), 6:1, 7:6(2).



პენეტა და დულკო

# კიმი ბოლო სეზონს თამაშობს

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ბელგიელი **კიმ კლაისტერსი** აცხადებს, რომ 2011 წლის სეზონი ბოლო იქნება მის პროფესიულ კარიერაში. კიმი დღეს უნდა შეხვდეს ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში ჩინელ **ნა ლის**.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ამერიკის ღია პირველობის სამგზის ჩემპიონს ჰკითხეს - მართალია თუ არა, რომ შაბათს ის უკანასკნელად გავა „მელბურნ-პარკის" ცენტრალურ კორტზე სათამაშოდ? ამაზე კლაისტერსმა უპასუხა: *„დიახ, ეს ასეა"*.

*„თითქმის დარწმუნებით შემიძლია იმის თქმა, რომ ეს ჩემი ბოლო სრულფასოვანი სეზონია WTA-ის ტურში და შემდეგ ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები"*, - აღნიშნა ბელგიელმა.

ჩოგბურთელის თქმით, ქალიშვილი **ჯადას** დაბადება და მამის - **ლეო კლაისტერსის** სიკვდილი გახდა კარიერის განახლების მთავარი მიზეზი: *„ცხადია, იმ ორი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ მოხდა. მამის დაკარგვა აქტიური ცხოვრებისკენ დაბრუნების ერთ-ერთი მიზეზი გახდა, მინდოდა გული გადამეყოლებინა"*.

ჟურნალისტებმა კიმს გაახსენეს თანამემამულე **ჟუსტინ ანენის** მაგალითი, რომელმაც ორი დღის წინ მეორედ დაასრულა პროფესიული კარიერა. მათ აინტერესებდათ - კლაისტერსისთვისაც ასე რთული იყო ჩოგბურთში დაბრუნება? *„ადრე ბევრი ტრავმა მქონდა, ამიტომაც დაბრუნებისას დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი კარიერის სრულიად ახალ ეტაპს ვიწყებდი"*, - უპასუხა ჩოგბურთელმა.

შეგახსენებთ, რომ კლაისტერსი, რომელიც ორშაბათიდან რეიტინგში მეორე ადგილზე გადაინაცვლებს, ტურში გათხოვებისა და ქალიშვილ ჯადას დაბადების შემდეგ დაბრუნდა. ეს 2009 წლის სეზონის შუაში მოხდა და ძალიან მალე მან ამერიკის ღია პირველობის მოგება შეძლო. სულ დიდ ჩოგბურთში დაბრუნების შემდეგ ბელგიელის ანგარიშზე ხუთი ტიტული მოდის, მათ შორის კიდევ ერთი გამარჯვება აშშ-ის ღიაზე და პირველობა 2010 წლის შემაჯამებელ ტურნირში.

კიმი ავსტრალიელი **ივონ გულაგონგის** შემდეგ პირველი ჩოგბურთელი გახდა, ვინც ბავშვის გაჩენის შემდეგ მოიგო „დიდი სლემის" ტურნირი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



კიმ კლაისტერსი